

პრემიერ-მინისტრის დავალებები მიხეილ ქარელს A2



„თქვენი აფხაზეთი" A5



ბეგა პირველი იყო, ვინც... A6


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 7 ივნისი, 2006 წელი, №124 (1276) | ფასი 50 თეთრი



"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge


## პოლიტიკა

### ოფიციალური მოსკოვი ბერეზოვსკის ამაოდ ელის

ბრიტანეთი რუსეთს ბორის ბერეზოვსკის არ გადასცემს. სასამართლომ, რომელიც ლონდონში, ბოუსტრიტზე მდებარეობს, არ დააკმაყოფილა რუსეთის მოთხოვნა დიდი ბრიტანეთიდან რუსეთში მულტიმილიონერის ბორის ბერეზოვსკის ექსტრადიციის შესახებ.
A3

## სამართალი

### „სტატისტიკისთვის გახსნილი საქმე"

ადვოკატი ეკა ბესელია დარწმუნებულია, რომ ირაკლი მალანიას საქმე თავიდანვე შეკერილია. ადვოკატის განმარტებით, ამას თუნდაც ის უტყუარი ალიბიც მოწმობს, რომლის მიხედვითაც, ჯიხურზე მომხდარი თავდასხმის დროს ირაკლი მალანია უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.
A4

## რევიუ

### ახდენილი სიზმარი

6 ივნისს გალერეა „კოპალამ„ პროფესიით იურისტის, საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის ქალბატონ დარეჯან ზურაბიშვილის პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა.
A6


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 7/06 | 8/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 32 |
| ტყიბული | 32 | 29 |
| სოხუმი | 28 | 26 |
| დმანისი | 26 | 28 |
| გორი | 29 | 29 |
| ონი | 25 | 23 |
| ზუგდიდი | 33 | 30 |
| ახმეტა | 32 | 32 |
| გაგრა | 26 | 24 |
| სამტრედია | 33 | 31 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7915 |
| ევრო | 2.3125 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3569 |
| რუბლი | 0.0670 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# დაპატიმრებული პოლკოვნიკი

## და ლევან კალაძის საქმის გაუხმაურებელი დეტალები

თამარ კაციტაძე

*ლევან კალაძის გატაცება-მკვლელობის საქმის გახსნის და აღნიშნულ დანაშაულში ეჭვმიტანილების - ლევან ცინცაძის, თემურ გაგნიძის, დავით ასათიანის და მერაბ ამისულაშვილის დაკავების შემდეგ, გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა პირობა დადო, რომ ყველას მოსთხოვს პასუხს, ვისი დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით ლევან კალაძის გატაცება-მკვლელობის საქმე დღემდე არ გაიხსნა.*

### ოთხი მუხლით ბრალდებული პოლკოვნიკი

უკვე დაპატიმრებულია და წინასწარი ორთვიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული პოლკოვნიკ ბათუ საღინაძეს, რომელსაც ლევან კალაძის და სხვა გახმაურებული გატაცებების გამოძიება, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ დაავალა.

გაგრძელება A4 გვერდზე



ბრალდებული პოლიციის პოლკოვნიკი.

# სანქტ-პეტერბურგული შეხვედრის თბილისური პრელუდია

გიორგი ასანიშვილი

*ქართულ პოლიტიკურ წრეებში მოუთმენლად ელიან რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრას. ამ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე გამოითქმება სხვადასხვა ვერსია და ვარაუდი. ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც წესი, ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და სააკაშვილსა და პუტინს შორის სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ მოლაპარაკებებზე დიდ იმედებს ამყარებენ. ოპოზიცია კი გაცილებით ფრთხილია: მისი ზოგიერთი ლიდერი ღიად საუბრობს იმ საფრთხეებზე, რომელიც ორი დაპირისპირებული ქვეყნის ლიდერის შეხვედრას შეიძლება მოჰყვეს.*

სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავა 13 ივნისს „გადამწყვეტ თარიღად" მიიჩნევს რუსეთ-საქართველოს ბოლო პერიოდის ურთიერთობებში. მისი ვარაუდით, სააკაშვილი და პუტინი სანკტ-პეტერბურგში პრინციპულ გადაწყვეტილებებს მიიღებენ.

**„ყველა შანსი არსებობს იმისა, რომ მოხდეს უპრეცედენტო რამ: რუსეთის დახმარებითა და ხელშეწყობით მოგვარდეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები. ჩვენ ველოდებით რუსეთისგან მისი დიდი პოტენციალის გამოყენებას. ოფიციალური მოსკოვის მიერ მიღებული ერთი პოლიტიკური გადაწყვეტილება საკმარისი იქნება იმისთვის, რომ პროცესი შემოტრიალდეს და პოზიტიურად წავიდეს",** - აცხადებს გიორგი ხაინდრავა. სახელმწიფო მინისტრის აზრით, სანკტ-პეტერბურგის შეხვედრა არის ბოლო შანსი იმისა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები რადიკალურად შეიცვალოს.

გუშინდელი დღის დიდი ნაწილი გიორგი ხაინდრავამ პარლამენტში გაატარა: საკანონმდებლო ორგანოში იგი ჯერ საქართველოში სტუმრად მყოფ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაციას შეხვდა, შემდეგ კი ფრაქცია „მემარჯვენეების" წევრებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია კონფლიქტის ზონებში დღეს არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, კონფლიქტების მოგვარების საკითხში ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთიანობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ამდენად, იგი თავს ვალდებულად თვლის, მიმდინარე მოვლენების შესახებ ოპოზიცია საქმის კურსში ჩააყენოს. ხაინდრავას არ დაუმალავს, რომ „მემარჯვენეებთან" შეხვედრის დროს საუბრის ძირითადი თემა ცხინვალის რეგიონში შექმნილი სიტუაცია იყო. საერთოდ კი, ხაინდრავა არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, სწორედ ცხინვალის რეგიონი გახდეს კონფლიქტის მოგვარების ნიმუში და გასაღები.

**„ცხინვალის რეგიონი არის ის სასინჯი პოლიგონი, სადაც შეიძლება რუსეთსა და საქართველოს შორის ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება და წარმატების მიღწევა,"** - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# B ფასები და ხელოვნურად გაზრდილი სტატისტიკა

## ფერმერების სტიმულირებისათვის არაფერი კეთდება

**საქართველოში ინფლაციის დონის მაჩვენებლები უკანასკნელი ხუთი წლის მიხედვით**

| | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 |
|---|---|---|---|---|---|
| მაისი აპრილთან | 100.0 | 100.2 | 100.0 | 98.7 | 102.4 |
| მაისი წინა წლის დეკემბერთან | 105.4 | 102.3 | 100.8 | 102.1 | 105.8 |
| მაისი წინა წლის მაისთან | 107.6 | 102.3 | 105.4 | 108.9 | 110.0 |

*სტატისტიკური ინფორმაციის უტყუარობაზე დღემდე კამათობენ. მაგრამ "24 საათთან" საუბრისას სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლიდან საქართველოში სტატისტიკური მაჩვენებლების გამოთვლა ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი მექანიზმით ხდება. ამის მიუხედავად, ქვეყანაში პირველადი მოხმარების პროდუქტებზე გაზრდილი ფასები და ამის შესახებ არსებული სტატისტიკური მაჩვენებლები დილეტანტებშიც კი ეჭვს იწვევს. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოში 2006 წლის მაისში, აპრილთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 102,4 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, ინფლაციის დონემ - 2,4 პროცენტი. წლის დასაწყისიდან კი სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 5,8 პროცენტით გაიზარდა.*

# წინადადება, რომელზეც უარს არ (ვერ) იტყვიან

## პოზიტიურ ნაბიჯებს თეირანიც ხედავს

თეა მაისურაძე

ევროკავშირის მიერ ოფიციალური თეირანისათვის წარმოდგენილი დოკუმენტის განხილვის შემდეგ ირანის წარმომადგენელმა ალი ლარიჯანმა განაცხადა, რომ ბირთვული კრიზისის მოგვარების საკითხში პოზიტიური ნაბიჯები შეინიშნება. ამის შესახებ მან თეირანში ევროკავშირის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელთან, ხავიერ სოლანასთან საუბრისას განაცხადა. აღნიშნული დოკუმენტი, გასულ კვირას ვენის შეხვედრაზე იქნა მიღებული გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების: დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის, რუსეთის, აშშ-ს, საფრანგეთის და ასევე გერმანიის მიერ.

დოკუმენტის დეტალები ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, თუმცა გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის ეხება ირანისათვის მსუბუქი წყლის ატომური რეაქტორების და ასევე გამდიდრებული ურანის მიწოდებას, ასევე აშშ-საგან სამოქალაქო თვითმფრინავებისათვის სათადარიგო ნაწილების შესყიდვის უფლებას.

ოფიციალური თეირანის განცხადებით, ის წინადადებას დეტალურად განიხილავს, მაგრამ ურანის გამდიდრების პროცესში საკუთარი სამუშაოების შეწყვეტას არ აპირებს. თუმცა ოპტიმისტური განწყობა ირანის ხელისუფლებისაგან პოზიტიური სიგნალია და ორმხრივ მოლაპარაკებებში წინგადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან ეს უკანასკნელი ყოველთვის ადანაშაულებდა დასავლეთს ორმხრივი სტანდარტების პოლიტიკაში. ალი ლარიჯანიმ მოლაპარაკებებს „კონსტრუქციული" უწოდა და განაცხადა, რომ ირანი მას შემდეგ მისცემს დასავლეთს ზუსტ პასუხს, როცა უკეთესად გაეცნობა „ექვსეულის" მიერ შემოთავაზებულ წინადადებას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# „თვითგამორკვევის" ზეიმი ცხინვალში

## და რუსეთის საგარეო უწყებაში

*რუსული დიპლომატიის პროსეპარატისტული რიტორიკით აღფრთოვანებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ხელმძღვანელები კვლავ საკუთარ დამოუკიდებლობაზე საუბრობენ, „საელჩოებს" ხსნიან და სააკაშვილი-პუტინის შეხვედრაზე მსჯელობენ. რუსეთის საგარეო უწყება კი კვლავ „თვითგამორკვევაზე" საუბრობს.*

დიმიტრი ავალიანი

**„საქართველომ დროა, შეიგნოს, რომ მან სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი კარგა ხანია, დაკარგა,"** - ეს განცხადება „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა" ედუარდ კოკოითიმ გუშინ ცხინვალში, „სამხრეთ ოსეთში აფხაზეთის წლის" გახსნასთან დაკავშირებით აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშისა და აფხაზეთის სამთავრობო დელეგაციის თანდასწრებით გააკეთა.

აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა შეთანხმებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, ხელი 2005 წლის სექტემბერში მოაწერეს. 2006 წელი სამხრეთ ოსეთში „აფხაზეთის წლად" არის გამოცხადებული.

გუშინ ცხინვალის ცენტრალურ მოედანზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დროშები აღიმართა და ორივე დე-ფაქტო რესპუბლიკის ჰიმნი აჟღერდა. სერგეი ბაგაფშმა მონაწილეობა მიიღო სამხრეთ ოსეთში „აფხაზეთის წლის" გახსნის ცერემონიაში. „დღესასწაულის" ფარგლებში ცხინვალში მეგობრობის კონცერტი და ახალგაზრდული ფონდის „ფარანკ"-ის გახსნა გაიმართა.

ედუარდ კოკოითის მტკიცებით, იმის მიუხედავად, თუ რა შედეგით დასრულდება 13 ივნისს პრეზიდენტების სააკაშვილისა და პუტინის სანკ-პეტერბურგში დაგეგმილი შეხვედრა, სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მშენებლობის კურსს არ შეცვლის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რა მოხდა ორთაჭალის საპყრობილეში?

*საპარლამენტო ოპოზიციისთვის ანგარიშის ჩაბარებისას სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ ერთ კვირაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის საქმიანობის შესახებ ვრცელ და სრულყოფილ ანგარიშს გააკეთებდა. მართალია, ომბუდსმენის გუშინდელი განცხადება არც ვრცელი იყო და არც სრულყოფილი, მაგრამ სოზარ სუბარმა ბაჩო ახალაიას საქმიანობასთან დაკავშირებით სკანდალური მასალა გამოაქვეყნა - სახალხო დამცველმა მისი ყოფილი მოადგილე „კანონიერ ქურდებთან" ალიანსში და 27 მარტს ორთაჭალის საპყრობილეში მომხდარი ბუნტის ორგანიზებაში დაადანაშაულა.*

უფრო ზუსტად, სოზარ სუბარმა 27 მარტის ციხის ბუნტის ერთ-ერთი მთავრი გმირის, შსს-ს მიერ ბუნტის ერთ-ერთ ორგანიზატორად გამოცხადებული ყოფილი „კანონიერი ქურდის" პლატონ მამარდაშვილის აღიარებითი ჩანაწერი გამოაქვეყნა. პლატონ მამარდაშვილმა აღიარებითი ახსნა-განმარტება სოზარ სუბარს გუშინწინ ჩააბარა.

მამარდაშვილი აცხადებს, რომ მან თავის სურვილით უარი განაცხადა, თავის სტატუსზე და ადმინისტრაციას თანამშრომლობაზე დასთანხმდა. სანაცვლოდ კი, პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ დაპირება მიიღო. ყოფილი „კანონიერი ქურდი ირწმუნება, რომ იგი რამდენჯერმე იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბაჩო ახალაიას კაბინეტში, სადაც მას დაავალეს „კანონიერ ქურდთან" - ზედელაშვილთან და პატიმარ ზურაბ ვიბლიანთან იმ საუბრის ჩანაწერის გაკეთება, რომელშიც 27 მარტის ბუნტის დაგეგმვაზე უნდა ყოფილიყო საუბარი და რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა ბუნტის ჩახშობისთანავე გამოაქვეყნა.

მამარდაშვილის თქმით, მას ხვდებოდა უშუალოდ ბაჩო ახალაია, მისი მოადგილე ნუკრი ხუხუა, მე-7 საპყრობილის მაშინდელი ხელმძღვანელი მეგის ქარდავა, მისთვის უცნობი ორი პიროვნება, რომელთა ამოცნობა მას შეუძლია და შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ორი თანამშრომელი.

მამარდაშვილის თქმით, მისთვის მიცემული დავალების მიხედვით, უნდა მოეხდინა ისეთი საუბრის ჩაწერის ორგანიზება, რომელიც ბაჩო ახალაიას მიერ შეკვეთილი გეგმით განვითარდებოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ძველ თბილისს კრამიტით გადახურავენ

თამარ დვალი

ზურაბ ჭიაბერაშვილის მერობის პერიოდში ძველ თბილისში მშენებლობაზე მორატორიუმი გამოცხადდა. წელიწადნახევრის წინ მორატორიუმი მოიხსნა და ამჟამად განაშენიანების დროებითი რეჟიმი მოქმედებს. როგორც კულტურის სამინისტროში განმარტავენ, არსებული რეჟიმის პირობებში ძველ თბილისში შეუფერებელი მშენებლობების წარმოება თავიდან იქნება აცილებული.

თუკი აქამდე ძველ უბანში მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად მენაშენეს ფასადის, ზოგადი მოცულობისა და სხვა პარამეტრების შეთანხმება უწევდა, ამიერიდან მათ ურბანულ სამსახურში სახურავის ფერი და მასალაც უნდა შეათანხმონ.

ძველ თბილისში კრამიტით სახლების გადახურვის იდეა პარლამენტარ ბიძინა ბრეგაძეს უკუთვნის. ქალაქის პრემიერის თემურ ქურხულის თქმით, ამ მიზნით, თბილისის ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ დაიხარჯება. კრამიტით გადაიხურება მხოლოდ ის სახლები, რომელთა მშენებლობაც ჯერ არ დასრულებულა.

რაც შეეხება ძველ თბილისს, ამ ეტაპზე ისტორიულ ქალაქში ნაგებობები ძალზე დაზიანებულია. მათი სახურავების შეცვლა მხოლოდ სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროგრამა 1997-98 წლებში დაიწყო, თუმცა მალევე შეჩერდა. როგორც კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა გვითხრა, ევროსაბჭოს ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროგრამა უახლოეს მომავალში განახლდება.

**„ძველ თბილისში უკვე იხაზება იმ ნაგებობების ერთობლიობა, საიდანაც დაიწყება პროგრამის განხორციელება. პროგრამა უბნის განვითარების კონცეფციის შექმნას გულისხმობს. მოხდება ბიზნეს-შემოთავაზებების შეგროვება და ინვესტორების მოზიდვა. ქალაქების რეაბილიტაცია ხანგრძლივი და მრავალკომპონენტიანი პროცესია. ამიტომ ეს პროცესი დროში გაიწელება. მთავარია, რომ სწორი მიმართულებით წავიდეთ და შეცდომები არ დავუშვათ,“** - აღნიშნა ვაჩეიშვილმა. მისივე თქმით, ამჟამად საქართველოში კრამიტის წარმოება შესუსტებულია და ახალი ინიციატივა უძველესი კულტურის აღორძინებასაც შეუწყობს ხელს.

ჩვენი ინფორმაციით, საქართველოში დღეს კრამიტის წარმოება არც თუ ისე მომგებიანი ბიზნესია. რამდენიმე საამქრო, რომელიც კრამიტის წარმოებით იყო დაკავებული, დაიხურა. მოსალოდნელია, რომ ახალმა ინიციატივამ ამ ბიზნესის განახლებას შეუწყოს ხელი.

ქალაქის დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის ნიკოლოზ ჩხაიძის თქმით, არსებობს არქიტექტურის სამსახურისა და კულტურის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ერთობლივი საბჭო, რომელიც ახალ მშენებლობებთან დაკავშირებით მსჯელობს. სწორედ ეს საბჭო იზრუნებს, რომ თბილისის უძველეს უბნებში შენობები კრამიტით გადაიხუროს. ამავე სამსახურის მონაცემებით, ძველ თბილისში მშენებლობებზე ნებართვის გაცემა თითქმის ყოველ კვირას ხდება.

# „ფათჰ“-ისა და „ჰამას“-ის უშედეგო მოლაპარაკებები

„ფათჰ“-სა და „ჰამას“-ს შორის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი უშედეგოდ დასრულდა. მათ პოზიციების შეჯერება ვერ მოახერხეს. შესაბამისად, მაჰმუდ აბასის გეგმა ეროვნულ რეფერენდუმზე გავა.

აბასის გეგმა პალესტინის ავტონომიის მიერ ისრაელის სახელმწიფოს აღიარებას გულისხმობს 1967 წლის საზღვრებში. ასევე აიკრძალება „ბოევიკების“ აქციათა ჩატარება ისრაელის ტერიტორიაზე.

მოძრაობა „ჰამას“-ი, რომელმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა და მოახდინა კიდეც მთავრობის ფორმირება, რეფერენდუმის წინააღმდეგ გამოდის და მოლაპარაკებების გაგრძელების მომხრეა.

ვარაუდობენ, რომ პალესტინის ლიდერი მაჰმუდ აბასი რეფერენდუმის ჩატარების თარიღს მალე გამოაცხადებს, სადაც გამოტანილი იქნება პალესტინის მომავალი მოწყობის გეგმისადმი ავტონომიის მოსახლეობის დამოკიდებულების საკითხი.

ექსპერტების ვარაუდით, რეფერენდუმი ავტონომიაში არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებს.

# თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 92.0

*ახალი მედიაპროექტი რადიო „უცნობის“ ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ზვიად ქორიძეს, გადაცემის სტუმარია განათლების მინისტრის მოადგილე, ბელა წიფურია და მშობელი, სოფიო ანდღულაძე.*

**ზვიად ქორიძე:** დღეს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებო სკოლების ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი რამ ხდება. სკოლები პირველად აირჩევენ საკუთარ სამეურნეო საბჭოებს, რაც ნამდვილად სიახლეა. საინტერესოა, რას ველოდებით ამ სიახლისაგან?

**ბელა წიფურია:** ეს ნამდვილად პრინციპული სიახლეა. სკოლის მართვა, მთლიანად გადადის, უშუალოდ, სკოლის კეთილდღეობით დაინტერესებული პირების ხელში. ესენი იქნებიან პედაგოგები და მშობლები, რომლებიც იზრუნებენ განათლების მიღების ხარისხზე. უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ნიშნავდა სკოლის დირექტორს. რაც შეეხება სამეურნეო საბჭოებს, ის ისეთი სტრუქტურაა, რომელიც თავად ირჩევს როგორც კანდიდატურას, ისე სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებს. თუ რაიმე არ მოეწონებათ, მათ უკვე იციან, რომ პრობლემის გამოსწორება მათ ხელშია.

**ზ.ქ.** სამეურნეო საბჭოები შედგება მასწავლებლებისაგან, მშობლებისაგან, მოსწავლეებისაგან და მოსწავლეთა თვითმმართველობის ერთი წარმომადგენლისაგან, მაგრამ მშობლებსა და მასწავლებელს შორის როგორი დისპროპორციაა?

**ბ.წ.** აბსოლუტურად თანაბარი. რამდენი მასწავლებელიცაა, იმდენი მშობელია. თუ მცირეკონტიგენტიანი სკოლაა, იქნება 6 საბჭოს წევრი, ანუ სამი მასწავლებელი და სამი მშობელი. თუ 500 ბავშვზე მეტია, მაშინ საბჭოში 12 წევრია.

**ზ.ქ.** სოფიო, თქვენ გადაწყვიტეთ, რომ იყაროთ კენჭი სამეურნეო საბჭოს წევრად, საინტერესოა, თქვენ რას ელოდებით ამ გადაწყვეტილებისგან?

**სოფიო ანდღულაძე:** იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ამავე დროს, შეიქმნება ერთობლივი კოლექტივი, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ ბავშვებმა გაცილებით მეტი მიიღონ სკოლიდან.

**ზ.ქ.** რამდენკაციან საბჭოს ირჩევს თქვენი სკოლა და რამდენი კანდიდატია?

**ს.ა.** ჩვენი სკოლა ირჩევს 12-კაციან სამეურნეო საბჭოს. აქედან, თოთხმეტი მშობლის კანდიდატია და რვა მასწავლებლის.

**ზ.ვ.** ანუ, ქალბატონო ბელა, მასწავლებლები უფრო პასიურები არიან?

**ბ.წ.** სანამ საყოველთაო არჩევნების დღე, 7 ივნისი დადგება და საქართველოს ყველა სკოლა ჩაატარებს არჩევნებს, მანამდე ჩვენ ჩავატარეთ პილოტირება. მინდა გითხრათ, რომ პილოტირება მოხდა კასპისა და თბილისის რამდენიმე სკოლაში. აქტივობა ძალიან მაღალი იყო. მშობელთა მხრიდან დაახლოებით 68-70 პროცენტი, ხოლო მასწავლებლების- 90 პროცენტი. შესაბამისად, თითოეული მათგანი თვლის, რომ მათ მიეცათ საკუთარ გარემოში და საკუთარ სკოლაში სიტყვის თქმის საშუალება.

**ზ.ქ.** არსებობს თუ არა იმის შანსი, რომ მშობელთა გათვალისწინებულ კვოტაში არ იყოს წარმოდგენილი არც ერთი კანდიდატი?

**ბ.წ.** არა, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ აქტივობა საკმაოდ მაღალია. თუმცა, თუ სადმე, რომელიმე სკოლაში, სხვასხვა მიზეზების გამო, არ შედგა სამეურნეო საბჭოს არჩევნები, მეორე ტური 13 ივნისს ჩატარდება. მინდა გითხრათ, რომ პროცესი ძალიან ორგანიზებულია. ამ საქმეს ძალიან ბევრი ადამიანის შრომა მოხმარდა.

**ზ.ქ.** საინტერესოა, როგორ წარმოგიდგენიათ სამეურნეო საბჭოების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი?

**ბ.წ.** პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რისგან შედგება სკოლის ბიუჯეტი. ანუ, შედგება ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსებისგან, რომელსაც სკოლა იღებს სახელმწიფოსაგან. ქალაქში ეს არის 330 ლარი, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 396 ლარი. აქედან გამომდინარე, სამეურნეო საბჭოს დასაგეგმია ყველაფერი, დაწყებული პედაგოგების სახელფასო ანაზღაურებიდან, დამთავრებული სკოლის ინვენტარის შეძენით.

# პრემიერ-მინისტრის დავალებები მიხეილ ქარელს

## „სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება გამოიწვევს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასაც“

თეა თედლიაშვილი

*გუშინ პრემიერ-მინისტრი შიდა ქართლში იმყოფებოდა. ნოღაიდელი რამდენიმე მშენებარე ობიექტის დათვალიერების შემდეგ, რეგიონში შემავალი რაიონის გამგებლებთან ერთად, გორის ადმინისტრაციული შენობის დარბაზში იმ პროექტების პრეზენტაციას დაესწრო, რომლებიც რეგიონის მასშტაბით წელს ოქტომბრის თვემდე უნდა განხორციელდეს. პროექტების შესახებ თვითონ მიხეილ ქარელმა ისაუბრა და პრემიერ-მინისტრისგან მითითებებიც მიიღო.*



*შიდა ქართლში ექვსი მილიონი ლარის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს.*

მიხეილ ქარელმა გორში მყოფ პრემიერს იმ პროექტების ნუსხა გააცნო, რომლის დაფინანსებაც 100 ათას ლარს აღემატება და მათ მნიშვნელობაზე ბევრი ისაუბრა. შიდა ქართლში ამ ეტაპზე სახელმწიფო პრიორიტეტად ინფრასტრუქტურის განვითარებაა დასახული, თუმცა ბევრია ისეთი პროექტებიც, რომელიც საშუალო სკოლებისა და სამედიცინო დაწესებულებების რეკონსტრუქციას ითვალისწინებს. წელს რეგიონის მასშტაბით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 22 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა. რაც წლის ბოლომდე ათვისებული უნდა იყოს.

**„ჩვენი რეგიონისთვის პრიორიტეტად რჩება გაზიფიცირების საკითხის მოგვარება. სამუშაოები რეგიონის მასშტაბით მიმდინარეობს, რიგ სოფლებში „სიფის“ პროგრამა ხორციელდება. მართალია, გაზიფიცირების სამუშაოების ჯერ მხოლოდ 50 პროცენტია დასრულებული, მაგრამ მერმის ეს პრობლემა სრულიად მოგვარებული იქნება,“** - განაცხადა ქარელმა.

სურამის სამედიცინო დაწესებულების გაზიფიცირებისთვის ქარელმა ნოღაიდელს დახმარება სთხოვა: **„ჩვენ აქ ყველა საკითხს მოვაგვარებთ, მაგრამ გაზიფიცირებისთვის თანხები აღარ გვეყოფა და იქნებ გაითვალისწინოთ,“** - მიმართა ქარელმა ნოღაიდელს.

რეგიონის რწმუნებულმა კასპის, ქარელის, ხაშურის და გორის რაიონებში, ერედვის თემში, თიღვის თემსა და ქურთის თემში გასახორციელებელი ყველა პროექტი ჩამოთვალა და იქვე ისიც მიუთითა, რა რაოდენობის თანხაა საჭირო თითოეული პროექტის განხორციელებისთვის. მიხეილ ქარელის განცხადებით ყველა მათგანის პროექტირება დასრულებულია და ახლა ტენდერების გამოცხადებას აპირებენ. ჯერჯერობით ტენდერი მხოლოდ ტირძნისის საშუალო სკოლის მშენებლობაზეა გამოცხადებული და გამარჯვებული ფირმაც ცნობილია, სკოლის მშენებლობა 2007 წლის სექტემბრისთვის დასრულდება. ამისთვის სახელმწიფო 2 მილიონ 17 ათას ლარს დახარჯავს, სკოლა 700 მოსწავლეს მოემსახურება.

ქარელის მიერ ჩამოთვლილი პროექტების უმრავლესობა ოქტომბრის ბოლოს უნდა დასრულდეს, ნოღაიდელმა პრეზიდენტის რწმუნებულს ტენდერების დაუყოვნებლივ გამოცხადება მოსთხოვა:

**„თუ პროექტირება დასრულებულია, ტენდერების გამოცხადებას რაღა უშლის ხელს, აქამდე რატომ არ გამოაცხადეთ? სამუშაოები ოქტომბრის თვეს არ უნდა გადასცდეს, რადგან ზამთარში ვერც გზების დაგება მოხერხდება და ვერც გაზიფიცირება, მადლს თუ შვებით, მარილიც მოაყარეთ,“** - მითითება მისცა ნოღაიდელმა ქარელს.

გორში უნდა განხორციელდეს წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების მეორე ეტაპი, რომელსაც მსოფლიო ბანკი ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განახორციელებს. გარდა ამისა, გორის რაიონში ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გორის რაიონის გამგეობას 3 მილიონი ლარი გადმოურიცხეს. ამ რაოდენობის თანხა მიიღო გორის რაიონის გამგეობამ შარშანაც. თანხის 80 პროცენტი გორის რაიონის სწორედ იმ სოფლებზე უნდა გადანაწილდეს, სადაც სამუშაოები შარშან დაიწყო და წელს დასრულებული სახე უნდა მიიღოს. აღნიშნული თანხით გორსა და გორის რაიონის სოფლებში გზების რეაბილიტაციაა გათვალისწინებული. ასევე უნდა მოხდეს შინდისი-ვარიანის გაზიფიცირება. ამ საქმეების განხორციელებისთვის პრეზიდენტის რწმუნებულმა სამი მილიონის გარდა, კიდევ მილიონნახევარი ლარის დამატება ითხოვა, იმ მოტივით, რომ თანხები საკმარისი არ არის.

**„ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს გაზიფიცირება, ლითონი გაძვირდა. ასევე გაძვირდა სხვა მასალები, თუ ადრე 15 კილომეტრს ნახევარი მილიონით ვაკეთებდით, წელს ამისთვის მილიონ ორასი ათასი ლარია საჭირო. ყველა სამუშაოს სრულყოფილად ჩატარებისთვის კიდევ მილიონ ნახევარი ლარი გვჭირდება, ასე აჩვენებს პროექტირება,“** - განაცხადა ქარელმა.

რასაც პრემიერის კომენტარი მოჰყვა: **„თქვენ დაპროექტება ცუდად გაგიკეთებიათ... ყველა ის სამუშაოები, რაც დაგეგმილია დაუყოვნებლივ დაიწყეთ. გამგებლებს ვთხოვ, ხელი შეუწყონ სამუშაოების ეფექტურად წარმართვას. მე კიდევ შევამოწმებ ამ სამუშაოებს, კვირაში ერთხელ გავაკონტროლებ, შედეგი მალე უნდა გვქონდეს სახეზე. ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება, ხაზს გავუსვამ გორის წყალმომარაგების პრობლემის მოგვარების საკითხს. სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება გამოიწვევს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასაც,“** - აღნიშნა ნოღაიდელმა.

საბოლოოდ, პრემიერმა მიხეილ ქარელს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა მოსთხოვა და იქვე საგანგებო დავალება მისცა: **„გავალებთ გადამამუშავებელი საწარმოების და სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერას. იზრუნეთ სანერგე მეურნეობების მოწყობაზე. შიდა ქართლში მეხილეობა მაღალ დონეზე უნდა განვითარდეს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო მალე გამოყოფს დაახლოებით ექვს მილიონი ლარის ინვესტიციას, რომელიც ძირითადად შიდა ქართლში უნდა განხორციელდეს,“** - ასეთი დავალებები მისცა პრემიერმა ქარელს, რომელიც არაერთხელ გამხდარა სახალხო დამცველის კრიტიკის ობიექტი სწორედ იმის გამო, რომ მეწარმეებს ავიწროებს.

ნოღაიდელის სანერგე მეურნეობების მოწყობით დაინტერესება, ქარელში AGVANTAGE-ს მიერ მოწყობილმა სანერგე მეურნეობამ გამოიწვია, სადაც უახლესი ჯიშის ნერგები გამოჰყავთ.

პრემიერმა გორში შეხვედრის გამართვამდე ხაშურის, ქარელის, გორის სხვადასხვა მშენებარე დაწესებულება მოინახულა, ვიზიტის დასასრულს კი გორში ძიუდოს სკოლის გახსნას დაესწრო.

# რუსი დეპუტატები პრეზიდენტების შეხვედრაზე დიდ იმედებს ამყარებენ

საქართველოში ვიზიტად მყოფი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ახმედ ბილალოვი და ანდრეი ჟუკოვი აცხადებენ, რომ არსებობს ყველანაირი წინაპირობა იმისთვის, რათა რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობა მეგობრობით შეიცვალოს.

როგორც გუშინ, გამართულ პრესკონფერენციაზე სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ახმედ ბილალოვმა აღნიშნა, პრობლემების დიდი ნაწილი შესაძლოა, 13 ივნისის შემდეგ მოგვარდეს, როდესაც ერთმანეთს სანკტ-პეტერბურგში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები შეხვდებიან. "ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს შეხვედრა ძალზედ ბევრ პრობლემას მოაგვარებს, ყოველ შემთხვევაში ამის წინაპირობა არსებობს“, - თქვა ბილალოვმა.

მანვე კმაყოფილება გამოთქვა საქართველოს პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეებთან შეხვედრასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საუბარი საკმაოდ გულწრფელი იყო. ანდრეი ჟუკოვიც ოპტიმისტურადაა განწყობილი საქართველო-რუსეთის პრეზიდენტებთან შეხვედრასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ მხარეები ყოველგვარი პროცედურების გარეშე პირდაპირ დიალოგზე უნდა გადავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ დღეს აღარ შედგება დღის წესრიგით გათვალისწინებული რუსი დეპუტატების ვიზიტი კახეთის რეგიონში, სადაც ისინი ქართული ღვინის წარმოებას უნდა გაცნობოდნენ. თავად დეპუტატების თქმით, ამის მიზეზი დროის უქონლობაა და.ისინი საქართველოს დღეს საღამოს დატოვებენ.

*მედიანიუსი*

# რა მოხდა ორთაჭალის საპყრობილეში?

პირველი გვერდიდან

**„როცა საზოგადოება ამ ჩანაწერს მოისმენდა, დარწმუნდებოდა, რომ ხმები ციხეებში არსებული ძალადობის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და ეს იყო ე. წ. „კანონიერი ქურდების“ კამპანია ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ. ბაჩოს აწყობდა ეს პროვოკაცია იმიტომ, რომ მასზე მიდიოდა ლაპარაკი გაზეთებში და ტელევიზიაში, რომ ის მთვრალი შედის, სცემს ხალხს“,** - სოზარ სუბართან საუბრისას განაცხადა მამარდაშვილმა.

მამარდაშვილის თქმით, წინასწარ დაგეგმილი სცენარი მაშინ შეიცვალა, როცა სასჯელაღსრულების მაღალჩინოსნები სპეცრაზმელებთან ერთად ციხის საავადმყოფოში მივიდნენ და მას თმა გადაპარსეს, რაც პატიმარმა გიორგი ავალიანმა გააპროტესტა. გიორგი ავალიანს ბაჩო ახალაიამ ხელი გაარტყა და მისგანაც საპასუხო დარტყმა მიიღო. ამის შემდეგ სპეცრაზმმა კონტროლი დაკარგა, საავადმყოფოს დირექტორის ოთახში მყოფი ოთხი პატიმარი - ავალიანი, ვიბლიანი, ცინდელიანი და მამარდაშვილი სასტიკად სცემა, რასაც ციხის სამკურნალო დაწესებულებაში ატეხილი ხმაური მოჰყვა, რომელმაც მოგვიანებით მეხუთე საპყრობილეში გადაინაცვლა.

**„პატიმარი დეტალურად აღწერს ბაჩო ახალაიას კაბინეტს. მამარდაშვილის აღიარების სიმართლეში ისიც გვარწმუნებს, რომ იგი პატიმარ ზედელაშვილთან ერთად სხვებისაგან იზოლირებული იყო და ციხის ადმინისტრაციის გარდა მათთან მესამე მსჯავრდებულს, ვიბლიანს ვერავინ შეიყვანდა“,** - აცხადებს სოზარ სუბარი.

ომბუდსმენის ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაცია პლატონ მამარდაშვილს თანამშრომლობის სანაცვლოდ თავისუფლებას დაჰპირდა. თუმცა, რადგან, მოვლენები სხვა სცენარით განვითარდა - პატიმარს თავისუფლების ნაცვლად ახალი ბრალდება - ამბოხის ორგანიზება წაუყენეს.

**„სწორედ ამის გამო გადაწყვიტა მამარდაშვილმა სიმართლის აღიარება,“** - ამბობს სოზარ სუბარი.

სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული ოპერატიული მასალა გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.

**„არ ვიცით, რამდენად სინამდვილეს შეეფერება ის, რასაც მამარდაშვილი ამბობს თავის ახსნა-განმარტებაში, თუმცა მივიჩნევთ, რომ ეს ფაქტები გამოძიებისათვის საყურადღებო უნდა იყოს. ამავე დროს მივმართავთ გენერალურ პროკურატურას, დაუყოვნებლივ ჩამოართვას ჩვენება მამარდაშვილს, სანამ მასზე განხორციელდება ზეწოლა. ასევე, უზრუნველყოს მისი პირადი უსაფრთხოება“,** - აცხადებს სოზარ სუბარი.

მისი თქმით, სახალხო დამცველის წარმომადგენლები ზეწოლისგან დასაცავად სისტემატურად გააკონტროლებენ პატიმრის მდგომარეობას.

ბაჩო ახალაია კი, რომლის პასუხისგებაში მიცემაც უკვე მოითხოვა საპარლამენტო ოპოზიციამ, სოზარ სუბარის განცხადებას გაუგებარს უწოდებს და სიმართლის დადგენის იმედი აქვს.

**„სახალხო დამცველს უფლება აქვს თქვას ყველაფერი, სიმართლეც და ტყუილიც, მას ვერ შევეკამათები, თუმცა, „კანონიერ ქურდებთან“ ალიანსში ჩემი დადანაშაულება გაუგებარი რამაა. იმედი მაქვს სიმართლე დადგინდება,“** - ასეთი განცხადება გააკეთა სოზარ სუბარის საპასუხოდ ბაჩო ახალაიამ, რომელსაც ალბათ, მოუწევს პროკურატურაში მისვლა და სიმართლის დასადგენად ჩვენების მიცემა. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გენერალური პროკურატურისთვის გაგზავნილი რეკომენდაცია დეპარტამენტის თავმჯდომარის დაკითხვასაც ითვალისწინებს.

რა მოხდა რეალურად 27 მარტს ორთაჭალის საპყრობილეში? - ამ შეკითხვაზე სრულყოფილი პასუხი ახლა უკვე გენერალურმა პროკურატურამ უნდა გასცეს. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული მასალა გენერალური პროკურატურის ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს.

*24 საათი*

## მოკლედ

### პარლამენტარები ესტონეთის საკანონმდებლო ორგანოს მადლიერები არიან

ქართველი პარლამენტარები ესტონეთის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობას ქართული ღვინის მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერის გამო მადლობას უხდიან.

როგორც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა დავით ბაქრაძემ განაცხადა, ესტონეთში პარლამენტთა ხელმძღვანელების შეხვედრაზე, რომელზეც ქართულ დელეგაციასთან ერთად ევროპის 43 ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე და დელეგაციის წევრი იმყოფებოდა, სტუმრებს ქართული ღვინით გაუმასპინძლდნენ.

„ეს მთლიანად ესტონეთის მხარის და ესტონეთის პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივა იყო. მინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ ესტონეთის მხარეს, ესტონეთის პარლამენტარებს ქართული ღვინის მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერისათვის“, - განაცხადა ბაქრაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### თავდაცვის უწყებაში ჰოლანდიელი ექსპერტები სტუმრობენ

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამდღიანი სამუშაო ვიზიტით ჰოლანდიელ ექსპერტთა ჯგუფი იმყოფება.

ექსპერტებმა თავდაცვის დაგეგმვისა და ფინანსების მართვის თემაზე რამდენიმე სამუშაო შეხვედრა და პრაქტიკული სწავლება უკვე ჩაატარეს. შეხვედრებში თავდაცვის სამინისტროს, გენერალური შტაბისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ვიზიტი საქართველოსა და ჰოლანდიის თავდაცვის უწყებებს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება, რომელსაც ხელი მიმდინარე წლის 15 თებერვალს მოეწერა. მემორანდუმის მიხედვით, ჰოლანდიელი ექსპერტები საქართველოს ერთი წლის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს დაგეგმვასა და ბიუჯეტირების სისტემის დახვეწაში (PPBS) დაეხმარებიან. **ინტერპრესნიუსი**

### ნინო ბურჯანაძემ აზერბაიჯანის უშიშროების მინისტრი მიიღო

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აზერბაიჯანის ნაციონალური უშიშროების მინისტრს ელდარ მაჰმუდოვს შეხვდა.

მათ ტერორიზმთან, ტრეფიკინგთან და ნარკობიზნესთან ერთობლივი ბრძოლის, აგრეთვე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის უსაფრთხოების საკითხებიც განიხილეს.

ნინო ბურჯანაძემ მაჰმუდოვთან საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება მზადაა მაქსიმალურად უზრუნველყოს აზერბაიჯანული ინვესტიციების განხორციელება.

შეხვედრაზე ითქვა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის სპეცსამსახურები ინტენსიურად გაცვლიან სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციებს.

შეხვედრის შემდეგ ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა. **მედიანიუსი**

### „მემარჯვენე ოპოზიცია“ პრეზიდენტს პუტინთან შეხვედრამდე რჩევებს აძლევს

ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ თავმჯდომარე დავით გამყრელიძე საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებს, რომ ვლადიმირ პუტინთან შეხვედრისას არ წავიდეს სახელმწიფოს ინტერესების შემლახველ კომპრომისებზე.

გამყრელიძის თქმით, საქართველომ რუსეთს არ უნდა დაუთმოს პრინციპული საკითხები, კერძოდ, სახელმწიფო საგარეო პოლიტიკა არ უნდა გადაიხედოს. "თუ პრეზიდენტი მსგავს დათმობებზე წავა, ეს ღალატის ტოლფასი იქნება“ - ამბობს გამყრელიძე.

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მოწოდებას, რომ პარლამენტის წევრებმა სააკაშვილი-პუტინის შეხვედრამდე რუსეთის კრიტიკისაგან თავი უნდა შეიკავონ, გამყრელიძე ამბობს, რომ ის არ აპირებს საკუთარი განცხადებების ბურჯანაძესთან შეთანხმებას.

„ბურჯანაძემ მსგავსი მოწოდებებით საპარლამენტო უმრავლესობას და იმ მინისტრს მიმართოს, რომელთაც სჩვევიათ მსგავსი სისულელეების წამოყრანტალება“, - დასძინა „მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერმა. **მედიანიუსი**

### რუსულმა ტანკებმა დღეს წალკა დატოვა

წალკის ტერიტორია გუშინ ათმა ერთეულმა თ-72-მა დატოვა. ტანკები ახალქალაქის სამხედრო ბაზიდან რამდენიმე დღის განმავლობაში გამოჰყავდათ. დღეს კი ეშელონი აზერბაიჯანის გავლით რუსეთის ფედერაციაში გაემგზავრა.

სამხედრო ტექნიკის უსაფრთხო გადაადგილების პროცესს ქართულ-რუსული ერთობლივი კომისია აკონტროლებდა. ახალქალაქის ბაზიდან რუსული სამხედრო ტექნიკა თითქმის ყოველდღიურად გამოჰყავთ, რომელიც ძირითადად წალკის ტერიტორიაზე იყრის თავს და რუსეთში გადის.

შეთანხმების მიხედვით, ახალქალაქის სამხედრო ბაზის საქართველოდან სრულად გასვლის პროცესი 2007 წელს დასრულდება. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# სანქტ-პეტერბურგული შეხვედრის თბილისური პრელუდია

პირველი გვერდიდან

იგი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების თემასაც ეხება: **„ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებებით იქმნება პოზიტიური ფონი. როდესაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები დარეგულირდება, და ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდება, უკვე იარსებებს წინაპირობა იმისა, რომ ქართულ-აფხაზური დიალოგი წარმატებული იყოს. მაგრამ თუ არ იქნება დაძლეული რუსეთის წინააღმდეგობა, მხოლოდ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები შედეგს ვერ მოიტანს.“**

რაც შეეხება რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაციასთან საუბარს, სახელმწიფო მინისტრი მას მნიშვნელოვანს უწოდებს და აღნიშნავს, რომ რუსი პარლამენტარები მას **„ბევრ რამეში დაეთანხმნენ“**. ხაინდრავა მზად არის, პირადად ჩავიდეს დუმაში და ქართული მხარის ხედვა გააცნოს იმ ადამიანებს, ვისაც **„ძალიან ბევრი ეჭვი აქვს“...**

ის, რომ სახელმწიფო მინისტრის შეხვედრა ოპოზიციურ ფრაქციასთან კონსტრუქციულად ჩატარდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „მემარჯვენეები“ ხაინდრავას მოსაზრებებს მთლიანად იზიარებენ. მეტიც, როდესაც სააკაშვილ-პუტინის მომავალ შეხვედრაზეა საუბარი, გიორგი ხაინდრავასა და დავით გამყრელიძის შეხედულებები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან.

**„რუსეთსა და საქართველოს შორის დიალოგი ძალიან მნიშვნელოვანია და სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, როდესაც სააკაშვილ-პუტინის შეხვედრა დაინიშნა. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტი, ქვეყნის ინტერესების სანაცვლოდ, არ უნდა დათანხმდეს რაღაც მცირე დივიდენდების მიღებას, რომელიც მას რეიტინგის ასამაღლებლად სჭირდება... რაც არ უნდა მიმზიდველი იყოს პუტინისგან წამოსული წინადადებები, არც ერთი საკითხი არ უნდა გადაწყდეს საქართველოს ინტერესების საზიანოდ და ამ ინტერესების დათმობის ხარჯზე. ჩვენი საგარეო კურსისა და პრიორიტეტების გადასინჯვა დაუშვებელია. ნატო-ში ინტეგრაციაზე უარის თქმა ქვეყნის ღალატის ტოლფასი იქნება,“** - აცხადებს დავით გამყრელიძე.

„მემარჯვენეების“ თავმჯდომარე პარლამენტის სპიკერის ნინო ბურჯანაძის იმ ინიციატივასაც ეხმაურება, რომელიც, სააკაშვილ-პუტინის შეხვედრამდე, ოფიციალური მოსკოვის მიმართ მკვეთრი გამოთქმებისგან თავის შეკავებას გულისხმობს.

**„რუსეთის მიმართ შეურაცხმყოფელ განცხადებებს ჩვენ არ ვაკეთებთ, ხოლო თუ რომელიმე მოვლენას პოლიტიკურ შეფასებებს მივცემთ და პოზიციას დავაფიქსირებთ, ეს ბურჯანაძის გადასაწყვეტი არ არის“**, - აღნიშნავს დავით გამყრელიძე.


ზურაბ ბოლქვაძის ფოტო

ხაინდრავა მზად არის, პირადად ჩავიდეს მოსკოვში და შეხვედრები გამართოს სახელმწიფო სათათბიროში.

# წინადადება, რომელზეც უარს არ (ვერ) იტყვიან

პირველი გვერდიდან

ხავიერ სოლანას განცხადებით, დასავლეთს სურს ირანთან ახალი ურთიერთობები და თანამშრომლობა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ თეირანის მხრიდან ადეკვატური მიდგომა იქნება.

ევროკავშირის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის აზრით, ირანის პოზიცია დადებითი და, ამავდროულად, ორივე მხარისათვის მისაღები იქნება. დადებითი შედეგების მიღწევის პერსპექტივაზე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩერ მოტაკიმაც ისაუბრა, რომელიც ხავიერ სოლანას ესაუბრა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი მიიჩნევს, რომ „ექვსეულის“ მიერ შედგენილი დოკუმენტი მასში მონაწილე ყველა ქვეყნის აზრის გათვალისწინებით არის შედგენილი. თუ ადრე რუსეთისა და აშშ-ს პოზიციები ირანთან დაკავშირებულ საკითხებში თანხვედრაში არ მოდიოდა ერთმანეთთან, ეხლა ეს პრობლემაც გარკვეულწილად მოგვარდა. ლავროვის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ესაუბრა თავის ამერიკელ კოლეგას ჯორჯ ბუშს. საუბრის შედეგად ნათელი გახდა, რომ მათი პოზიციები მაქსიმალურად დაუახლოვდა ერთმანეთს და მათ შეთანხმებას მიაღწიეს.

თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტორიც, რომ საბოლოო შედეგის მიღებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, ვინაიდან დასავლეთი ირანისაგან ურანის გამდიდრების პროგრამის შეწყვეტას მოლაპარაკებების დაწყებამდე მოსთხოვს, ხოლო ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი აცხადებს, რომ თეირანი თავის კანონიერ უფლებაზე უარს არ იტყვის, ამიტომ ძნელია იმის განსაზღვრა, თუ სადამდე გაგრძელდება მხარეებს შორის ამგვარი კონფრონტაცია.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მიიჩნევს, რომ დასავლეთთან ურთიერთობაში ირანს მხოლოდ ორი გზა აქვს: ერთი გზა არის თანამშრომლობა, ხოლო მეორე კი - კონფრონტაცია: „თუ აშშ-ს მიდგომას მივიღებთ მხედველობაში, ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული დაძაბულობა მხარეებს შორის კონფრონტაციაში გადაიზრდება და თუ ასე მოხდა ირანი თავისი უფლებების დასაცავად ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს.



ხავიერ სოლანამ თეირანში მშვიდობის შენარჩუნების „ბოლო“ შანსი ჩაიტანა.

# „თვითგამორკვევის“ ზეიმი ცხინვალში

პირველი გვერდიდან

**„სამხრეთ ოსეთმა თვითგამორკვევის პროცესი უკვე გაიარა, მაგრამ არჩეული გზიდან არასოდეს გადაუხვევს. ჩვენ გვსურს, რომ საქართველომ რუსეთთან მოაწესრიგოს ურთიერთობა, მაგრამ არა ჩვენს ხარჯზე,“** - განაცხადა კოკოითმა.

სააკაშვილსა და პუტინს შორის დაგეგმილ შეხვედრას „ნორმალურ პოლიტიკურ პროცესად“ აფასებს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში. მისი მტკიცებით, სააკაშვილი-პუტინის შეხვედრიდან სოხუმი და ცხინვალი **„ზებუნებრივს არაფერს ელიან“**, ვინაიდან **„საქართველომ თავისივე მოქმედებით თავი ჩიხურ სიტუაციაში ჩაიგდო და მას რუსეთთან გასარკვევი აქვს ურთიერთობები ღვინოსთან, ასევე მინერალურ წყალთან და არა სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით.“**

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის განცხადებით, **„კოსოვოსა და ჩერნოგორიის სტანდარტები აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა დიდი ხანია გაიარეს“**.

სერგეი ბაგაფში თვითალიარებული რესპუბლიკების - სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის პრეზიდენტების სოხუმში შეხვედრას არ გამორიცხავს. **„ჩვენ მშვიდობის და არა ომის საკითხებზე ვიმსჯელებთ,“** - აღნიშნა სერგეი ბაგაფშმა. მისი განცხადებით, სოხუმის შეხვედრაზე მხარეები იმსჯელებენ, **„თუ როგორ არ უნდა შეუშალონ ხელი დნესტრისპირეთს სხვადასხვა სახის ბლოკადებით და სამხრეთ ოსეთს სახელმწიფოს მშენებლობაში“**.

ცხინვალს სოხუმში, ხოლო სოხუმს ცხინვალში საელჩოები ექნებათ და „სრულუფლებიანი ელჩებიც“ ეყოლებათ - ამის შესახებ გუშინ ცხინვალში სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა მურად ჯიოევმა განაცხადა. ჯიოევი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის ინტეგრაციულ პროცესებს მიესალმება და აცხადებს, რომ იგი კმაყოფილებას გამოთქვამს ამ ორ რესპუბლიკას შორის დაახლოებისა და თანამშრომლობის გაღრმავების ტენდენციის გამო.

ამავე დროს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა „ნეზავისიმაია გაზეტასათვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მისი განცხადება „ერთა თვითგამორკვევის უფლების“ პატივისცემის აუცილებლობის შესახებ **„არ შეიცავს არაფერს, რაც ფაქტებს არ ასახავს“**. ლავროვის თქმით, **„ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ მოუწესრიგებელი კონფლიქტების პირობებში საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებს რეალურად ვერ აკონტროლებს. სახელმწიფოს სუვერენიტეტი, საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფოს უნარია საკუთარი ტერიტორია აკონტროლოს.“**

საქართველოსთვის იმ ტერიტორიების გაუკონტროლებლობის დაყვედრებასთან ერთად, რომლებიც რეალურად რუსეთის მიერ კონტროლდება, ლავროვმა ქართული მხარე მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე უარის თქმაში დაადანაშაულა. კერძოდ, მისი თქმით, საქართველო უარს ამბობს შერეული საკონტროლო კომისიის შეკრებაზე, ერთობლივ სამშვიდობო გეგმაზე მუშაობასა და შეთანხმების ხელმოწერაზე მხარეების მიერ ძალის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

**„რას შეეხება თვითგამორკვევის უფლებას, ესეც საერთაშორისო სამართლის ნაწილია და ხალხის ნების გამოხატვით ხორციელდება. მაგალითად, ჩეჩნეთის რესპუბლიკის შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლება რეფერენდუმზე ამ საკითხის გატანას არ შეუშინდა. ასე რომ, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ხალხის ნების გამოხატვა უკვე შედგა,“** - განაცხადა ლავროვმა.

ლავროვი მიიჩნევს, რომ რუსეთში შემავალი რეგიონების „თვიოთგამორკვევა“ უკვე შედგა და **„რუსეთის ხალხებმა საკუთარ კონსტიტუციას მისცეს ხმა“**. აქედან გამომდინარე, ლავროვი რუსეთში რაიმე სეპარატისტულ ტენდენციებს გამორიცხავს.

კითხვაზე, თუ როგორ იმოქმედებს რუსეთი იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონფლიქტების მოგვარების ძალისმიერ გზას აირჩევს, ლავროვმა განაცხადა, რომ **„ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ძალისმიერი ვარიანტი არ დავუშვათ“**.

**„რუსეთი არა მხოლოდ დიდი ქვეყანაა ძალზე რთული და წინააღმდეგობრივი სახელმწიფო წყობით, რეგიონების სხვადასხვა სტატუსით. ის, ასევე, უფრო დიდი ქვეყნის ნამსხვრევია, რომელიც სულ რაღაც 15 წლის წინ დაიშალა. რუსეთი არის ქვეყანა, რომელსაც ჩეჩნეთის სახით საკუთარი „სამხრეთ ოსეთი“ აქვს. ეს მიზეზები კი რუსეთის ხელისუფლების ნებისმიერ ოფიციალურ წარმომადგენელს ავალდებულებს, ცალსახად აღიაროს მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა, კამინინისვე** (რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი, - რედ.) **სიტყვებით, არა როგორც „შესაძლო მდგომარეობა“, არამედ როგორც „არსებული პოლიტიკური რეალობა,“** - მიიჩნევს რუსი მიმომხილველი სემიონ ნოვოპრუდსკი.

**„იგივე მიზეზით, რუსეთის ვერც ერთმა სახელმწიფო თანამდებობის პირმა „თვითგამორკვევის უფლებაზე“ კრინტიც ვერ უნდა დაძრას,“** - აღნიშნავს იგი.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე
დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-100
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# ოფიციალური მოსკოვი ბერეზოვსკის ამაოდ ელის

ბრიტანეთი რუსეთს ბორის ბერეზოვსკის არ გადასცემს. სასამართლომ, რომელიც ლონდონში, ბოუსტრიტზე მდებარეობს, არ დააკმაყოფილა რუსეთის მოთხოვნა დიდი ბრიტანეთიდან რუსეთში მულტიმილიონერის ბორის ბერეზოვსკის ექსტრადიციის შესახებ.

მოსამართლის ტიმოთი უორკმანის აზრით, ბერეზოვსკის რუსეთის ხელისუფლებისათვის გადაცემა არ შეიძლება, ვინაიდან მან ბრიტანეთსაგან პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა და იგი, ამჟამად ჟენევის კონვენციის მფარველობის ქვეშ იმყოფება.

სასამართლოს წარმომადგენლების ინფორმაციით, ამგვარი გადაწყვეტილება სასამართლომ 1 ივნისს მიიღო. მოსამართლის თქმით, ექსტრადიციის პროცედურა „უსარგებლო იქნებოდა და ბრიტანელ გადასახადის გადამხდელებს ძალიან ძვირი დაუჯდებოდათ“.

„ეს ასე იმიტომ იქნებოდა, რომ მინისტრი უბრალოდ ვერ გასცემდა განკარგულებას მისი რუსეთში ექსტრადიციის შესახებ“, - აღნიშნა უორკმანმა, რომელიც ვერდიქტს ბერეზოვსკისათვის ბრიტანეთის მიერ 2003 წელს პოლიტიკური თავშესაფრის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით ამართლებს.

მიმდინარე წლის მარტში, რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ 59 წლის ბიზნესმენის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. რუსეთის გენპროკურატურა ბერეზოვსკის რუსეთში ძალადობრივი გზით ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად მიმართულ ქმედებებში ადანაშაულებს.

**„პრეზიდენტი პუტინი არღვევს კონსტიტუციას და დღეს ოპოზიციის მხრიდან ძალადობრივი მოქმედებები გამართლებული იქნება. ეს ეხება ხელისუფლების ძალადობრივი გზით ხელში აღებას, რაზედაც ამჟამად მე ვმუშაობ“**, - განაცხადა ბერეზოვსკიმ რადიოსადგურ „ეხო მოსკვი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში. ამ განცხადებას ლონდონში რეაქცია მოჰყვა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ მაშინ განაცხადა, რომ ბრიტანეთში ბერეზოვსკის პოლიტიკური დევნილის სტატუსი, შესაძლოა, გადაიხედოს. თუმცა, მანამდე ლონდონს მოსკოვისათვის ბერეზოვსკის რუსეთში ექსტრადიციაზე უარი უკვე ჰქონდა ნათქვამი. ბერეზოვსკი დიდ ბრიტანეთში 2000 წლიდან ცხოვრობს.

პრეზიდენტ ბორის ელცინის მმართველობის პერიოდში, ბორის ბერეზოვსკის რუსეთის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი პოზიცია ეკავა და მან დიდი როლი ითამაშა ელცინის შემდეგ, ვლადიმერ პუტინის გაპრეზიდენტებაში. მიუხედავად ამისა, ბერეზოვსკი „ოლიგარქთაგან“ პირველი აღმოჩნდა, რომელსაც პუტინის მმართველობის პერიოდში, ხელისუფლების ზეწოლის შედეგად ქვეყნის დატოვება მოუწია.

# უკრაინაში საპარლამენტო კოალიციაზე მუშაობენ

უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოს განცხადებით, საპარლამენტო კოალიცია 27 ივნისამდე ჩამოყალიბდება. მისი თქმით, პროცესი „მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მიმდინარეობს“.

იუშენკომ ჟურნალისტებს წარუდგინა მოლაპარაკებების ტექსტი, რომელშიც „შესაძლებელია კოალიციის პოზიციის ნახვა ყველა იმ საკითხზე, რომლებიც უკრაინაში განხეთქილებებს იწვევს“.

**„მასში დარეგულირებულია ენის პოლიტიკის, ასევე უკრაინის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხები“**, - აღნიშნა იუშენკომ.

27 ივნისს იწურება ვადა, რომელიც უკრაინის კონსტიტუციითაა განსაზღვრული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კოალიციის ფორმირებისთვის. უკრაინაში საპარლამენტო არჩევნები 2006 წლის 26 მარტს გაიმართა. გაიმარჯვა რეგიონების პარტიამ, თუმცა მის მიერ მოპოვებული მანდატები უმრავლესობის ფორმირებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მეორე ადგილზე გავიდა იულია ტიმოშენკოს ბლოკი, მესამე ადგილზე - პროსაპრეზიდენტო „ნაშა უკრაინა“, მეოთხეზე კი სოციალისტური პარტია. თუ კოალიციის შექმნაზე შეთანხმება 27 ივნისამდე ვერ მოხერხდება, აუცილებელი გახდება პარლამენტის დათხოვნა და ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება.

# „სტატისტიკისთვის გახსნილი საქმე“

**„პოლიციის, დაზარალებულისა და მოწმის მიერ ერთობლივად დადგმული სპექტაკლი“,** - ასე აფასებს ადვოკატი ეკა ბესელია მისი დაცვის ქვეშ მყოფის, იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაკავებულის, თუმცა მოგვიანებით განზრახ მკვლელობასა და განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულის ირაკლი მალანიას წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს.

**„თუკი სასამართლო ისეთი ტენდენციით განაგრძობს საქმის გამოძიებას, რა ტენდენციაც პროცესის დაწყებისთანავე და მისი მიმდინარეობისას უკვე აშკარად გამოიკვეთა, ეს იქნება იმის დასტური, რომ საქართველოში მართლმსაჯულება მართლაც არ არსებობს“,** - აცხადებს ადვოკატი.

სასამართლო პროცესზე უკვე დაიკითხა საქმეში დაზარალებულად ცნობილი მიხეილ სულავა, რომლის განცხადების საფუძველზეც მოხდა ირაკლი მალანიასთვის განზრახ მკვლელობისა და განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებების წარდგენა. შეგახსენებთ, რომ იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაკავებული, რომელსაც ტელეეთერით მთელი დღის განმავლობაში აჩვენებდნენ, მიხეილ სულავამ, როგორც საქმის მასალებშია და როგორც თავად აცხადებს, მასზე და მის მეუღლეზე სამი წლისა და სამი თვის წინ განხორციელებულ თავდასხმაში მონაწილედ მიიჩნია და პოლიციას მიმართა. დაზარალებულის სასამართლო ჩვენებამ ბევრი საეჭვო კითხვა დაბადა. მიხეილ სულავამ ვერაფრით ახსნა საქმის წინასწარ ძიებაში და წლების შემდეგ მიცემულ ჩვენებებს შორის არსებული არსებითი განსხვავების მიზეზი. რაც მთავარია, მიხეილ სულავას მიერ თავდაპირველად აღწერილი თავდამსხმელი და განსასჯელი მალანია აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. სხვათა შორის, გამოძიების მსვლელობისას მიხეილ სულავამ ფოტოსურათით ვინმე კულიკოვიც ამოიცნო. რაც ყველაზე საინტერესოა, გარეგნულად მალანია და კულიკოვი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან.

დაზარალებულის დაკითხვის შემდეგ სასამართლო პროცესზე საქმეში ერთადერთი მოწმე, ჯიხურის გამყიდველი ნათია ტაბატაძე დაიკითხა, რომელიც მიხეილ სულავასა და მის მეუღლეზე განხორციელებული თავდასხმისას ჯიხურში იმყოფებოდა.

ისევე როგორც დაზარალებულმა მიხეილ სულავამ, მოწმე ნათია ტაბატაძემაც ვერ ახსნა სასამართლო სხდომაზე მის ჩვენებებს შორის არსებული ურთიერთგამომრიცხავი დეტალები. საქმეში დევს ყაჩაღური თავდასმის დღესვე, 2002 წლის 20 მარტს ტაბატაძის მიერ სამართალდამცველებისთვის მიცემული ახსნა-განმარტებები, რომელთა მიხედვითაც, მოწმეს ერთ-ერთი თავდამსხმელი ახსოვს, მეორეს ამოცნობა კი სათუოდ მიაჩნია. არადა, მოწმე აცხადებს, რომ ტელევიზიით ნანახ კადრებში, იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით მალანიას დაკავებისას ანუ, ჯიხურზე მომხდარი თავდასხმიდან სამი წლისა და სამი თვის შემდეგ, მეორე თავდამსხმელად მან სწორედ მალანია ამოიცნო.

თუმცა, მოწმეს სასამართლო პროცესზე წამოსცდა, რომ მალანია პირველად დროებითი დაკავების საკანში ნახა, როდესაც ის ამოცნობაზე შეიყვანეს.

**„მოწმე ნათია ტაბატაძე ამბობს, რომ სწორედ ამოცნობის პროცედურისას დაუსვა გამომძიებელმა მალანიას შეკითხვა და პასუხის გაცემისას ხმით ამოიცნო. არადა, ამოცნობის დროს ეჭვმიტანილები დუმდნენ. ყველაზე საინტერესო დეტალი კი ის არის, რომ, როგორც მოწმე ირწმუნება, ამოცნობის დროს მას ოთხი პიროვნება დაუყენეს და ამ ოთხში სწორედ მალანია ამოიცნო. არადა, ამოცნობის ოქმში მალანია საერთოდ არ არის დაფიქსირებული. თუკი ნათია ტაბატაძეს ისეთი უნიკალური მეხსიერება აქვს, რომ თითქმის სამწლინახევრის წინ ნანახი თავდამსხმელი იცნო, რატომ ვერ იხსენებს ის იმ პიროვნებებს და ვერ აღწერს, რომლებიც მას დაუყენეს ამოცნობაზე? დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებები ტყუპისცალივით გვანან ერთმანეთს. შეუძლებელია, ორივეს ზუსტად ერთნაირად ეშლებოდეს, ერთნაირად ვერ ხსნიდნენ სხვადასხვა დროს მიცემულ ჩვენებებს შორის რადიკალურ განსხვავებებს, და უამრავ შეკითხვაზე პასუხობდნენ ორი სიტყვით - არ ვიცი, არ მახსოვს - თუკი ეს ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული და წინასწარ ჩამოყალიბებული არ არის“,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ირაკლი მალანიას ინტერესების დამცველმა.

ეკა ბესელია დარწმუნებულია, რომ ირაკლი მალანიას საქმე თავიდანვე შეკერილია. ადვოკატის განმარტებით, ამას თუნდაც ის უტყუარი ალიბიც მოწმობს, რომლის მიხედვითაც, ჯიხურზე მომხდარი თავდასხმის დროს ირაკლი მალანია უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა და დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო, რასაც სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაც ადასტურებს.

**„პოლიციამ ერთი გახმაურებული მკვლელობის საქმე გახსნილი საქმეების სტატისტიკას მიამატა“,** - ასეთია მალანიას ინტერესების დამცველის დასკვნა, რომელსაც მართლმსაჯულების ობიექტურობის იმედი აღარ აქვს.

*24 საათი*

# დაპატიმრებული პოლკოვნიკი და ლევან კალაძის საქმის გაუხმაურებელი დეტალები

პირველი გვერდიდან

გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავების საფუძველი იარაღის უკანონო ტარება-გამოყენებისთვის გასამართლებული აფრასიძეების მოსამსახურის ვლადიმერ მურავიოვის ჩვენებებმა გახდა. როგორც ცნობილია, აფრასიძეების ოჯახში განხორციელებული სპეცოპერაციის შემდეგ დაპატიმრებულმა მურავიოვმა, ჩვენებაში დააფიქსირა, რომ ლევან კალაძე და მარიამ გოგინაშვილი აფრასიძეების ოჯახში ნახა. მურავიოვი დღეს ირწმუნება, რომ აღნიშნული ჩვენებები სწორედ ბათუ საღინაძემ დააწერინა იძულებით...

თბილისის საქალაქო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილებით, ბათუ საღინაძეს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა. ლევან კალაძის გატაცების საქმის ყოფილ გამომძიებელს ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება - რამაც ფიზიკურ პირსა და სახელმწიფოს ინტერესებს ზარალი მიაყენა, ჩვენებების გამოძალვა მუქარით, იძულებითა და მოტყუებით, საიდუმლო დოკუმენტაციების გადამალვა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა.

სასამართლო პროცესზე ბათუ საღინაძემ წარდგენილი ბრალდების არც ერთ მუხლში თავი დამნაშავედ არ სცნო და განმარტა, რომ მისი დევნა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა მას შემდეგ დაიწყეს, რაც ლევან კალაძის საქმის გამოძიების პერიოდში სწორ კვალს დაადგა. თუმცა, როგორც კი საქმის გახსნა დაიწყო, იგი ჩამოაცილეს გამოძიებას და მისი ოჯახის დევნაც დაიწყო.

**„ბათუ საღინაძე თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ადამიანთა გამტაცებლების სერიოზულ ჯგუფზე გავიდა, რომელიც შეკრული იყო მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან. ამ ჯგუფის წევრები ამჟამინდელი ძალოვანი სტრუქტურების უწყებებშიც მუშაობენ, ამიტომ საღინაძის დევნა, მათ მიერ ანგარიშსწორებად აღიქმება,“** - განაცხადა სასამართლო პროცესზე ბათუ საღინაძეს ადვოკატმა კობა ქამხაძემ.

დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ 70 წლის ადამიანის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა დაუშვებელია, მაგრამ მართლმსაჯულებამ გამოძიების ვერსია გაიზიარა - ბრალდების მხარის მოთხოვნით, არსებობს საშიშროება, რომ ბათო საღინაძე გამოძიებას დაემალება და ამიტომ იგი პატიმრობაში უნდა იყოს.



ბათუ საღინაძეს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა.

## ვინ არის ბათუ საღინაძე?

აფხაზეთის ომის შემდეგ პოლიკოვნიკი ბათუ საღინაძე, რომელიც წლების განმავლობაში აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, სამუშაოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გადავიდა. მოგვიანებით მაშინდელ შს მინისტრთან კახა თარგამაძესთან მომხდარი უთანხმოების გამო მან სამინისტრო დატოვა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი ბათუ საღინაძე შინაგან საქმეთა სამინისტროში გაუხსნელი, გახმაურებული გატაცებების გამოძიების მიზნით შექმნილ ოპერატიულ-სამძებრო სამმართველოს ხელმძღვანელობა. ბათუ საღინაძე ჯერ კიდევ ორი წლის წინ „24 საათთან“ საუბრისას ირწმუნებოდა, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ, კალაძის და სხვა გახმაურებულ გატაცებებთან დაკავშირებით, საკმარისი მასალა შეაგროვა, სადაც დაფიქსირებულია როგორც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, ასევე იმ სამართალდამცველების გვარებიც, რომლებიც აღნიშნული საქმის გამოძიება-გახსნას ხელს უშლიდნენ. საღინაძე აღნიშნავდა იმისაც, რომ ლევან კალაძის საქმის გახსნას სამინისტროში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მიუხედავად ამისა, მისმა სამმართველომ შეძლო მოლაპარაკებაზე დაეთანხმებინა სვანეთში გავლენიანი ფიგურა ომეხი აფრასიძე, რომელიც, მართალია, საღინაძის მტკიცებით, კალაძის გატაცებაში არ მონაწილეობდა, მაგრამ გარკვეულ ინფორმაციას ფლობდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, აფრასიძისაგან თანამშრომლობაზე თანხმობის მიღებიდან ორ დღეში სოფელ ეცერში სპეცოპერაცია ჩატარდა, რა დროსაც ომეხი აფრასიძე და მამამისი ევგენი აფრასიძე მოკლეს. ორი ძმა - გოჩა და შმაგი აფრასიძეები და მათი მოსამსახურე ვლადიმერ მურავიოვი კი დააპატიმრეს.

სპეცოპერაციიდან ცოტა ხანში შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის გუნდმა ბათუ საღინაძე კალაძის საქმის გამოძიებას ჩამოაშორა და იგი სამინისტროდან დაითხოვა.

სხვათა შორის, მაშინ ლევან კალაძის გატაცების კავშირი მისი ძმის, კახი კალაძის ტრანსფერთან და სვანურ დაჯგუფებასთან, სწორედ ბათუ საღინაძემ გაახმაურა. დღეს კი, მისი დაპატიმრების მიზეზს პოლიციის პოლკოვნიკი სწორედ ფეხბურთის ფედერაციის და შს სამინისტროს მაღალჩინოსნების დაინტერესებით ხსნის.

## ვლადიმერ მურავიოვი - საჭირო მოწმე

ძმები აფრასიძეებისა და ვლადიმერ მურავიოვის დაპატიმრების შემდეგ აფრასიძეების ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი „24 საათთან“ საუბარში არაერთხელ აღნიშნავდა, რომ საპყრობილეში მურავიოვის ოპერატიული დამუშავება ხდებოდა, რისი დოკუმენტური მტკიცებულებაც არსებობს და კანონის ამ დარღვევაზე იგი დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვდა, თუმცა, მაშინ ადვოკატის ამ განცხადებით არც ერთი სამართალდამცველი ორგანო არ დაინტერესებულა.

სწორედ ოპერატიული დამუშავების შედეგად დაწერა ვლადიმერ მურავიოვმა, რომ აფრასიძეების სახლში ნახა გატაცებული ლევან კალაძე და მარიამ გოგინაშვილი. მეტიც, აფრასიძეების მოახლე იმასაც ირწმუნებოდა, რომ ზუსტად იცოდა, სად იყო დასაფლავებული ლევან კალაძე.

**„მიუხედავად იმისა, რომ მურავიოვმა აღნიშნული ჩვენება დაწერა, ჩვენს სამმართველოს იგი სარწმუნოდ არ მიუჩნევია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სვანეთში საფლავის საძებნელად არ წავსულვართ. ვისაც სჭირდებოდა იმ ვერსიის დანერგვა, რომ კალაძის გატაცება აფრასიძეებისთვის დაებრალებინა, საგვარეულო საფლავებიც იმათ გათხარეს,“** - ამბობდა ჯერ კიდევ ეთერში განხორციელებული გათხრების შემდეგ „24 საათთან“ საუბარში ბათუ საღინაძე.

არადა, მურავიოვის ტელეეთერით დემონსტრირება სამართალდამცველებმა სწორედ სამარხის გათხრების დროს მოახდინეს. ჩონჩხების ფონზე გადაღებული მურავიოვი მიუთითებდა, რომ აღმოჩენილი ცხედარი ლევან კალაძე იყო. სამარხიდან ამოღებული ძვლები ექსპერტიზისთვის მაშინ FBI-ში გაიგზავნა. ოპერაციის ხელმძღვანელმა, შს მინისტრის მოადგილემ ლევან გვაზავამ კი, რომელიც მანამდე ეცერში განხორციელებულ სპეცოპერაციაშიც მონაწილეობდა, მადლობა დაიმსახურა.

მურავიოვის არსებობა სამართალდამცველებს ლევან კალაძის საქმის გახსნის შემდეგაც გაახსენდათ. აფრასიძეების სასამართლო პროცესზე, რომელიც ჯერ კიდევ შუა განხილვაში იყო, მურავიოვმა ჩვენება შეცვალა და ოფიციალურად განაცხადა, რომ ლევან კალაძე აფრასიძეებთან არასდროს უნახავს და ძველი ჩვენება მაშინდელმა სამართალდამცველებმა (მათ შორის ბათუ საღინაძემ) იძულებით დააწერინეს. საჭირო მოწმის აღიარების შემდეგ, ძმები აფრასიძეების პროცესი ისე დასრულდა, რომ მათმა ადვოკატებმა სასამართლოს ვერდიქტი ტელევიზიით მოისმინეს.

მურავიოვის ფიგურა დღესაც აქტუალურია. ბათუ საღინაძის დაპატიმრების საფუძველი სწორედ მისი მორიგი ჩვენება გახდა. შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში იგი ირწმუნება, რომ ეცერის სამარხი სამართალდამცველებს იმიტომ გაათხრევინა, რომ ბათუ საღინაძე მას პატიმრობიდან გათავისუფლებას დაჰპირდა. მურავიოვი კვლავ ტყუის, სამარხის გათხრის დროს საღინაძე სამინისტროში აღარ მუშაობდა და, აქედან გამომდინარე, მას ვერც გათავისუფლების პირობას მისცემდა.

ამჯერად ვის შეკვეთას ასრულებს „საჭირო მოწმე“ ალბათ, მომავალში გახდება ცნობილი, მით უმეტეს, რომ ლევან კალაძის საქმის გამოძიება არ დასრულებულა და უამრავი შეკითხვა ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია.

## გაუხმაურებელი ფაქტები

პასუხი უნდა გაეცეს ბათუ საღინაძის კიდევ ერთ ვერსიას - კალაძის გატაცებაში „სვანური დაჯგუფების“ მონაწილეობას. ამ საკითხზე სამართალდამცველები ჯერჯერობით არ საუბრობენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში წლების განმავლობაში ინახებოდა ფარული სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელიც თავის დროზე შეიძლებოდა საქმის გახსნის საფუძველი გამხდარიყო, თუმცა, ეს ასე არ მოხდა. „24 საათი“ გთავაზობთ აღნიშნული საუბრის ჩანაწერს, რომელიც თავის დროზე კალაძეების ადვოკატმა ზურაბ დგებუაძემ მოგვაწოდა.

2003 წელს, შს მაშინდელი მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის დავალებით, კალაძის გატაცებაში ეჭვმიტანილ დანაშაულებრივ ჯგუფში შეგზავნილი იყო აგენტი, რომელიც კალაძის გატაცებაში მონაწილე ერთ-ერთ პირს ესაუბრება. ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტში მოსაუბრეთა ვინაობა გაშიფრული არ არის, თუმცა ჩვენი ინფორმაციით, მისი ვინაობა სამართალდამცველებისთვის იმთავითვე ცნობილი იყო.

**ნ.** - *კასეტის გარეშე საქმე არ გაიხსნებოდა და საქმე ცუდად წამივიდოდა. სანამ „ტრუპს“ არ ნახავდნენ, თავს არ დამანებებდნენ, მერე საქმის გახსნაც მოუნდებოდათ.*

**რ.** - *რისი გადამხდელია, მერე გამოჩნდა, მაგათი „ნაკოლით“ ბევრი ხალხი აყარეს... რამდენჯერაც ფული უნდა მიეტანა, იმდენჯერ კუდი მიყვებოდა მამამისს. მაგრები არიან, ყველგან ჰყავთ თავიანთი ხალხი. ერთი „კანონიერი ქურდია“...*
*ხო, როგორი „სასტავია“ იცი, საზღვარგარეთიდან რომ დარეკავენ და იტყვიან, ეს კაცი აღარ უნდა იყოსო... ქალი გარეული კი არ არის ამ საქმეში, საქმე იცის. მე ამ ქალიდან ვიცი, ზოგი რამ კი „ჩალიჩით“ გავიგე, თორემ, მე კი არ ამომითხრია, ვნახე, სად იყო ნათრევი. რომ ვიცოდე, ის კაცი ფულს გადაიხდის და კუდი არ მომყვება, გავრისკავდი. მერე ეგენი უკვე „ცეპს“ მოყვებიან. საქმე უკვე თითქმის გახსნილია და ჩვენ დაგვერხევა. მაგას ჯერ უნდა აუყარონ „პადელნიკები“, რომ გავიდნენ იმაზე. სულ იყვნენ რვა კაცი. რომ ვკითხე, რატომ „დაბრიდეთო“, მითხრა, რომ გაეშვათ, ესენი ყველანი „დამწვრები“ იყვნენო. ეტყობა, იცნობდა ამათ რომელიმეს.*

**ნ.** - *ნაკლოშკი ვინ იყო?*

**რ.** - *ის, ამის ძმაკაცი ერთ-ერთი.*

**ნ.** - *კალაძის?*

**რ.** - *არა, აი, მისი ძმის ძმაკაცი. ფულის აღება ყველაზე რთულია. ეგ, რომ ვიცოდე, როგორ შეიძლება „ბეზაპასნად“, ჩათვალე, რომ გაკეთებულია.*

**ნ.** - *მაგრამ ისე ვერ დაარწმუნებ, სურათი თუ არ ანახე.*

**რ.** - *მე იმიტომ მაწყობდა ყ-ს ძმა. ისაა შვეიცარიაში რომ თამაშობს, მაგათთან ახლობლობს* (გატაცებაში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, ასათიანი შვეიცარიაში დააკავეს - რედ.). *მაგან თქვა, თავი დაანებე, მაგ საქმეში ეგენი ფულის გადამხდელები არ არიან, თორემ ჰქონდათ შანსი გადაეხადათ და გამოეხსნათო.*

**ნ.** - *ადრე ესე თქვეს სვანეთში ჰყავდათო.*

**რ.** - *მაგათ ყველაფერი მოგვარებული ჰქონდათ, „სვიაზზეც“ გავიდნენ. ელაპარაკებოდნენ და რამდენიც დაიბარებდნენ, იმდენი „ხვოსტი“ აყვათ. „პადელნიკები“ რომ ავაყრევინო ბოლოს მე „დამბრედავენ“, მაგათ გამოძიებაშიც ჰყავთ ვიღაც სერიოზული ბობოლა. ისიც წილში ჰყავთ. ჩალიჩი ყველაზე მომგებიანია, ბოლო-ბოლო ვიტყვი, მაყუთის შეწერაზე ვჩალიჩობდი. ვაფერისტობდი, მაგრამ გადამხდელები არ არიან.*

**ნ.** - *აბა, რატომ აქვთ დაწესებული 300 ათასი დოლარი?*

**რ.** - *ისე იძახის... ეგეთი საქმეები ყველა მაყუთით არის გაკეთებული, მაგრამ გაბაზრებული არ არის. მაყუთითაა ყველა, რომლებიც თვითონ აქვთ გაკეთებული უშიშროებასა და „ემვედეს“... აჯობებს ვინმესთან კავშირი გამოვნახოთ სამინისტროსთან ან პროკურატურაში, რომ მაყუთი მომცენ ამ საქმეში. ისინი ჭკვიანურად იქცევიან, შეიძლება მოვიდეს დრო და კიდევ მოუბრუნდნენ ამ საქმეს. ახლა საქმე მიძინებული აქვთ, დრო გავა, შემდეგ დაიწყებენ ფულზე ჩალიჩს - მკვდარს მოგანახვინებთო.*

**ნ.** - *„ხალვა“ მაგ საქმეზეა მოტეხილი?*

**რ.** - *„ხალვა“ არ მგონია, ვიღაც მაგის ძმაკაცი კი „აკაჩავეს“ მაგათი „სასტავიდან“ და მერე გამოუშვეს.*

აღნიშნული საუბარი, 2003 წლის იანვარშია ჩაწერილი. როგორ მიხვდებოდით, „ნ“ შეგზავნილი აგენტია, „რ“ კი კალაძის გატაცების საქმეში კარგად ჩახედული. როგორც ჩვენთვის ცნობილია, რ-ს მონაწილეობით იმ პერიოდში მართლაც დაიგეგმა ოპერაცია ცხედრის მოსაძებნად, თუმცა, როგორც მაშინ შს სამინისტროში ირწმუნებოდნენ, ერთ-ერთმა სამართალდამცველმა წინასწარ, განზრახ გაშიფრა აგენტი და ოპერაციაც ასე ჩაიშალა. აღნიშნული საუბრიდან შვიდი თვის შემდეგ კი, მართლაც მოხდა კალაძეებისთვის 200 ათასი დოლარის გამოძალვა, რომელიც „აფრასიძეების აფერით“ არის ცნობილი. თუმცა, ისიც დადგენილია, რომ აღნიშნულ აფერაში მთავარი როლი ნოდან გვიჩიანმა შეასრულა, რომელიც კალაძის საქმის გახსნის დროს დაპატიმრებული იყო და მოგვიანებით, გამოძიებასთან აქტიური თანამშრომლობის გამო, საპროცესო გარიგებით გაათავისუფლეს.

აღნიშნული ინფორმაცია ცნობილი იყო ბათუ საღინაძისთვისაც, რომელიც დღეს კალაძის საქმის გამოძიების არაობიექტურად წარმოჩენისათვის პირველ ბრალდებულია.

## მოკლედ

### სახაზინო ადვოკატების წარმატებული მუშაობა ზესტაფონში

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, სამინისტროს საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის ტერიტორიულ ოფისებში სოციალურად დაუცველ ბრალდებულთა და განსასჯელთა უფასო სამართლებრივი დახმარების პილოტური პროექტი წარმატებით ხორციელდება, რაზეც ზესტაფონის ტერიტორიულ ბიუროში არსებული სტატისტიკაც მეტყველებს. საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის ზესტაფონის ტერიტორიულმა ბიურომ 2005 წლის 1 ივლისიდან 2006 წლის მაისის ჩათვლით, მოქალაქეებისა და პროცესის მწარმოებელი ორგანოების მიმართვის საფუძველზე, 102 სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნა ადვოკატი. სამართალწარმოებაში უშუალო მონაწილეობის პარალელურად, ბიუროს ადვოკატები მოქალაქეებს უფასო იურიდიულ მომსახურებას უწევდნენ.

ზესტაფონის ბიუროს სახაზინო ადვოკატთა აქტიური მონაწილეობით 3 ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართებლივი დევნა შეწყდა. ერთ-ერთი მათგანი, არასრულწლოვანი შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა ლითონის მოაჯირის ქურდობის ბრალდებით დააკავეს. აღნიშნულ საქმეში ჩაება სახაზინო ადვოკატი, რომლის შუამდგომლობის საფუძველზე განმეორებით ჩატარდა სხვადასხვა საპროცესო მოქმედება. დაზარალებულის დაკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ბრალდებულის ქმედებით მიყენებული ზიანი მცირე მნიშვნელობის იყო, რაც მის სისხლის სამართებლივ პასუხისმგებლობას გამორიცხავდა. გამოძიება იძულებული გახდა, გაეთვალისწინებინა დაცვის მხარის არგუმენტები და საქმე შეეწყვიტა.

საანგარიშო პერიოდში ზესტაფონის ბიუროს ადვოკატების მონაწილეობით 15 ბრალდებულთან შედგა საპროცესო შეთანხმება.

ზესტაფონის ტერიტორიული ბიუროს ადვოკატები დღეისთვის სხვადასხვა ინსტანციაში 51 პირის ინტერესებს იცავენ. **24 საათი**

### აზერბაიჯანის უშიშროების მინისტრი თბილისში

შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი გუშინ აზერბაიჯანის უშიშროების მინისტრს ელდარ მაჰმუდოვს შეხვდა.

მინისტრების შეხვედრა შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა. მხარეებმა ორი ქვეყნის შესაბამის უწყებებს შორის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. მაჰმუდოვი თბილისში გუშინ დილით ჩამოვიდა. ვიზიტი ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება. ვანო მერაბიშვილის გარდა, აზერბაიჯანელი სტუმარი საქართველოს ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნებსაც შეხვდება. **ინტერპრესნიუსი**

### იუსტიციის მინისტრი სამცხე-ჯავახეთში

იუსტიციის მინისტრი გუშინ სამცხე-ჯავახეთში გაემგზავრა. გია ქავთარაძე იუსტიციის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სამსახურების მუშაობას გაეცნობა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდება.

მინისტრი ასპინძის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონებს ეწვევა. იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობამ რეგიონული სამსახურების მუშაობის მონიტორინგი თებერვალში დაიწყო. მონიტორინგი უკვე განხორციელდა კახეთში, აჭარაში, მცხეთა-მთიანეთიში, შიდა ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, მონიტორინგის მიზანი ტერიტორიული ოფისების მუშაობისა და სამსახურების მუშაობის ეფექტურობის შემოწმებაა. მინისტრის ვიზიტისას განიხილება რაიონულ ცენტრებში შენობის გამოყოფის საკითხი, სადაც იუსტიციის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანოების ოფისი განთავსდება. **24 საათი**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.................................................

საკონტაქტო ტელეფონი.................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. [illegible] ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" [illegible]

[illegible]

# დახურული დოკუმენტები

ლელა მარგიანი

*ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში გაიმართა ტრადიციული "ოთხშაბათობა". ამჯერად, საჯარო დისკუსიის თემა იყო: "აფხაზურ-ქართული დიალოგი: ახალი დინამიკა". ლაშა ბაქრაძემ დისკუსიაში მიიწვია: პაატა დავითაია - პოლიტიკური გაერთიანების "ჩვენ თვითონ" თავმჯდომარე, პაატა ზაქარეიშვილი - კონფლიქტოლოგი, რესპუბლიკური პარტიის წევრი და გიორგი ხაინდრავა - სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხში.*

**ლაშა ბაქრაძე: "ბაგაფშმა წარმოადგინა გარკვეული გეგმა, რომელსაც ჩვენ მეტ-ნაკლებად პრესის საშუალებით, არა მთლიანად, მაგრამ ნაწილობრივ მაინც შევძელით გავცნობოდით. მისი გარჩევა აფხაზეთის პარლამენტშიც შედგა. იქნებ ამ გეგმის შესახებ საუბრით დავიწყოთ?"**

**გიორგი ხაინდრავა:** "მცირე კომენტარი მინდა გავაკეთო: ჯერ ერთი, ეს არანაირი სამშვიდობო გეგმა არ არის. ეს, პრაქტიკულად, არის აფხაზეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და მოწოდება საქართველოსადმი - საქართველომ ცნოს აფხაზეთის დამოუკიდებლობა - რომელიც აბსოლუტურად არარეალური და მოკლებულია რაიმე სახის საფუძველს. ძალიან სუსტი დოკუმენტია და მე ვფიქრობ, ტაქტიკური თვალსაზრისით, ჩვენ სწორად მოვიქეცით, რომ მათ თავიანთი სამშვიდობო გეგმის გამოქვეყნება ვაცალეთ. რაც მთავარია, აფხაზების სამშვიდობო გეგმა დაწერილია მოსკოვში და არა სოხუმში, და ეს ნათლად ჩანს თითქმის ყველა წინადადებაში, რაც იქაა მოყვანილი. რაც შეეხება პოზიტიურს, პოზიტიური ამ გეგმაში არის ერთადერთი - სადაც ლაპარაკია საერთაშორისო თანამშრომლობაზე, აფხაზური მხარის მზადყოფნაზე, რომ საერთაშორისო თანამშრომლობაში მიიღოს მონაწილეობა. ეს, ჩემი აზრით, სერიოზული ნაბიჯია მათი მხრიდან. ყოველ შემთხვევაში მე ვფიქრობ, რომ სწორედ ეს პუნქტი იქნებოდა დამატებული აფხაზების მხრიდან "მოსკოვურ გეგმაში". იმიტომ, რომ მათ ესმით - საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე არანაირი რეალური პერსპექტივა, თუნდაც საქართველოს ფარგლებში, ფართო უფლებებით სახელმწიფო წარმონაქმნი არ არსებობს.

**- ჩემი კითხვა ჩვენს გეგმას შეეხება. ის, რამდენადაც ვიცი, აფხაზებს გადაეცა. ჩვენი გეგმის თაობაზე ხომ არ გვეტყოდით ორიოდე სიტყვას? საზოგადოებისთვის საინტერესო იქნებოდა იმის მოსმენა, თუ ჩვენ რას ვთავაზობთ აფხაზებს.**

**გიორგი ხაინდრავა:** "აქ არის შეთანხმება იმის შესახებ, რომ სანამ ჩვენ ერთმანეთის პოზიციებს არ გავეცნობოდით, გარკვეულწილად არ გავასაჯაროვებდით იმ წინადადებებს, რომლითაც ერთმანეთს მივმართავთ. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ბუნებრივია, ახალი და განსაკუთრებით ნოვატორული იქ არაფერია. ეს არის პრინციპები, რომლითაც ჩვენ კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობას ვხედავთ. ეს არის ძირითადი პრინციპი: ტერიტორიული მთლიანობა, დევნილების უპირობო და ღირსეული დაბრუნება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე და ადამიანის უფლებების დაცვა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

ეს არის ძირითადი სამი პრინციპი, რომლითაც ჩვენ გამოვდივართ. ყველაფერ დანარჩენზე შეგვიძლია მოლაპარაკება, თუ პოლიტიკური ნება და აფხაზური საზოგადოების ნება იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნება, ადრე თუ გვიან, აუცილებლად იქნება გამჟღავნებული. მაგრამ ამ ეტაპზე, ძირითადი პრობლემა ის არის, რომ რეალური აფხაზები აფხაზეთში არაფერს წყვეტენ. და როგორც გუშინდელმა და დღევანდელმა დღემ დაგვანახა, რუსეთი ღიად, დაუფარავად აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის ანექსიას. უფრო სწორად, ანექსიის დაბოლოებას, რადგან ეს ანექსია უკვე დაწყებულია [illegible]

ამიტომ, ბუნებრივია, [illegible] დემოკრატიისთვის ევროპაში."



**პაატა დავითაია:** "რაც შეეხება იმ დოკუმენტს, რომელზეც დღეს მიმდინარეობს მუშაობა და რომელიც შემოთავაზებულია აფხაზური მხარის მიერ, მინდა, ბატონ გოგა ხაინდრავას მადლობა გადავუხადო იმ შეფასებისთვის, რაც გაკეთდა ამ დოკუმენტთან დაკავშირებით, რომ ეს არის "დამოუკიდებლობის დეკლარაცია". ეს მართლაც ასეა.

თუ ვინმეს მიმართ შეიძლება პრეტენზიები ჰქონდეს დევნილ მოსახლეობას, ყველაზე ნაკლებად ეს შეიძლება იყოს ბატონი გოგა. დევნილ მოსახლეობას ყველაზე მეტი პრეტენზიები აქვს ბატონ ირაკლი ალასანიასთან, როგორც პრეზიდენტის რწმუნებულთან, რომელიც ცოტა "სხვანაირად" ახმაურებს იმას, რაც რეალობას არ შეესაბამება - იმას, რომ ჩვენ გამოვაცხადეთ პრეტენზია იმ "მომლაპარაკებელ" პირებთან, ვინც აფხაზეთიდან ჩამოვიდა, რადგან ისინი ყველანი "მეომრები არიან. მაგრამ მე არასდროს მქონია პრეტენზია, როდესაც ჩამოდიოდა შამბა. მე მქონდა პრეტენზია მაშინ, როდესაც ჩამოვიდა გარი კუტალბა, რადგან იგი არის აფხაზეთის ეროვნული გმირი, იგი არის კოდორის მიმართულების სარდალი, ის უშუალოდ ხელმძღვანელობს კოდორის მიმართულების აღებას. ეს არის ადამიანი, ვინც უშუალოდ ხელმძღვანელობდა დამსჯელ რაზმს საომარი მოქმედებების დროს. ეს ჩემთვის აუტანელი იყო.

განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო: როდესაც მე ვიყავი კოდორის ხეობაში - ჩემს ტერიტორიაზე, მან გასცა ბრძანება სპეცდანიშნულების რაზმის გადმოყვანის შესახებ, რომ მე დამეტოვებინა ტერიტორია. და მე დავტოვე კოდორის ხეობა, რათა თავიდან ამეცილებინა პროვოკაცია. მხოლოდ ამაზე მქონდა პრეტენზიები, თორემ "დიალოგზე", რა თქმა უნდა, პრეტენზიები არ შეიძლება იყოს.

რაც შეეხება იმ გეგმას, რომელიც შემოთავაზებული იქნა - ის, რომ ჟენევის ფორმატით განახლდა ეს მოლაპარაკებები, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ჟენევის ფორმატი გამოიყენა აფხაზურმა მხარემ და არა ქართულმა. რატომ? - იმიტომ, რომ მათ თბილისში კუტალბას ჩამოყვანით (ვინც იცის, საერთოდ, სეპარატისტების ფსიქოლოგია, რომლებიც ცდილობენ, რამენაირად დააკნინონ მოლაპარაკებები - კუტალბას აქ ჩამოყვანა სწორედ ამას ნიშნავდა) გააკეთეს დეკლარირება იმისა, რომ მათ მოისურვეს ე.წ. დამოუკიდებლობა და მოსთხოვეს ქართულ მხარეს ამის "აღიარება" საქართველოს ტერიტორიაზე. რა თქმა უნდა, ეს მიუღებელია და მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ დოკუმენტს არ გაიზიარებს. საერთოდ, მიკვირს, რომ აფხაზურმა მხარემ საკუთარი სამშვიდობო პროგრამა განიხილა თავის ე.წ. პარლამენტში და მთელს საზოგადოებას შესთავაზა.

ქართული მხარისაგან კი ისმის, რომ "მიმდინარეობს საიდუმლო მოლაპარაკებები". მე ვფიქრობ, არავითარი საიდუმლო მოლაპარაკებები არ უნდა იყოს, და თანაც, სეპარატისტულ რეჟიმს ვერ მოელაპარაკები, რადგან ეს ხალხი დანაშაულის უშუალო მონაწილეა.

ამასთან დაკავშირებით, მინდა ხაზი გავუსვა ბაგაფშის ხელისუფლების მოსვლას. იცით, რა დიდ პროპაგანდას უწევდა არჩევნების დროს რუსული მასმედია, რომ პრეზიდენტი ხაჯიმბა გამხდარიყო? მე ყოველთვის ვამბობდი, რომ პრეზიდენტი იქნებოდა ბაგაფში და ის იქნება ყველაზე რადიკალური პრეზიდენტი, არძინბაზე უარესი, რადგან იგი ყოველთვის "ეცდება" დაადასტუროს, რომ "ქართველების წინააღმდეგია" (მას ხომ ქართველი მეუღლე ჰყავს). ბაგაფშის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ჩვენი მოქალაქეები დანაშაულებრივი გზით გახდნენ რუსეთის მოქალაქეები (ამის შეფასება საქართველოს ხელისუფლებამ რატომღაც ჯერ კიდევ არ მოახდინა), ხაზს ვუსვამ - დანაშაულებრივი გზით.

ისინი სამართლებრივად ყველანი საქართველოს მოქალაქეები არიან, მაგრამ დანაშაულებრივი გზით ისინი არიან რუსეთის მოქალაქეები. "მოსაზღვრე ტერიტორიები, სადაც მოქალაქეებმა არ მიიღეს ეროვნული პასპორტები," - პირდაპირ წერია კანონში. აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში არ იყო დარიგებული ეროვნული პასპორტები, ეს ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის ბრალია - მაშინაც და დღესაც. დღეს ამის შეფასება არ ხდება.

მოხდა ისე, რომ ამ დანაშაულებრივი პოლიტიკის გზით, დაწერეს განცხადებები და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოყოფილი იყო 14-კაციანი ჯგუფი, რომელსაც მარჩენკო ხელმძღვანელობდა. ეს ჯგუფი სოჭში ჩავიდა და იქ მოხდა რუსეთის პასპორტების გაცემა. მოახდინეს მოსახლეობის მთლიანი პასპორტიზაცია.

მეორე - ბაგაფშის მოსვლის შემდეგ მუშაობს ბანკების სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მათ პრობლემები შეუქმნა, ეს სისტემა მაინც მუშაობს. "ვიზაქარდი", "ევროქარდი", "მასტერქარდი" - ყველანაირი გადარიცხვები ხდება. გარდა ამისა, არაერთხელ მითქვამს - საქართველოს კოდით მოქმედებს აფხაზური მობილური კომპანია "აკვაფონი", რომელიც მთელს აფხაზეთს ფარავს. დააყენეს ანტენა ცხინვალის რეგიონში და ფარავენ ცხინვალსაც. მსოფლიოს კავშირგაბმულობის კომპანია ყველა ქვეყანას ანიჭებს კოდს. საქართველოს კოდი არის "2 - 82", შემდგომ ხდება კოდების ტენდერით გაყიდვა. "01" არის "ჯეოსელი", "02" არის "მაგთიკომი". მე ვგებულობ გერმანიაში, რომ თურმე საქართველოში არის სამი მობილური კომპანია. ერთ-ერთია "აკვაფონი", რომელიც ბერმუდის კუნძულებზეა რეგისტრირებული და კოდი აქვს - "2-82 0 67". ეს კაბელი ხომ არ არის, რომ პარალელური ტელეფონისთვის გადაიყვანო? ნუთუ "კავშირგაბმულობის მარეგულირებულმა კომისიამ" ერთი წერილი ვერ გააგზავნა მსოფლიო კავშირგაბმულობის სააგენტოში, რომ შეაჩეროს ეს ყველაფერი?

რეალობა ის არის (მე მქონდა ამის შესახებ აფხაზებთან საუბარი), რომ ლიცენზია გაცემულია. არაერთხელ დამისვამს კითხვა, თუ საიდან აქვს ქართული მობილური კომპანიის კოდი აფხაზურ მობილურ კომპანიას? ეს ხდება ბაგაფშის მოსვლის შემდგომ.

მისი მოსვლის მერე, რუსული კაპიტალის დაფინანსებით, პენსიები აფხაზეთში ორჯერ გაიზარდა. პენსიების სისტემა მიბმულია კრასნოდარის მხარის გუბერნიაზე და იქიდან იღებენ.

მთა "აიდგა" არის საზღვარი ფსოუზე, სადაც არის შავი მარმარილოს საბადო და 500 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. კრასნოდარის მხარის გუბერნატორის ბრძანებულებით, 2004 წელს ეს ტერიტორია მიერთებულია რუსეთის ფედერაციაზე. რა უფლება ჰქონდათ?

სანამ ეს ხალხი იქნება, თუ ისინი ჩვენ არ "დავსაჯეთ" - ჩავკეტეთ, მაგათთან საუბარი არ შეიძლება.

ხომ მუშაობს სახალხო დიპლომატია? სახალხო დიპლომატიის როლი ბევრად უნდა გაიზარდოს, რადგან შეხვედრებში მონაწილეობს ხალხი, ვისაც სისხლში არა აქვს ხელების გასვრილი და ეს ხალხი ერთმანეთთან ადვილად საუბრობს, მაგრამ როდესაც ისინი უკან ბრუნდებიან, საქმეს ხელისუფლების წარმომადგენლები (ვინც დამნაშავეა) აფუჭებენ.

ჩემთვის დღეს გახდა ცნობილი, რომ "ჯიპაში" ერთი აფხაზი სტუდენტი სწავლობს, რომელმაც აქ ინტერვიუ მისცა და თქვა: "ჩვენ ერთობლივი სახელმწიფო უნდა ჩამოვაყალიბოთ". ეს პიროვნება ჩავიდა სოხუმში და უკან აღარ უშვებენ, რომ თბილისში ისწავლოს. რატომ? ეს არის აფხაზი, რომელმაც გაიაზრა, რომ სახელმწიფო ერთიანი უნდა იყოს. სანამ ამ ყველაფრის გამოძიება არ დაიწყება, მანამ არაფერი გამოვა!

აზერბაიჯანში 70-მდე სანქციაა გაცემული ინტერპოლის მიერ კოჩარიანის გარემოცვაში, ვინც ყარაბაღში ეთნიკური წმენდა ჩატარა, [illegible] ხომ "ჩაიკეტა" ამით ეს ხალხი?!

და როდესაც სახელმწიფო აჩვენებს, რომ მას შეუძლია "ჩაკეტოს" ასეთი ხალხი, დამერწმუნეთ, მოლაპარაკებები უფრო სწრაფად წაიწევს წინ. როდესაც სეპარატისტი კუტალბა, რომელმაც ქართველები დახოცა და ამისთვის გმირობა მიიღო, ჩამოდის თბილისში და ქართველს ეუბნება, ბოდიში მომიხადე, მაღიარეო, მერე ქეიფობს და ბრუნდება სოხუმში, ის უკვე ორჯერ "ეროვნული გმირი" იქნება.

ამიტომ ამას ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მე მიმაჩნია, რომ ეს უნდა იყოს ჩამოყალიბებული სახელმწიფო პოლიტიკის რანგში, ყველა ქმედება უნდა ხდებოდეს ერთიან რეჟიმში. ქართველებმაც, ვინც ადამიანობის წინაშე დააშავეს, მათაც უნდა აგონ პასუხი!

არავინ საუბრობს იმაზეც, რომ დემოგრაფიული მდგომარეობა შეიცვალა - ეს საკითხი ჩვენ საერთაშორისო არენაზე უნდა დავაყენოთ; რომ იქიდან გამოსულია 300 ათასი დევნილი, და რომ ამით იქ დემოგრაფიული მდგომარეობა შეიცვალა. ამ პროცესების შეჩერება უნდა დაიწყოს. მაშინ მოლაპარაკებები უფრო სწრაფად წავა!"

**პაატა ზაქარეიშვილი:** "მინდა, იმით დავიწყო, რომ წინასწარ არაფერი არაა გამორიცხული და ჩვენ ყველაფერი უნდა ვცადოთ. ცდა ნებისმიერ შემთხვევაში რაღაც შედეგს იძლევა, უკუშედეგიც შედეგია! ამიტომ, მე მგონია, რომ დიალოგი არის ის ფორმა, სადაც ბევრი რამ შეიძლება შემოწმდეს, გადამოწმდეს, უარი ითქვას რაღაცაზე და სხვა ნაბიჯები გადაიდგას. მართლაც, ამ ბოლო პერიოდს თუ ავიღებთ და ჩვენი შეხვედრის დღის წესრიგსაც მივყვებით, ახალი დინამიკა, ჩემი აზრით, არის. შეიძლება, ეს დინამიკა ეფემერული და ცოტა ზედაპირულია, მაგრამ აშკარად იგრძნობა, და ამ საღამოს ორგანიზატორებმა სწორედ ეს დააფიქსირეს. დინამიკის გარეშე საერთოდ არაფერი არსებობს, მაგრამ ღრმად ნუ ჩავალთ ფილოსოფიაში.

ჩემი აზრით, ბოლო რამდენიმე თვეა, აშკარად დაიწყო მოძრაობები, არის ცვლილებები. მე ძალიან შორს ვარ აზრისგან, რომ უკვე ფინიშზე გავედით და გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდა. მაგრამ რაც არის, იმის დაუნახაობაც არ შეიძლება. მთავრობაში არის ორი ადამიანი, ვინც ცალსახად, პირდაპირ ლაპარაკობს, რომ დიალოგისკენ არის გადადგმული ნაბიჯები. ერთი ადამიანი გოგა ხაინდრავაა, და მეორე - ირაკლი ალასანია. ის ფაქტი, რომ მასთან საუბარი აფხაზებმა მოინდომეს მაშინაც კი, როდესაც იგი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე იყო, ესეც საინტერესოა. აფხაზებმა გარკვეული კომპლექსი გადალახეს, დაინახეს მასში საინტერესო პიროვნება. ამ ორმა პიროვნებამ პროცესი "მკვდარი წერტილიდან"დაძრა. სულ მალე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ აღდგენილიყო საკოორდინაციო საბჭო, რომელიც 1997 წლიდან 2001 წლამდე მუშაობდა. მერე აბსოლუტურად ყველა ლეგიტიმური ურთიერთობა მოისპო და ყველაფერი კულუარებში ხდებოდა, ნაცნობობით.

ჩვენ, როგორც იქნა, დავუბრუნდით 1997 წელს, ანუ აღვადგინეთ ის ინსტიტუტი, რომელმაც დღეს შეიძლება იმუშაოს.

მე მინდა, თბილისის შეხვედრის დადებით მხარეზე ვილაპარაკო. ბატონმა გოგამ სწორად აღნიშნა, რომ ბევრი რამ იყო მიუღებელი, მაგრამ არის საინტერესო თემებიც, რომელზე მუშაობაც საჭიროა. ეს მართლაც ასეა.

თუ ჩვენ დაკვირვებით, წავიკითხავთ ტექსტს, რაც არ მოგვწონს (ის ძველია), მაგრამ ძალიან საინტერესოა ის, რაც არის ახალი. აფხაზებმა სიახლეები შემოიტანეს, ისეთი, რაც გარკვეული დინამიკის შეგრძნებას აშკარად იძლევა.

ცუდია, რომ ეს არაა ჩვენი ინიციატივები, მაგრამ ამაში არაფერია ტრაგიკული. ისინი მაინც ჩვენი ხალხია, ჩვენი მოქალაქეები არიან.

თვალშისაცემია, რომ, პრაქტიკულად, მხოლოდ ერთადერთხელ არის ნახსენები რუსეთი. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თუ ეს დოკუმენტი რუსეთში არ დაწერილა, მის შესახებ იქ აუცილებლად ეცოდინებოდათ. დოკუმენტში ისეთი რაღაცეები წერია, გაგიკვირდებათ. მაშინ, როგორ "გაატარეს" რუსებმა ეს? რუსეთი ერთადერთხელ არის ნეიტრალურ პოზიციაში ნახსენები. ამავე დროს, ისინი გვთავაზობენ "სხვა" მოთამაშეების შემოყვანას, ანუ წავიდეთ ევროპისკენო (თავდაპირველად ამაზე საუბარი იყო "შლაინინგის პროცესზე" და იგი მაშინ აფხაზებს სწორედ ქართულმა მხარემ შესთავაზა).

ეს არის ის პოზიცია, რომელზეც ჩვენ აუცილებლად უნდა წავიდეთ. ჩვენ უნდა მივაბრუნოთ ისინი ევროპისკენ, გავაცნოთ "ნატო", ევროსტრუქტურები. დარწმუნებული ვარ, ეს მათაც უნდათ. მათ კარგად იციან, რომ რუსეთი არ არის მათი მეგობარი, მაგრამ ჩვენ მტრად მივაჩნივართ.

რისი შედეგია ყველაფერი ეს? ასე ცალსახად არ არის, რომ ბაგაფში უარესია არძინბაზე. არძინბა იყო გმირი, რომელმაც აფხაზ ხალხს "ვითომ დამოუკიდებლობა" მოაპოვებინა.

ბაგაფში არავინ არ არის. იგი ომის დროს აფხაზეთშიც კი არ იყო. მას იარაღი არ ეჭირა ხელში. ამიტომ იგი არაა ისეთი გმირი, როგორც არძინბა. თუ ჩვენ აფხაზთა შემორიგებით დაინტერესებული ვართ, მხოლოდ ზედაპირული მოქმედებით ამის გაკეთება ძალიან გაგვიჭირდება.

ბაგაფში დამოუკიდებელი ფიგურა არ არის. იგი დღემდე ანქვაბის "მძევალია". ყველა პოლიტიკური ფიგურა ანქვაბის მოყვანილია. შესაბამისად, დღევანდელი ხელისუფლება ანგარიშვალდებულია. მარტში არის საპარლამენტო არჩევნები. ამიტომ, მთელი აფხაზეთი გადასულია წინასაარჩევნო კამპანიაზე. მათ ახლა არც რუსეთი ადარდებთ, არც - საქართველო.

ოპოზიციას დღეს იქ ლიდერი არ ჰყავს, თუმცა მოიაზრება შამბა.

ჩვენ ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ. რაც მთავარია, ანქვაბის ჯგუფი ეძებს დიალოგს აფხაზებთან, ეს აშკარაა. ანუ ესაა პირობითად ყველაზე ანტირუსული ძალა. პრობლემა ის არის, რომ მთელ ოპოზიციას პროქართველობას "აწეპებენ", რაც მათ საქმეს ძალიან ურთულებს.

ეს ის სირთულეებია, რაც ქართულმა მხარემ კარგად უნდა გაითვალისწინოს და "ეთამაშოს".

ძალიან საინტერესოა, რომ აფხაზებს ყველა პოლიტიკურ ძალასთან ურთიერთობა უნდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაში აინტერესებთ მათ განათლების მინისტრი ან ჯანდაცვის მინისტრი? მხოლოდ კონფლიქტების მინისტრს ელაპარაკონ. არა, მათ ყველასთან უნდათ შეხვედრა. მათ სურთ, მთელს პოლიტიკურ სპექტრს შეხვდნენ.

სამწუხაროდ, ქართული მხარე აფხაზებთან შეხვედრაზე "ფეხს ითრევს".

აფხაზები გვეუბნებიან, თავი დაანებეთ სამხედრო რიტორიკასო. წესით, მათ პირიქით, ხელს უნდა აძლევდეთ ეს. მაგრამ ისინი პირდაპირ გვეუბნებიან, რომ სამხედრო რიტორიკა, რომელიც აძლიერებს სამხედრო განწყობას საქართველოში, მათ ნდობას ხელს უშლის.

ისინი დამოუკიდებლობას "ბოლოში" დებენ, ანუ ეს მათთვის უფრო ტექნიკური ტერმინია.

რაც მთავარია, რა გააკეთეს მათ? - მათ ეს დოკუმენტი "მიაღებინეს" პარლამენტს, ის არის ამაზე პასუხისმგებელი. ანუ ხალხს "აკიდეს" ეს პასუხისმგებლობა. ე.წ. დამოუკიდებლობა გვერდზეა გადადებული და აქცენტები გაკეთებულია ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, ბლოკადის მოხსნაზე და, რაც მთავარია, ევროპაზე და რუსეთის გვერდის ავლაზე.

მე მიმაჩნია, რომ ქართულ-აფხაზურ დიალოგში დადგა ახალი ეტაპი, რომელიც, ჯობდა, ქართველების ინიციატივით დამდგარიყო. მაგრამ რაკი ეს ასე არ არის, დაე, იყოს ქართველების, ოღონდ - მეორე ქართველების, ანუ აფხაზების ინიციატივა. მე მათ ყოველთვის ჩვენს მოქალაქეებად განვიხილავდი და მიმაჩნია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ჩვენი ხალხის ინიციატივაა და, კეთილი ვინებოთ, და თუ სხვა გამოსავალი არაა, ერთ ადგილზე ჯდომასა და დგომას, სჯობს, რაღაც ნაბიჯები მაინც გადავდგათ!"

# "ტიტანური აზრებით" ტიტინი

**"რუსეთს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიერთება არ დაუგეგმავს,"** - განაცხადა 2 ივნისს საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა და ზედმეტი დამაჯერებლობისთვის დასძინა, რომ რუსეთის ხელისუფლებას საერთად არ სურს ახალი ტერიტორიების მიერთება.

იმავე დღეს მოსკოვში თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ განაცხადა, რომ ცხინვალი რუსეთის შემადგენლობაში შესვლას აპირებს, რისთვისაც, თურმე, მოუმზადებია კიდეც შესაბამისი დოკუმენტები რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოში წარსადგენად.

ამ განცხადებამდე ერთი დღით ადრე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ **"რუსეთი პატივისცემით ეპყრობა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს. მაგრამ, ჯერჯერობით, ეს მთლიანობა საქართველოსთვის შესაძლებლობა უფროა, ვიდრე პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობა და ამ რეალობის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად. ამასთან, სამხრეთ ოსეთის პოზიცია, როგორც ჩვენ გვესმის, თვითგამორკვევის პრინციპს ეფუძნება."**

ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ სოხუმში პრესკონფერენციაზე განაცხადა შემდეგი: **"რუსეთს თავისი ინტერესები აქვს, ჩვენ - ჩვენი, მაგრამ აფხაზურ-რუსული ურთიერთობები საერთო ინტერესების არსებობის შეგრძნებას ემყარება."** შამბას თქმით, რუსეთში ესმით, რომ რუსულ-აფხაზური ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა და ორივე მხარე ერთობლივ კურსს მისდევს. შამბამ რუსეთის რეაქციული ქმედება ამერიკასთან ისტორიული პარალელებით გაამართლა. მისი თქმით, ვიეტნამის ომის შემდეგ, როცა აშშ სასტიკად დამარცხდა, მსოფლიოში საბჭოთა კავშირის ეპოქა დადგა. სსრკ თავისი იდეოლოგიური გავლენით მჭიდროდ მიუახლოვდა აშშ-ს საზღვრებს, რის გამოც აშშ-მ ანტისაბჭოთა რევოლუციების დაფინანსება და პროვოცირება დაიწყო. "ახლა რუსეთის დგას იგივე პრობლემის წინაშე და ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ რუსეთი ისევე იქცევა, როგორც ერთ დროს აშშ," - დაასრულა საკუთარი ანალიზი შამბამ.

შამბამ იქვე გადაჰკრა შოლტი საერთაშორისო საზოგადოებას, რომელსაც უსამართლობაში დასდო ბრალი. **"გადაიხარო კოსოვოს აღიარებისკენ და უარი უთხრა აფხაზეთს დამოუკიდებლად არსებობის უფლებაზე, არის ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა და უსამართლო მიდგომა,"** - განაცხადა შამბამ და დაიმუქრა, რომ ასე გაგრძელების შემთხვევაში აფხაზეთმა საერთაშორისო თანამეგობრობის შუამავლობაზე შეიძლება უარი თქვას.

ამასობაში, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში და მისი წარმომადგენლობითი დელეგაცია "ოფიციალური" ვიზიტით იმყოფებიან ცხინვალში, სადაც აფხაზეთის წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს ესწრებიან. შეგახსენებთ, რომ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ 2006 წელი აფხაზეთის წლად გამოაცხადა. აღნიშნულ ვიზიტთან დაკავშირებით ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა განაცხადა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები ერთმანეთს საელჩოების გახსნითაც გაახარებენ, თუმცა როდის დადგება ეს ღირსშესანიშნავი თარიღი, არაფერი უთქვამს.

ორი დე ფაქტო პრეზიდენტის პირისპირ შეხვედრის შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც სერგეი ბაგაფშმა განაცხადა, რომ **"ახლო მომავალში, შესაძლებელია, სოხუმში შევიკრიბოთ სამი პრეზიდენტი: აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და დნესტრისპირეთის. ჩვენ ვისაუბრებთ მშვიდობის და არა ომის შესახებ. იმის შესახებ, რომ არ შეგვიშალონ ხელი ცხოვრების მოწყობაში. თავი დაანებონ დნესტრისპირეთის გაუგებარ ბლოკადას. დააცალონ სამხრეთ ოსეთს, ააშენოს საკუთარი სახელმწიფო."**

ცხადია, თავისი სიტყვა თქვა ედუარდ კოკოითიმაც: **"სამხრეთ ოსეთის ხალხი უკვე გამოერკვა და თვითგამორკვევის ამ გზიდან არასოდეს გადაუხვევს. რა თქმა უნდა, ჩვენ გვსურს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთთან ურთიერთობები მოაგვაროს. ამავე დროს, საქართველოს პრეზიდენტმა უნდა გაიგოს, რომ მან, დიდი ხანია, დაკარგა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და ახლა თავისი საქციელით კიდევ უფრო აშორიშორებს ხალხებს."**

პრესკონფერენციის შემდეგ მასპინძელმა ედუარდ კოკოითიმ აფხაზეთის დელეგაციის წევრები ოსეთის ყველაზე დიდი ჯილდოთი - "მეგობრობის ორდენით" დააჯილდოვა. ცერემონიალის შემდეგ ორმა "პრეზიდენტმა" მეგობრობის პარკის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. დამოუკიდებელმა ოსმა ექსპერტმა გენადი კოკოევმა მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: **"აფხაზეთის პრეზიდენტის სამხრეთ ოსეთში ვიზიტისა და ორი ქვეყნის დაახლოების მნიშვნელობის შეფასება ძალიან ძნელია. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემები ერთმანეთს ჰგავს. ოს და აფხაზ ხალხს აკავშირებს არა მარტო მეგობრობა, არამედ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და თვითგამორკვევის უფლება, რომელიც ჩვენმა ხალხებმა დიდი მსხვერპლის ფასად მოიპოვეს.**

**ამის გარდა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაახლოება შეაგნებინებს თბილისს, რომ ერთ-ერთი მათგანის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯი გამოძახებას ჰპოვებს და ფეხზე დააყენებს მეორე ხალხს. ჩვენ აფხაზეთთან ერთიანი ვართ და ამ ერთობაშია ჩვენი ძალა."**

მოჩვენებითი სიმშვიდის მიუხედავად, როგორც ჩანს, სერგეი ბაგაფში და ედუარდ კოკოითი მაინც საკმაო მღელვარებით ელოდებიან სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრას. სერგეი ბაგაფშმა ცხინვალში მშვიდად განაცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა ჩვეულებრივი პოლიტიკური მოვლენაა და რომ აფხაზეთი და ცხინვალი ამისგან განსაკუთრებულს არაფერს ელიან. მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტს რუსეთთან თავისი საქმე აქვს (ღვინო, ბორჯომი და ა.შ.) და აფხაზებს და ოსებს შეუძლიათ, სრულიად მშვიდად იყვნენ.

კოკოითი უფრო რადიკალურია და აცხადებს, რომ აფხაზეთი და ოსეთი თავიანთ გზას გააგრძელებენ იმის მიუხედავად, თუ რა შედეგით დამთავრდება სააკაშვილისა და პუტინის მოლაპარაკებები.

# ხაინდრავას იმედიანი პროგნოზი

ორი დე ფაქტო პრეზიდენტის მშვიდ მოლოდინს ცივ წყალს ასხამს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების დარგში გიორგი ხაინდრავა, რომელიც ოფიციალურად აცხადებს შემდეგს: **"13 ივნისი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში გადამწყვეტი დღე იქნება. თითოეული ჩვენგანი ელოდება, რომ სანკტ-პეტერბურგის შეხვედრაზე მიღებული იქნება პრინციპული გადაწყვეტილებები. წინაპირობები ასეთი გადაწყვეტილებების მისაღებად უკვე შექმნილია. საქართველო რუსეთისგან ელოდება იმ უზარმაზარი პოტენციალის გამოვლენას, რომელიც მას გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მოგვარების საქმეში. და სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრაზე შეიძლება მოხდეს უპრეცედენტო შეთანხმება - საქართველოს კონფლიქტები მშვიდობიანად მოგვარდეს სწორედ რუსეთის მეშვეობით."**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# ახდენილი სიზმარი

მზევინარ ხუციშვილი



არც ისე დიდი ხანია, რაც საქართველოს მთავრობა ქართული დიასპორებით ანუ უცხოეთში მცხოვრები ქართველებით დაინტერესდა. ქართველი ემიგრანტებიც ამ შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებენ და ცდილობენ საქართველოს გამოეხმაურონ. საზოგადოებას საშუალება ჰქონდა მედიის საშუალებით თვალყური ედევნებინა უცხოეთში მათი მოღვაწეობისთვის. ძირითადი აქცენტი ამ შემთხვევაში კულტურულ ღონისძიებებზეა. თითოეული შემოქმედი ცდილობს საქართველოში ჩამოსვლას და ქართველებისთვის საკუთარი შემოქმედების გაცნობას.

ამჯერად 6 ივნისს გალერეა „კოპალამ" პროფესიით იურისტის, საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის ქალბატონ დარეჯან ზურაბიშვილის პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა. პირველი თბილისური გამოფენა ავტორის ოცნების ასრულებაა, ოცნებისა, რომელიც მის პერსონაჟებშია განხორციელებული. გამოფენასაც პირობითად „ ჩემს სიზმრებში" უწოდა, თუმცა ეს უკვე სიზმარი აღარ იყო. საფრანგეთში გამართული ექსპოზიციების შემდეგ ავტორს გაუჩნდა სურვილი თავისი ხელოვნება თანამემამულედ გააცნოს, რაც ძალიან ძნელი იყო რადგან როგორც შემოქმედმა აღნიშნა: „საზღვარგარეთ საკუთარი ნამუშევრები ხშირად გააქვთ, საქართველოში კი ეს იშვიათი მოვლენაა, ამიტომ გამიჭირდა ნამუშევრების გადმოტანა, თუმცა ბედნიერი ვარ, რომ ეს მაინც მოხერხდა და თანაც ისეთ ქვეყანაში სადაც ხელოვნება ასე მაღლა დგას. რაც შეეხება ჩემს შემოქმედებას, ვცდილობ, ორიგინალური გზა ავირჩიო, იყოს განსხვავებული და საზოგადოებისთვის მისაღები, ამიტომ თემატიკა ორგვარია ფრანგული და ქართული. სულ ახლახანს კი ქვაზე მუშაობაც დავიწყე, ვცდილობ, ეს ტექნოლოგიაც შევისწავლო."

ქანდაკებაზე მუშაობა ათი წლის წინ დაიწყო, მაგრამ მისი შემოქმედება მრავალფეროვანია. მის შემოქმედებას ორივე ქვეყნის კულტურის წიაღში აქვს ფესვები გადგმული. პერსონაჟთა სილუეტები იმ ფესვებს მოგვაგონებს, რომლებიც ავტორის არაცნობიერშია და დავიწყებას არ მისცემია, რაზეც საფრანგეთში გამართული გამოფენების დროს ფრანგი მოსახლეობა ხშირად ხუმრობს: „არ შეგიძლიათ დამალოთ თქვენი წარმომავლობა."

ქალბატონი დარეჯან ზურაბიშვილი მეუღლესთან ერთად იმყოფება საქართველოში. პროფესიით ექიმი, ბატონი ოთარ ზურაბიშვილი საფრანგეთში ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარეა. ორივე მათგანი საფრანგეთში ქართველების მესამე თაობაა. იშვიათი შემთხვევაა - ორი ემიგრანტის ქართული ოჯახი. „ყველა დარწმუნებული იყო, რომ ფრანგ ქალს შევირთავდი ცოლად, მაგრამ ისტორია სხვანაირად დაიწერა. ჩვენ საერთო ბევრი გვაქვს, ისიც საკმარისია, რომ ხელოვნება ორივეს ძალიან გვიყვარს, დღემდე ვერ გამიგია, რატომ გახდა დარეჯანი იურისტი. იგი ისეთ ოჯახში დაიბადა, სადაც შემოქმედება ძალაინ უყვართ და დიდ პატივს სცემენ." - აღნიშნა ბატონმა ოთარმა.

**საქართველოს მთავრობის დაინტერესება დიასპორებით იმედს თუ გაძლევთ?**

**დარეჯან ზურაბიშვილი:** საქართველოში ოთხჯერ ვიყავი და ძალიან მომეწონა ხალხი, ქვეყანა. იმედი გვაქვს საქართველო სწორ გზაზე დგას. ორ წელიწადში ყველაფერი ვერ გაკეთდება, დრო გვჭირდება, თუმცა ჩვენით რომ დაინტერესდნენ, ეს ძალიან კარგია. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ირინა ონიანს, რომლის ინიციატივითაც მოეწყო ჩემი გამოფენა.

**ოთარ ზურაბიშვილი:** ემიგრაციაში სხვადასხვა პრობლემების გამო მიდიან, პოლიტიკური, ეკონომიკური. თავიდან, რა თქმა უნდა, ძალიან უჭირთ, მაგრამ იცვლება მდგომარეობა და ჩვენ ყველა ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად საქართველოს დავეხმაროთ, რაც ჩვენი ახლო და მყარი ურთიერთობით უდავოდ მოხდება. ჩემი სამშობლო საქართველოა. მაშინაც კი, როცა საფრანგეთში ვარ, საქართველოზე ვფიქრობ, ჩემი გული და აზროვნება საქართველოს ეკუთვნის. ჩვენს ოჯახში კი ნამდვილი პატარა საქართველოა.

თვითნასწავლი შემოქმედის გამოფენა ხელოვნებათმცოდნე ბატონმა გოგი ხოშტარიამ გახსნა: „მე ვფიქრობ, რომ ეს გამოფენა უნიკალურია, რადგან საკუთარი ნამუშევრები პარიზიდან ჩვენმა თანამემამულემ ჩამოიტანა. ჩემთვის ეს დღესასწაულია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მიმობნეული დიასპორები ცდილობენ საქართველოს დახმარებას. ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ იმისათვის იყო შემოქმედი სულაც არ არის აუცილებელი გქონდეს დიპლომი და დამთავრებული სამხატვრო აკადემია. ეს არის ნიჭი, რომელიც შეხამებულია ქართულ გენთან და თან ახლავს ქართულ კულტურას. ჩვენს წინაშე თაბაშირში, თიხაში და ბრინჯაოში ამეტყველებული ქანდაკებებია."

ქართველ საზოგადოებას ნამუშევრები რომ მოეწონა, ამაზე მათი ხმამაღალი შეფასებები და შთაბეჭდილებები მეტყველებს: „ძალიან ორიგინალურია... კარგია... "

გალერეაში ესმა ონიანის ფერწერული ნამუშევრებიც იყო წარმოდგენილი. გამოფენა 14 ივნისამდე გაგრძელდება.

# გეგა პირველი იყო, ვინც...

ქეთევან იგნატოვა

7 ივნისი გეგა კობახიძის დაბადების დღეა. ერთი ტკბილი სიტყვა - „თავისუფლება", მისდამი შეიძლება გაუცნობიერებელი, მაგრამ ძლიერი, მოურეველი ლტოლვა რომ არა, მას წელს 45 წელი შეუსრულდებოდა. თავისუფლებისადმი ბუნებრივი ლტოლვა, რომელიც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ბავშვური მაქსიმალიზმისათვის სამუდამოდ დასაჯეს.

ალბათ დამეთანხმებით, რომ თითოეულ ჩვენგანს წარსულიდან უკვე ბევრი რამ აღარც გვახსოვს. გავიდა წლები და უამრავი ადამიანი, მოვლენა, ფაქტი ჩვენი მეხსიერებიდან ამოიშალა. ალბათ წასაშლელი იყო და იმიტომ. მაგრამ, არსებობენ ცალკეული პიროვნებები, მათთან გატარებული წუთები, საათები, ცალკეული შეხვედრები, რომლებიც „სტოპკადრივით" ჩვენს მეხსიერებაში მკაფიოდ არის ჩაბეჭდილი და მათ ვერანაირი დრო ვერ წაშლის. ისინი ამას რაღაც თავისებური განსაკუთრებულობით იმსახურებენ.

ჩემი თაობის ნებისმიერ წარმომადგენელს გეგა კობახიძე ყოველთვის ემახსოვრება. გეგა არავის ჰგავდა. მისი ინდივიდუალიზმი, ტალანტი, არტისტიზმი, სითბო და სიყვარულის უნარი არავისში და არაფერში მეორდებოდა. ყველას, ვინც მას ერთხელ მაინც შეხვედრია, მისი მომხიბვლელი ღიმილი, დიდი თეთრი კბილები, შუბლზე ჩამოყრილი თმა, გრძელი, გამხდარი ფეხები, მუდამ



გეგა კობახიძე.

მოძრავი ლამაზი ხელები, საოცარი პლასტიკა, ლაპარაკის მანერა და, რაც მთავარია, დიდი, თბილი და ოდნავ სევდიანი (შეიძლება ახლა მეჩვენება) თვალები არასდროს დაავიწყდება. გეგა საკუთარი ოთახის კედლებზე ხატავდა, ჩვენზე ბევრს კითხულობდა. გოგონებს მოსწონდათ, ეპრანჭებოდნენ, ის კი სულ ვილაცაში სიგიჟემდე შეყვარებული რაინდი იყო. გეგა გვაწვალებდა, ცელქობდა, ოხუნჯობდა, გვაცინებდა, გვიყვებოდა, გვართობდა, კონცერტებს გვიწყობდა, მღეროდა, ცეკვავდა, როკენ-როლს გვაცეკვებდა, გვატრიალებდა. ჩვენც ვტრიალებდით, ვიცინოდით. ბავშვები ვიყავით და არ გვესმოდა. ახლა კი ვხვდები, რომ მას სიცოცხლე უყვარდა და ისე უნდოდა ეცხოვრა, როგორც მაშინ არ შეიძლებოდა, რისთვისაც მაშინ გსჯიდნენ. მან სხვანაირად არც იცოდა და არც უნდოდა. გეგა თავისუფალი იყო. ჩვენზე ყველაზე თავისუფალი. თავისუფლებასვე შეეწირა. ალბათ, ასე ერჩივნა. ჩვენთვის კი მხიარული, უდარდელი, ბედნიერი, ნიჭიერი, ყველასათვის საყვარელი, ძალიან მრავალმხრივი გეგა კობახიძე, სწორედ თავისუფლების სიმბოლოდ დარჩა. სიმბოლოდ, რომელმაც ჩვენი თაობა პირველად დააფიქრა, აატირა, ცხოვრების რეალობას, წყობის სისასტიკეს, საზოგადოებრივ კომფორმიზმს, ტრაგედიას, დანაკლისს, მონატრებას შეაჯახა.

გეგა პირველი იყო, ვინც ჩვენი თაობა გაამდიდრა და გააუბედურა; ვინც ერთ დღეში წლები მოგვიმატა და ამავე დროს, ახალგაზრდობა შეგვინარჩუნა, ვინც ძალიან ბევრი გვაცინა, გვაცეკვა და კიდევ უფრო მეტი გვატირა; ვინც ძალიან, ძალიან გვატკინა. დღესაც გვტკივა. მერე იყო ბევრი ტკივილი, ბევრი დანაკლისი, ბევრი ნიჭიერი და დაუვიწყარი, მაგრამ გეგა პირველი იყო.

უბრალოდ, ჩვენში პირველს, თავისუფლება მას უნდოდა.

■ ■ ■

იცით, ზოგჯერ როგორ მომენატრება ხოლმე?!

■ ■ ■

წლების განმავლობაში ყოველ 28 მაისს მე და გეგა ჩვენი საერთო ახლო მეგობრის დაბადების დღეზე ვხვდებოდით. ჩემი პირადი მოგონებების დიდი ნაწილი სწორედ ამ დღესთან არის დაკავშირებული. გავიდა დრო, გავიზარდეთ, შევიცვალეთ. გეგა აღარ არის. ჩემი მეგობარი საფრანგეთში ცხოვრობს, მაგრამ წელსაც, ისევე როგორც მთელი ცხოვრება, 28-ში მეგობრის სახლში, დედამისთან მივედი. უცნაური დამთხვევა მოხდა. ის იყო შევედი, რომ ტელევიზორში „ლაზარე" დაიწყო. თითქოს, გეგამ ტრადიცია არ დაარღვია და 28 მაისს ჩვენთან ერთად იყო, თუმცა „ლაზარეში" გეგა პატარაა. მე კი უფრო სხვანაირი, მაღალი, გაზრდილი, ბედნიერი, შეყვარებული მენატრება. ისეთი, როგორიც ბოლო წლებში მახსოვს და ყოველთვის მემახსოვრება.






# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ.გურჯაანის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს ქ გურჯაანის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ქ. გურჯაანის ცენტრალური უბნის შენობა-ნაგებობების ფასადების შეღებვა.

*თავისუფლების ქ. № 12-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა - 1020კვმ.
*კოსტავას ქ. №3-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა -915 კვმ.
*ნონეშვილის ქ.№14-ში მდებარე ორსართულიანი შენობა -867კვმ.
*ნონეშვილის ქ№19-ში მდენარე ყოფილი მონ.კავშირის შენობა -340კვმ.
*ნონეშვილის ქ.№21-ში მდებარე სამუსიკო სკოლის შენობა- 1042 კვმ.

სამუშაო მიწოდების ვადა დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმებისას. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, არაუგვიანეს 2006 წლის 29 ივნისის 12:00 საათისა, მისამართზე ქ.გურჯაანი ნონეშვილის გამზირი № 4, გურჯაანის გამგეობის შენობა მესამე სართული.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის

1.შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები).

2.ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია, ან ლიკვიდაცია.

3.ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

4.ცნობა საქართველოს შსს-დან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი, ან შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლს საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

5.ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ადგილობრივი ორგანოს მიერ).

6.ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

7.ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისსადმი დავალიანების არ ქონის შესახებ.

ფიზიკური პირისთვის

1.მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

2.ცნობა საქართველოს შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არის ნასამართლევი და შესყიდვების მომენტიდან მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

3.ცნობა სასამრთლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.

5.ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზილური პირი ქმედუნარიანია.

როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის

-ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

-ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული, ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მოწოდების შესახებ.

საკვალიფიკაციო სერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

ტენდერში გამარჯვებულად დასახელდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი. სატენდრო დოკუმენტაცია პრეტენდენტს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 /ორასი/ ლარის გადახდის შემდგომ მათი მოთხოვნისთანავე.

სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია: ა/ა № 200122900; ეროვნული ბანკის კოდი 220101107;სახაზინო კოდი 300504040; აუცილებლად უნდა მიეთითოს ქ.გურჯაანის გამგეობა.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს ლოტების მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. თითოეულ ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართზე: თეიმურაზ ბაჩუკაშვილი, ტელ: (8253) 2 26 18; (899) 60 40 38;

დამატებითი ინფორმაცია:

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველსო კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ".

საქართველოს კანონი "საქართველოს შესყიდვების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შესახებ".

შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველსო კანონის 23-ე მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ" დებულების 33-37 მუხლებისა და საქართვეოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სატენდერო კომისია

"ტუსოვკა"

# Ladoevent

სულ მალე:
ladoevent.art.ge
ladoevent@gmail.com

„ლადო ივენტები" ყოველ პარასკევობით, საღამოს 8 საათზე „ბითლზ კლუბში" წარმოგიდგენთ თანამედროვე კავკასიურ როკ-მუსიკას და როკ-შემსრულებლებს.

ამ ჟანრის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის ეს ერთადერთი აქციაა მთელს კავკასიაში, სადაც მუსიკის მოყვარულებს სტაბილურად შეუძლიათ მოუსმინონ კავკასიელ ნიჭიერ მუსიკოს-შემსრულებლებს და გაეცნონ კავკასიურ თანამედროვე მუსიკას. ჩვენი სურვილია ამ აქციებით შევქმნათ ერთიანი კავკასიური მუსიკის ინფრასტრუქტურა, სადაც ეტაპობრივად განვითარდება და გავრცელდება იდეა „მშვიდობიანი კავკასიისთვის"; იდეა, რომელსაც ერთად განახორციელებენ როკ-ჯგუფები და მუსიკოს-შემსრულებლები ისეთი კონფლიქტური და დაპირისპირებული ზონებიდან როგორიც არის ჩეჩნეთ-რუსეთი, საქართველო-აფხაზეთი-ოსეთი, სომხეთი-აზერბაიჯანი.

გამომდინარე იქიდან, რომ როკ-მუსიკა დღეს კავკასიის რეგიონში არ არის პოპულარული, ჩვენ ვცდილობთ ამ აქციების საშუალებით და მასმედიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, თანმიმდევრული ეტაპებით ამ იდეის ხელშეწყობას. ჩვენ მზად ვართ სამომავლოდ ამ აქციების განვრცობისთვის კავკასიის სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში.

დღეს კი გთავაზობთ წინა კვირას გამართული საღამოს ფოტორეპორტაჟს.



და აი, ისიც - ჯგუფი „სტრინგი".



მეგობრები.



ჯგუფი „ტეტანუსი" რუსთავიდან.



ჟურნალ „ოზონს" აქვს პერსპექტივა ასეთი შტატით.



ჯგუფ „სტრინგის" ფანები მოლოდინში.




ავიაკომპანია
"არკია ისრაელის ავიახაზები"
აგრძელებს რეგულარულ
რეისს 23 ივნისიდან, ყოველ პარასკევს
თბილისი - თელ-ავივი

თელ-ავივი - თბილისი - IZ 417 04.55-08.40
თბილისი - თელ-ავივი - IZ 418 10.25-12.25
განრიგი ძალაშია 23 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე.
გაფრენისა და მოფრენის დროები ადგილობრივია.

ბილეთის ფასია:
275 აშშ დოლარი (ერთი გზა)
349 აშშდოლარი (ორი გზა)
თანამედროვე საჰაერო ხომალდი ბოინგ 757-200/300 (191/253 სავარძელი), უმაღლესი კლასის სერვისი, კვების რეჟიმი - მგზავრის სურვილისამებრ.

გადახდა კურსის შესაბამისად ეროვნული ვალუტით. ავიაბილეთის ტარიფი არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებლებს.

ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ ბილეთები ა/კ "საქართველოს ავიახაზების" თელ-ავივის რეისზე.

აგრეთვე ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით.

ქ. თბილისი. კარგარეთელის ქ. N 7, ტელ: 91-04-99, 91-06-16. ფაქსი: 91-04-99
e-mail: mail@arkia.ge

მეტი კომფორტი, მეტი სისწრაფე, ნაკლები ფასი


## პაკისტანში „და ვინჩის კოდი" აიკრძალა

პაკისტანში სკანდალური ფილმის „და ვინჩის კოდის" ჩვენება საეჭვო და დამახინჯებული ინტერპრეტაციის გამო აიკრძალა. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ქვეყნის კულტურის სამინისტრომ.

დოკუმენტის თანახმად პაკისტანი არ დაუშვებს კინო-თეატრებში ამ ფილმის ოფიციალურად ჩვენებას. გარდა ამისა, ადგილობრივ ძალებს აქვთ უფლება, მიიღონ ზომები მათ წინააღმდეგ, სადაც ხდება ამ ფილმის ვიდეოკასეტებზე ან დისკებზე გაყიდვა.

„პაკისტანი არ დაუშვებს გაუშვას ფილმი, რომელიც მაყურებელს ეჭვს შეატანინებს რომელიმე წინასწრმეტყველის ქადაგებაში", - განაცხადა ქვეყნის კულტურის მინისტრმა. პაკისტანის ქრისტიანული საზოგადოების წარმომადგენლები უკვე მიესალმნენ ამ ფილმის აკრძალვას. „მადლობელი ვართ ქვეყნის ხელმძღვანელობის ამ გადაწყვეტილების გამო". განუცხადა ჟურნალისტებს ორგანიზაცია პაკისტანის ალიანსის რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელმა შახბაზ ბხატიმ. რომელიც აერთიანებს ქვეყნის ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლებს.

პაკისტანში, სადაც მოსახლეობის 95 პროცენტი მისდევს ისლამს, ქრისტიანები წარმოადგენენ ყველაზე მრავალრიცხოვან რელიგიურ უმცირესობას. მათი რიცხვი 2,3-დან 5 მილიონ ადამიანს შეადგენს. მათი უმრავლესობა კათოლიკეა.

## იაპონელმა მეცნიერმა მონა ლიზა აალაპარაკა



იაპონელმა მეცნიერმა მაცუმი სუზუკიმ ლეონარდო და ვინჩის ლეგენდარული „მონა ლიზა" აამეტყველა. ამჟამად ინტერნეტში შეგიძლიათ იხილოთ ჯოკონდას გამოსახულება, რომელიც ნაზი, იტალიური აქცენტით ამბობს: „მე მონა ლიზა ვარ. ჩემი ვინაობა იდუმალებით არის მოცული." აკუსტიკის იაპონელმა სპეციალისტმა დეტალურად გამოთვალა ლეონარდოს ქმნილების სიმაღლე, წონა და ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ხმის ისეთი ტემბრი შექმნა, რომელზედაც ჯოკონდა რეალურად მეტყველებდა. ხმის სიზუსტეს, ბუნებრივია, ვერავინ გადაამოწმებს, თუმცა მეცნიერი ირწმუნება, რომ ხმა 90-პროცენტიანი სიზუსტით ემთხვევა რეალურს. დამადასტურებელ საბუთად კი ის გარემოება მოჰყავს, რომ რამდენიმე ცნობილი ადამიანის ხმის ტემბრი მსგავსი მეთოდით აქვს გამოთვლილი, რომელიც რეალურს დაემთხვა. მეცნიერი გამოტყდა, რომ თავდაპირველად ჯოკონდას იაპონურ ენაზე ამეტყველება სურდა, თუმცა მოგვიანებით დარწმუნდა რომ ეს ენა ქალისთვის შეუფერებელი იქნებოდა.






## შესწორება

**საქართველოს ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაზეთ "24 საათის" 6 ივნისის N1275-ში გამოქვეყნებულ ტენდერში ტექნიკური მიზეზების გამო ლოტების ჩამონათვალი არასრულად დაიბეჭდა. ვაქვეყნებთ ლოტების სრულ ჩამონათვალს:**

| | ლოტი | შესყიდვის ობიექტი | ცალი |
|---|---|---|---|
| 1 | პერსონალური კომპიუტერი | **მინიმუმ:** **CPU:** 2.0 Ghz; **MotherBoard:** Integrated Video, Lan, Sound; **Memory:** 512MB **HDD: 80**GB; **DVD/CDRW**: Combo; **Case:** ATX; **Keyboard:** PS/2; **Mouse:** PS/2, Optical; **Speaker:** Stereo; **Monitor:** 17" CRT | 11 |
| 2 | პერსონალური კომპიუტერი (მსოფლიო მნიშვნელობის კლასი "ბრენდი") | **მინიმუმ:** **CPU:** 2,4 Ghz; **MotherBoard:** Integrated Video, Lan, Sound; **Memory: 512**MB; **DVD/CDRW**: Combo; **HDD: 80**GB; **Case:** ATX; **Keyboard:** PS/2; **Mouse:** PS/2, Optical; **Speaker:** Stereo; **Monitor:** LCD 15"; | 153 |
| 3 | უწყვეტი კვების წყარო | **მინიმუმ:** 650VA, შემავალი ძაბვის დიაპაზონი 180-260V | 164 |
| 4 | უწყვეტი კვების წყარო | **მინიმუმ:** 3000VA 2250W | 2 |
| 5 | პრინტერი | **მინიმუმ:** შავ-თეთრი-ლაზერული ა4 ფორმატის, 12დან - 16მდე ფურცელი წუთში | 2 |
| 6 | პრინტერი | **მინიმუმ:** შავ-თეთრი-ლაზერული, მინიმუმ ა4 ფორმატის, ქსელური, დიდი დატვირთვის, მინიმუმ 22 ფურცელი წუთში, დატვირთვა - 20 კომპიუტერის მომსახურეობა | 4 |
| 7 | ასლგადამღები | **მინიმუმ:** ციფრული, ლაზერული, შავ-თეთრი, ა3 ფორმატის, დუპლექსით და ასლების ავტომატური მიმწოდებლით. ქსელური ინტერფეისით, თავისი პედესტალით. ა4 და ა3 ფურცლების უჯრებით, საზოგადო მაგნიტური ბარათების წამკითხველით ან სპეციალური მაგნიტური ბარათების წამკითხველით, ბარათების დამტენით, პლიუს ბარათები | 7 |
| 8 | პროექტორი | **მინიმუმ:** ციფრული მულტიმედიური პროექტორი, კონტრასტი 2000:1, რეზოლუცია 1024X768, საპროექციო დისტანცია 1-დან 9 მეტრამდე. დისტანციური მართვის პულტით. | 7 |
| 9 | სტერეო ყურსასმენები | კომპიუტერთან შესაერთებელი ყურსასმენი | 100 |



# აფიშა

## 7 ივნისი

**თეატრი**

**თეატრალური სარდაფი**
პრემიერა
„შთამომავლობა“
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**
„ბინა ყიფშიძის ქუჩაზე“
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**„ამირანი“**
„საილენტ ჰილი“
დასაწყისი: 14:00; 17:00; 20:00; 22:30

„რუსთაველი“
„შტანგა გოლი“ - (ქართულად)
დასაწყისი: 12:00; 14:00; 16:00; 18:00; 20:00; 22:00

**გალერეა**

**„უნივერსი“**
თანამედროვე ქართველ მოქანდაკეთა
ნამუშევრების გამოფენა

**„ჰობი“**
თანამედროვე ქართული ფერწერის გამოფენა

**„კოპალა“**
პარიზელი მოქანდაკის დარეჯან ზურაბიშვილის
სკულპტურული ნამუშევრები
გამოფენა - „ჩემს სიზმრებში“









## TV5MONDE

## 7 ივნისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5--ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** 10 000 კმ. ძღვების ქვეშ. დოკ. ფილმი. **07.35** ქრონიკები მთიდან. **08.30** ტელედილა. **10.50** მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში: დღის მატჩების შედეგები და საუკეთესო ეპიზოდები. **11.05** ჩვენი სახლი. **12.15** მადაგასკარი. დოკ. ფილმი. **14.05** TV5--ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** მისი დაბრუნების შემდეგ. რეჟისორი დანიელ ჟანო. 2004. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** გადაცემა: ჩვენი პლანეტა თვალის ერთი გადავლებით. **22.50** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი: საფრანგეთი-ჩინეთი. **01.20** დიდი დათვი. ტელესერიალი.

# ᲘᲡᲔᲕ ᲛᲣᲜᲙᲘ ᲛᲝᲘᲞᲐᲠᲔᲡ

შვეციაში, კერძო სახლიდან, ცნობილი ნორვეგიელი მხატვრის მუნკის (1863-1944) ტილო მოიპარეს. მისი ღირებულება 70 ათასი ფუნტი სტერლინგია (130 ათას დოლარზე მეტი).

ადგილობრივი პოლიცია აცხადებს, რომ ქურდებმა სახლის კარი გატეხეს და ნამუშევარი ისე გაიტანეს. არსებობს იმის საფრთხე, რომ მუნკის სურათმა ქვეყანა დატოვა და ის, როგორც მისი წინამორბედები, პოლიციის უძილო ღამეების მიზეზი გახდება.

რაც შეეხება მის წინამორბედებს და პოლიციის უძილობას... 2004 წლის აგვისტოში მუნკის მუზეუმიდან, ოსლოში, ქურდებმა ყველაზე ცნობილი სურათები „ყვირილი“ (უფრო სწორად, „ყვირილის“ ერთ-ერთი ვერსია) და „მადონა“ გაიტაცეს. მოკლედ, იცოდნენ, რაც უნდა წაეღოთ. პოლიციამ დააკავა ქურდობის უშუალო შემსრულებლები, მაგრამ ვერაფრით პოულობს ცნობილ ტილოებსა და საქმის დამკვეთებს. არადა, იკვეხნიდნენ, ვერსად გადამალავენო...



ახალი დანაკარგი, რომელზეც, როგორც აღწერენ, ქალი და მამაკაცი მწვანე ფონზე არიან წარმოდგენილნი, ექსპერტების თქმით, ასევე საკმაოდ ცნობილი ნამუშევარი „ორი, ერთნაირი“ უნდა იყოს. ტილო 1899 წელს არის შესრულებული. ისე კი, 130 ათასი დოლარი მუნკისთვის საკმაოდ მცირე თანხაა. ამ ღირებულებას ექსპერტიზა ჯერ ვერ ხსნის. შესაძლოა, პასუხი არ არის მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ნამუშევარი კარგად არ ახსოვთ. საეჭვოა, რამდენად ექნებათ მათ სამომავლოდ იმის შანსი, რომ ედუარდის „ორი ერთნაირი“ ახლოს გაიცნონ.


ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲜᲐᲣᲢᲘᲚᲣᲡᲘ



გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge






შვილები: ქეთინო, ნათელა, მაია მამულაშვილები,
სიძეები: ვაჟა ტურაშვილი, შენგელი ფიცხელაური, ირაკლი ესართია,
რძალი: ნანა სოხაძე,
დები: თამარი, ნუნუ, სანიკო - ოჯახებით,
შვილიშვილები: აკაკი, ანი, თათია, ნინო, ნიკა, ნინი,
შვილთაშვილები: გიორგი, ნინა, ანანო
იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ᲐᲙᲐᲙᲘ ᲡᲐᲑᲐᲡ ᲫᲔ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

**პანაშვიდები: 6 და 7 ივნისს 16 საათზე**
**გამოსვენება: 8 ივნისს 15 საათზე.**
**მისამართი: ქ. ყვარელი, გამარჯვების 100.**

# "ᲤᲝᲜᲓᲘ - ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ"

**www.mcg.ge**

## ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ ᲡᲐᲢᲔᲜᲓᲔᲠᲝ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ

თარიღი: 2006 წლის 7 ივნისი,
მოწვევის # ICB/G-01

1. "ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ" **("კორპორაცია")** და საქართველოს მთავრობამ **("მთავრობა")** დადეს ხელშეკრულება **("კომპაქტი")** "ათასწლეულის გამოწვევის ანგარიშიდან" (**"ემ-სი-ეი"**), 295,300,000 აშშ დოლარის ოდენობით გრანტის გამოყოფის თაობაზე, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობით დაეხმაროს საქართველოს სიღარიბის დაძლევაში (**"ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსება"**). "ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" **("ემ-სი-ჯი"),** რომელიც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის სახელით პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას,განზრახული აქვს ამ გრანტის ნაწილი გამოიყენოს ავტომობილების შესასყიდად N ICB/G-01 კონტრაქტის ფარგლებში.

2. **"ემ-სი-ჯი"** იწვევს ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე კვალიფიციურ პრეტენდენტებს დალუქული სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად 5 ავტომობილის შესასყიდად. შესყიდვების პაკეტი ქვემოდმოყვანილი 3 (სამ) ლოტად არის გაყოფილი და პრეტენდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ წინადადება, როგორც ერთი ასევე ყველა ლოტის მოსაპოვებლად.. თითოეული ლოტი ცალკე შეფასდება და კონტრაქტიც ცალკე მიენიჭება იმ ფირმას(ებს), რომლებიც ყველაზე დაბალ ფასს შემოგვთავაზებენ.

ICB/G/01-ლოტი 1: ავტომობილი 4 მოძრავი ბორბლით - 3
ICB/G/01-ლოტი 2: მიკროავტობუსი - 1
ICB/G/01-ლოტი 3: სედანი - 1

მოწოდების პერიოდი - 30 დღე კონტრაქტის ხელმოწერიდან.

3. ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მოპოვება და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეუძლიათ "ემ-სი-ჯის" ოფისში, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4, საქართველო, 0105. ტელ: +(995 32) 50 77 70, 93 91 33; ფაქსი:+(995 32) 93 91 44; ელ.ფოსტა: g.tvalavadze@mcg.ge

4. სატენდერო დოკუმენტების სრული კომპლექტი უფლებამოსილ პრეტენდენტებს შეუძლიათ მიიღონ სათანადო განცხადების წარმოდგენის შემდეგ ზემოაღნიშნულ მისამართზე, 2006 წლის 14 ივნისიდან. ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დისკვალიფიცირებულები არიან მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების შესყიდვებში მონაწილეობისაგან, ან მისი მონაწილეობა აშშ ფედერალური ხელისუფლების მიერ არის შეჩერებული ან სხვაგვარად ეკრძალება მონაწილეობა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით ან პრეზიდენტის განკარგულებით, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესაბამისად, მათ შორის ნებისმიერი იმ მომენტისათვის არსებული ანტი-ტერორისტული პოლიტიკით არ დაიშვება შესყიდვებში მონაწილეობის მისაღებად და უნდა გამორიცხულ იქნეს კომპაქტის ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვებიდან. აღნიშნულის შეუზღუდავად უნდა გამოირიცხოს, აგრეთვე, ნებისმიერი შესყიდვა იმ ქვეყნიდან, ან ფირმისგან, რომელიც დაარსებულია ან რომლის ბიზნესიც მდებარეობს ან რომლის ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ისეთ ქვეყანაში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის ან პოლიტიკის შესაბამისად სანქციას ან შეზღუდვას ექვემდებარება. დღევანდელი მდგომარეობით ამ სიაში შედის კუბა, ირანი ლიბია, ჩრდილოეთ კორეა და სირია.

5. ყველა სატენდერო წინადადება მოწოდებულ უნდა იქნეს ზემოაღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 14 ივლისის 13:00 საათისა. დაგვიანებით წარმოდგენილი წინადადებები არ მიიღება და გაუხსნელად დაუბრუნდება ტენდერის მონაწილეებს.

6. წინადადებები გაიხსნება პრეტენდენტთა წარმომადგენლების თანდასწრებით 2006 წლის 14 ივლისს 13:00 საათზე, "ემ-სი-ჯის" ოფისში: სანაპიროს ქუჩა N 4, თბილისი, საქართველო, 0105.




ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲔᲚ ᲪᲔᲜᲢᲠ
“ᲜᲐᲣᲢᲘᲚᲣᲡᲨᲘ"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## Bentley ძვირად ღირებულ კუპეს გამოუშვებს

კომპანია Bentley-ის ხელმძღვანელობა ახალი საშუალო ზომის და ძვირად ღირებული კუპეს გამოშვების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ოფიციალურად ადასტურებს. ახალი ავტომობილი კაბრიოლეტ Bentley Azure-ის ბაზაზე შეიქმნება და ბაზაზე 2009 წლისთვის გამოვა. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ ახალ ავტომობილს კონკურენციას მხოლოდ Porshe Panamera და Lamborghini-ის ანალოგიური მოდელები გაუწევენ. ახალი კუპეს ორიგინალობა იმაში მდგომარეობს,რომ მას აშკარად სპორტული იმიჯი ექნება, მაშინ როცა, Bentley მაქსიმალურად კომფორტულ და პრესტიჟულ მარკად ითვლება.

კომპანიის ხელმძღვანელობა სხვა დეტალურ ინფორმაციაზე საჯაროდ ჯერ არ საუბრობს, რადგან ახალი მოდელის საბოლოო ვარიანტზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა.

## Lamborghini თავის ფანებს კიდევ ერთ სიურპრიზს სთავაზობს

იტალიური საავტომობილო კომპანია Lamborghini თავის ფანებს ახალი ტიპის კუპე-მოდელს Gallardo-ს შესთავაზებს. ეს ავტომობილები საკმაოდ შეზღუდული რაოდენობით, მხოლოდ 150 ცალი გამოვა.

სტანდარტულ ავტომობილებთან შედარებით, აღნიშნული "Supercar" სრულიად განსხვავებულ აეროდინამიკურ პლატფორმაზეა აწყობილი. ამასთან ერთად, განსხვავებულია მისი სალონიც, რომელიც თეთრისა და შავის კომბინაციაშია გადაწყვეტილი.

Lamborghini gallardo Privilegio-ს ფასი ჩვეულებრივ gallardo-სთან შედარებით 19%-ით მოიმატებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფანატებს აღნიშნულ მოდელში 200 ათასის, ევროპაში კი 250 ათასი დოლარის გადახდა მოუწევთ.



## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3511 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9981 |
| 1 არაბული დირხამი | AED | 0,4889 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,7955 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8373 |
| 1 ბურგალური ლეი | BGL | 1,1897 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,3119 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3118 |
| 1 ევრო | EUR | 2,3260 |
| 10ესტონური კრონი | EEK | 1,4871 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3453 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,1350 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1605 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3820 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1961 |
| 10ისლანდიური კრონი | ISK | 0,2530 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,4010 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,6336 |
| 1 ლატვური ლატი | LVL | 3,2765 |
| 10ლიტვური ლიტი | LTL | 6,6591 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3582 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2996 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5892 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6032 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0672 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1414 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4211 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5570 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4695 |
| 10უკრაინული გრივნა | UAG | 3,5810 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8853 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2089 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1499 |
| 10ყირგიზული სომი | KGS | 0,4431 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2532 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4895 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0821 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2242 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2314 |




# ფასები და ხელოვნურად გაზრდილი სტატისტიკა

### ფერმერების სტიმულირებისათვის არაფერი კეთდება

თინა შავაძე
ნინო ნატროშვილი

*სტატისტიკური ინფორმაციის უტყუარობაზე დღემდე კამათობენ. მაგრამ "24 საათთან" საუბრისას სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლიდან საქართველოში სტატისტიკური მაჩვენებლების გამოთვლა ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი მექანიზმით ხდება. ამის მიუხედავად, ქვეყანაში პირველადი მოხმარების პროდუქტებზე გაზრდილი ფასები და ამის შესახებ არსებული სტატისტიკური მაჩვენებლები დილეტანტებშიც კი ეჭვს იწვევს. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოში 2006 წლის მაისში, აპრილთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 102,4 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, ინფლაციის დონემ - 2,4 პროცენტი. წლის დასაწყისიდან კი სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 5,8 პროცენტით გაიზარდა.*

*საქართველოში ინფლაციის დონის მაჩვენებლები უკანასკნელი ხუთი წლის მიხედვით*

| | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 |
|---|---|---|---|---|---|
| მაისი აპრილთან | 100.0 | 100.2 | 100.0 | 98.7 | 102.4 |
| მაისი წინა წლის დეკემბერთან | 105.4 | 102.3 | 100.8 | 102.1 | 105.8 |
| მაისი წინა წლის მაისთან | 107.6 | 102.3 | 105.4 | 108.9 | 110.0 |

- **აშკარაა, რომ ქვეყანაში ვაჭრობის ლობისტები წარმოების ლობისტებზე ბევრად ძლიერები არიან.**
- **ხელისუფლების პირველი პირები უკვე აღიარებენ, რომ პირველადი მოხმარების პროდუქტზე ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა.**

B2

# განთქმული ბრენდების შემგროვებელი

### ფუფუნებით მოგროვილი ბერნარ არნოს მილიარდები

გოჩა ქიმუცაძე

*შვედი ინგვარ კამპარდის შემდეგ ევროპაში ყველაზე დიდი ქონების მფლობელი უმდიდრესი ფრანგი, 57 წლის ბერნარ არნო გახლავთ. ჟურნალ Forbes-ის რეიტინგში 21,5 მილიარდი დოლარით მეშვიდე ადგილზე მდგომმა არნომ თავისი კაპიტალის უდიდესი ნაწილი ცნობილი, ფუფუნების საგნების მწარმოებელი მარკების შეძენითა და აყვავებით მოიხვეჭა. კომპანია Moet Hennessy Lous Vuitton (LVMH)-ის თავკაცს, საქვეყნოდ სახელგანთქმულ ფრანგ მაგნატს ეკუთვნის "კრისტიან დიორის", "გოვენჩის", "სელინის", "კენძოს", "ლაკრუას" და "ბერლუტის" სამოდელო სახლები, საიუველირო კომპანია Fred და შვეიცარიული საათების ფირმა Tag Heuer, "ფრენკ ე ფისის" და "ბომარშეს" მაღაზიები, ყველაზე ცნობილი, ოთხსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ღვინის მარკა "შატო დ'იკემი", შამპანურები: "მოეტ ე შანდონი", "დომ პერიონი", "კლიკოს ქვრივი", "ჰენესის" კონიაკი, ფირმა "ჰერლენი", პოპულარული პარფიუმერული მაღაზიების ქსელი "სეფორა", "ფილიპსის" აუქციონი, ეკონომიკური პროფილის გამოცემები: "ტრიბიუნ" და "ენვესტირ", კულტურული თემების გამშუქებელი ჟურნალი "კონესანს დე ზარ" და რადიოსადგური "კლასიკ", უმსხვილესი ტელეკომპანია TF1-ის მფლობელი კორპორაცია "ბუიგის" აქციების 10 პროცენტი, ჰოლდინგი Europatweb, რომელიც 60-მდე ინტერნეტპროვაიდერსა და პორტალს აერთიანებს.*



B3

# წარმატების საიდუმლო - საოჯახო ბიზნესი

### როგორ "ვიცხოვროთ ლამაზად და მშვიდად"

სალომე ძაძამია

*ირმა დაუშვილი მათემატიკოსია და მიაჩნია, რომ მისი პროფესიის ადამიანებს ყველაზე კარგად ალღო და ანალიტიკური აზროვნება აქვთ განვითარებული. ფიქრობს, რომ ფირმის საქმიანობის გაძღოლაში მას სწორედ ეს თვისებები დაეხმარა.*
*მეტალო-პლასტმასისა და ჟალუზების კომპანია "დიო" 1996 წლის 13 მარტს შეიქმნა და ქართულ ბაზარზე, უკვე 10 წელია, საქმიანობს. თავდაპირველად მზა პროდუქცია საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ, 1997 წლიდან კი ფირმამ თავად დაიწყო ვერტიკალური ჟალუზების წარმოება. შემდეგ გარე დამცავი ჟალუზების და ავტოფარეხის კარების წარმოებაც დანერგა. გერმანიის ფრანკფურტის გამოფენამ ირმას პირველი პარტნიორებიც უპოვა. მას შემდეგ, კომპანია დღითი დღე იზრდება და თანამშრომელთა რიცხვიც მატულობს.*

**"დღეს ბიზნესის დაწყება რთულია. შეიძლება, ლიცენზიის აღებას 6 თვე მოანდომო და 6 თვის მერე ეს ბიზნესი სულაც არ იყოს საინტერესო. ძალიან დიდი პრობლემებია განბაჟებასთან დაკავშირებითაც. კარგია, რომ სამთავრობო სექტორი ახალგაზრდებით დაკომპლექტდა, მაგრამ მათ არ გააჩნიათ სათანადო გამოცდილება."**



*ირმა დაუშვილი.*

B3

## ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 7 ობიექტი გამოიტანა გასაყიდად

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სამშაბათს გასაყიდად 7 ობიექტი გამოიტანა, რომელთა საერთო საწყისი გასაყიდი ფასი 7,63 მლნ ლარს შეადგენს. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან აცნობეს, ქუთაისში მდებარე შპს "ინდუსტრიის" 100-პროცენტიანი წილი აუქციონის წესით გაიყიდება. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 2 მილიონი ლარია. "ინდუსტრია" სამრეწველო და სამეურნეო პროდუქციას აწარმოებს. მისი დებიტორული დავალიანება - 263 480 ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება 434 684 ლარს შეადგენს. შპს "ალფა", რომელიც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, სამამულო მიკროელექტრონულ ხელსაწყოებს და აპარატურას აწარმოებს, თბილისში მდებარეობს. საწესდებო კაპიტალში (რომელიც 6,4 მლნ ლარს შეადგენს) სახელმწიფოს წილი 100 პროცენტია. "ალფას" საწყისი გასაყიდი ფასი 3,6 მილიონ ლარს შეადგენს. აუქციონის წესით გაიყიდება თბილისში რუსთაველის გამზირზე/კვალის ქ. 31/13 მდებარე ფართი და მიწის ნაკვეთი, რომლის საწყისი ფასი 1,28 მლნ ლარს შეადგენს. სამინისტროს საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვდა შპს "პოლიმედსერვისი", სს "ამბროლაურგაზი", თბილისში და ბორჯომში მდებარე შენობები და მიწის ფართები. ობიექტების ყიდვის მსურველთა განაცხადების მიღება 1 თვის მანძილზე გაგრძელდება, გასაყიდი აუქციონები კი 7 ივლისს ჩატარდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## გზების დეპარტამენტმა მსოფლიო ბანკის კრედიტების ათვისებაზე სატენდერო განაცხადების მიღება დაიწყო

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განვითარების საერთაშორისო ასოციაციიდან (მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი სტრუქტურა) მიღებული კრედიტით "შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტის" ფარგლებში გზის ოთხი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე სატენდერო დოკუმენტების მიღება დაიწყო. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს დეპარტამენტიდან აცნობეს, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება იგეგმება შემდეგ მონაკვეთებზე; საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზის 18-72 კმ; თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდის გზის 32-50 კმ; ზუგდიდი-ანაკლიის გზის 1-35 კმ; ჩოლაბაურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბულის გზის 0-29 კმ; სატენდერო დოკუმენტების მიღება 19 ივლისამდე გაგრძელდება. სამუშაოების შესრულების ვადა 15 თვით განისაზღვრება. გზების დეპარტამენტმა ასევე გამოაცხადა ტენდერი თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის 33-34 კმ. მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების და ჩოხატაური-ბახმაროს გზის ნაპირსამაგრი სამუშაოების შესასყიდად. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სარკინიგზო მიმოსვლა აღდგა

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სარკინიგზო მიმოსვლა აღდგა. აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო "ტრენდის" ინფორმაციით, ორშაბათს ჰადჟიგაბულში სარკინიგზო რელსებიდან მაზუთით დატვირთული ცისტერნების გადასვლის გამო მომხდარი ავარიის მიერ მიყენებული ზარალი ამჟამად დგინდება. "ტრენდის" ცნობით, ავარიის შედეგად 1,5 ჰა მიწის ფართობი დაბინძურდა. წინასწარი ინფორმაციით, ცისტერნების რელსებიდან გადავარდნის მიზეზი ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი მომატება გახდა, რამაც სარკინიგზო რელსების გაფართოება გამოიწვია. მაზუთით დატვირთული ცისტერნები საქართველოსაკენ მოემართებოდნენ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აზერბაიჯანი ევროსტანდარტის ბენზინის წარმოებას გეგმავს

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია ბაქოს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ნავთობის გადამუშავების თანამედროვე მოწყობილობების მშენებლობის საპროექტო სამუშაოებს აწარმოებს. ამის შესახებ აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" ნავთობკომპანიის პრეზიდენტმა როვგან აბდულაევმა განუცხადა. მისი განმარტებით, აღნიშნული მოწყობილობების დამონტაჟების შემდეგ აზერბაიჯანი ევროსტანდარტების შესაბამისი ბენზინის წარმოებას დაიწყებს. "ამ ეტაპზე აზერბაიჯანული ბენზინის მთავარი პრობლემა მასში ბენზოლის და არომატიკის შემცველობის არსებობაა. ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში თანამედროვე მოწყობილობების დამონტაჟების შემდეგ, აზერბაიჯანული ბენზინი მსოფლიო სტანდარტებს უპასუხებს, რაც მას საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობას მისცემს," - განაცხადა აბდულაევმა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ბიზნესმენები ნინო ბურჯანაძესთან ერთად საკანონმდებლო ცვლილებების პროექტებს განიხილავენ

ბიზნესმენები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან ერთად საკანონმდებლო ცვლილებების პროექტებს განიხილავენ. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს "საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციიდან" აცნობეს, შეხვედრა ოთხშაბათს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული ბიზნეს-საბჭოს მორიგი სხდომის ფარგლებში გაიმართება. ფედერაციის ინფორმაციით, სხდომაზე განხილული იქნება სამი საკითხი: ცვლილებები "საქართველოს საგადასახადო კოდექსში", ახალი "საბაჟო კოდექსი" და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) "მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროექტი" წარმოადგენს ინფორმაციას ბიზნესში მიმდინარე მოვლენების ინფორმირების გაუმჯობესების შესახებ. პირველი განსახილველი საკითხი საგადასახადო კოდექსის კიდევ უფრო გამარტივებას და დახვეწას შეეხება. შეხვედრაზე ბიზნესწრეების წარმომადგენლები ნინო ბურჯანაძეს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით შემუშავებულ კოდექსში ცვლილებების პროექტს წარუდგენენ. რაც შეეხება საბაჟო კოდექსს, შეხვედრაზე ბიზნესმენები კოდექსის მე-2 მოსმენის წინ პარლამენტის მიერ გარკვეული კომენტარების გათვალისწინების აუცილებლობაზე ისაუბრებენ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## უკრაინიდან საქართველოში 500 ტონა კონტრაბანდული შაქარი შემოიტანეს

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიების სამმართველომ უკრაინიდან 500 ტონა შაქრის კონტრაბანდის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს ფინანსური პოლიციიდან აცნობეს, შპს “ს და ს"-მ ყალბი დოკუმენტების გამოყენებით საბაჟო გადასახადი 47 ათასი ლარით შეამცირა, რის გამოც ამჟამად კომპანიის ხელმძღვანელობას სანქცია-საურავების სახით 90 ათასი ლარი აქვს გადასახდელი. ფინანსურ პოლიციაში გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე და 214-ე მუხლებით მიმდინარეობს, “ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის გამოყენება" და “საბაჟო წესის დარღვევა". **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# ხელოვნურად გაზრდილი ფასები და სტატისტიკა

პირველი გვერდიდან

მიმდინარე წლის მაისში, აპრილთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ფორმირებაზე როგორც ზრდის, ასევე კლების მიმართულებით რამდენიმე ფაქტორმა იქონია მნიშვნელოვანი გავლენა.

- უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ **2006 წლის 1 მაისიდან ქვეყანაში ფასები გაიზარდა ბუნებრივ გაზზე 31,3 პროცენტით** (მათ შორის, თბილისში - 28,8 პროცენტით, ქუთაისში - 35,7 პროცენტით, ბათუმში - 32,5 პროცენტით, გორში - 35,7 პროცენტით, ხოლო თელავში - 35,8 პროცენტით).

**- საქართველოში 2006 წლის მაისში, აპრილთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები გაიზარდა საწვავზე 8,1 პროცენტით.** მათ შორის, ბენზინი ქვეყანაში გაძვირდა საშუალოდ 10,1 პროცენტით (თბილისში - 11,2 პროცენტით, ქუთაისში - 9,8 პროცენტით, გორში - 9,7 პროცენტით, ხოლო ბათუმში - 8,5 პროცენტით) და დიზელის საწვავი - საშუალოდ 10,9 პროცენტით (მათ შორის, თბილისში - 13,6 პროცენტით, გორში - 9,8 პროცენტი, ბათუმში - 8,8 პროცენტით, ხოლო ქუთაისში - 6,3 პროცენტით).

- მაისში, წინა თვესთან შედარებით, **საქართველოში სამომხმარებლო ფასები გაიზარდა სურსათზე საშუალოდ 4,3 პროცენტით.** მათ შორის, გაძვირდა კვერცხი 53,9 პროცენტით (ქუთაისში - 79,1 პროცენტით, ბათუმში - 55,2 პროცენტით, თბილისში - 49,2 პროცენტით, გორში - 46,3 პროცენტით, ხოლო თელავში - 41,3 პროცენტით). ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ბოსტნეულზე საშუალოდ 17,4 პროცენტით, გაძვირდა კომბოსტო - 130,8 პროცენტით, სტაფილო - 30,5 პროცენტით, ჭარხალი - 25,5 პროცენტით; ფასები ასევე გაიზარდა ხილზე - 4,7 პროცენტით, მათ შორის, გაძვირდა ფორთოხალი - 11,6 პროცენტით, შაქარზე - 6,4 პროცენტით, მათ შორის თბილისში - 7,0 პროცენტით, ქუთაისში - 7,1 პროცენტით, ხოლო გორში - 7,3 პროცენტით;

ამასთან ერთად, გაიაფდა ყველი - 22,5 პროცენტით, მწვანილი - 20,0 პროცენტით, კიტრი - 42,6 პროცენტით, პამიდორი - 11,4 პროცენტით, ბადრიჯანი - 20,2 პროცენტით. მიმდინარე წლის მაისში, აპრილთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების საერთო დონე, გარკვეულწილად, განსაზღვრა **ფასების კლებამ თამბაქოზე საშუალოდ 2,2 პროცენტით და ალკოჰოლურ სასმელებზე 1,5 პროცენტით.** კერძოდ, იმპორტულ სიგარეტზე სამომხმარებლო ფასები შემცირდა 2,9 პროცენტით, მათ შორის, გორში - 11,3 პროცენტით, ბათუმში - 5,2 პროცენტით.

ხელისუფლების პირველი პირები უკვე აღიარებენ, რომ პირველადი მოხმარების პროდუქტზე ფასები გაიზარდა. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, ფასების ზრდა ხელოვნურად მოხდა. მან მიმდინარე კვირის დასაწყისში მთავრობის სპეციალური შეხვედრა გამართა და მთავრობის ეკონომიკური ბლოკის მინისტრებთან ქვეყანაში საკვები პროდუქტების წარმოებასა და კატასტროფულად გაზრდილ ფასებთან დაკავშირებით არასახარბიელო მდგომარეობის ახსნა მოითხოვა. “რატომღაც ხდება ისე, რომ საქართველოში შემოტანილია ფრინველის ხორცის 55 პროცენტი, რძის ფხვნილის 100 პროცენტი, კარაქის 90 პროცენტი, ბოსტნეულის 10 პროცენტი, კვერცხის 40 პროცენტი, ღორის და ძროხის ხორცის დიდი ნაწილი და ა.შ. ჩვენ არ უნდა გვჭირდებოდეს კარტოფილის და ხორბლის იმპორტი. ეს დიდი პრობლემაა ჩვენი ქვეყნისთვის. საქართველოში ამ მხრივ შექმნილი სიტუაცია არასახარბიელოა და მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა გამოსწორდეს," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. მან მაგალითისთვის სომხეთის ბაზარზე არსებული ვითარება მოიყვანა და აღნიშნა, ქვეყანაში, რომელიც თავისი რესურსებით ბევრად ჩამორჩება საქართველოს, სოფლის მეურნეობის პროდუქცია მნიშვნელოვნად იაფი ღირს, ვიდრე ეს ქართულ ბაზარზეა.

5 ივნისს თბილისის ცენტრალურ სუპერმარკეტში საკვებ პროდუქტებზე შემდეგი ფასები დაფიქსირდა: საქონლის ხორცი - 7.0 - 8.0 ლარი; ღორის ხორცი - 8,5 -9.0 ლარი; იმერული ყველი - 6-7 ლარი; გუდის ყველი - 10.0-12.0 ლარი; სულგუნი - 8.0-9.0 ლარი; ქათამი (სოფლის) - 10 ლარი; კვერცხი - 0..30 ლარი, კალმახი - 10.0 ლარი; ლოქო - 18.0, ზუთხი - 30 ლარი; ხახვი - 1.0 ლარი; კომბოსტო - 1.0 ლარი; ლობიო - 2.0-2.5 ლარი; ლობიო (მწვანე) - 1.5-3.0 ლარი, ბადრიჯანი - 2.0 ლარი, პომიდორი 2.0-4.0 ლარი; კიტრი - 1.0-2.0, ლარი; ახალი კარტოფილი - 1.5 ლარი; ნიგოზი - 10 ლარი; თაფლი - 7-11 ლარი; ვაშლი 1.0-2.0 ლარი; ყურძენი - 3 ლარი; ჩურჩხელა - 1,5 - 2,5 ლარი; ალუჩა - 2,0 ლარი, მარწყვი - 1.5. - 3.0 ლარი. ბალი- 3.5-5.0 ლარი; ალუბალი - 3.5. ლარი; გარგარი - 8,0 ლარი.

ექსპერტთა ერთი ნაწილის შეფასებით, პროდუქციის გაძვირება მართლაც ხელოვნურად მოხდა. ამის მიზეზი ბევრია. აშკარაა, რომ ქვეყანაში ვაჭრობის ლობისტები წარმოების ლობისტებზე ბევრად ძლიერები არიან. შესაბამისად, ისინი ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას, გარკვეულწილად, აფერხებენ. ამდენად, ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის რეალური საკანონმდებლო ხელშეწყობა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, როგორც საგადასახადო კანონმდებლობის, ისე იმ დაცვითი ელემენტების თვალსაზრისით, რომელიც შეიძლება სახელმწიფომ ადგილობრივ მეწარმეს შეუქმნას. საუბარია არა ღია პროტექციონიზმზე, არამედ ადგილობრივი ბაზრის დაცვაზე დემპინგური ფასებით კონტრაბანდული საქონლის შემოტანისაგან. სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ძირითადად, ენერგომატარებლების ფასების ზრდის გამო ძვირდება.

ამის გარდა, ქვეყნისთვის მოწოდებული ბუნებრივი აირი უფრო მეტად გაძვირდა, ვიდრე სომხეთისთვის მიწოდებული. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან ელექტროენერგიის საფასური ყველაზე მაღალი საქართველოშია. ენერგომატარებლების ფასების ზრდა კი იწვევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაძვირებას, რადგან სოფლიდან ქალაქში მათი ჩატანა ავტოტრანსპორტით ხდება.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და, ამდენად, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ხელმისაწვდომი ფასები უნდა იყოს. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი დღემდე ვერ მონახა სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა, მაშინ, როცა ცნობილია, რომ გამოსავალი ფერმერული მეურნეობებისა და გლეხების ყოველმხრივ ხელშეწყობაშია. ერთი პერიოდი მათ საწვავს ურიგებდნენ, რაც ახლა ერთჯერადი აქციის დონეზე დარჩა. მნიშვნელოვანია გლეხისა და ფერმერის ხელშეწყობა სეზონური კრედიტებით. მაგალითად, გლეხს გაზაფხულზე კრედიტი მიწის დასამუშავებლად, შემოდგომაზე კი მოსავლის მისაღებად უნდა გამოეყოს. თუმცა, ამისათვის საჭიროა, კრედიტის დაზღვევის სისტემა არსებობდეს.

ამ პროდუქტების წარმოების ტრადიცია საქართველოში ყოველთვის მაღალი იყო. ამიტომ, მთავრობამ ასეთ შემთხვევაში ადგილობრივ მწარმოებელს უნდა მისცეს საშუალება, რომ იგი სტიმულირებული იყოს. მხოლოდ საგადასახადო კოდექსის ცვლილებები არ არის საკმარისი. მით უმეტეს, კოდექსში უფრო მნიშვნელოვანი შესწორებებია შესატანი. ამას კი, პირველ რიგში, სჭირდება ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარება და გარემო, რომელიც ჯერჯერობით სათანადო არ არის.

# წარმატების საიდუმლო - საოჯახო ბიზნესი

პირველი გვერდიდან

ირმა დაუშვილმა ბიზნესი მძიმე პერიოდში დაიწყო. ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ მათემატიკოს ქალბატონს გადააწყვეტინა, იმ დროისათვის საქართველოში სრულიად უცხო - ჟალუზების წარმოება დაეწყო.

“სხვა არჩევანი არ მქონდა. 1993-1994 წლებში საქართველოში შექმნილი მდგომარეობა არჩევანის საშუალებას არ იძლეოდა. იმ დროს არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ჩემს ოჯახსაც შეეხო. გადავწყვიტე, კერძო ბიზნესი დამეწყო, თუმცა არ ვიცოდი, რა და როგორ გამეკეთებინა. ჩემმა მეგობარმა, რომელიც უცხოეთში ცხოვრობდა, საქართველოში ფარდა-ჟალუზების რეალიზება შემომთავაზა. თავიდან ძალიან გაგვიჭირდა, თუმცა ნელ-ნელა შევძელით წარმატებისთვის მიგვეღწია. თავიდან, მომხმარებლისათვის ახსნა გვიწევდა, თუ რას ნიშნავდა ფარდა-ჟალუზები. მეგობრები მეხუმრებოდნენ, ვის რად უნდა შენი ჟალუზებიო. ამის მიუხედავად, იმედს არ ვკარგავდი და მჯეროდა, რომ ჩემი საქმიანობა აუცილებლად წარმატებული იქნებოდა. ჩვენმა შრომამ შედეგი გამოიღო და დღეს ბაზარზე “დიო” ლიდერია...”

“დიოს” წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი იყო სარეკლამო კლიპი “იცხოვრეთ ლამაზად და მშვიდად”.

ფირმა ემსახურება სახელმწიფო ობიექტებს, სახელმწიფო კანცელარიას, პარლამენტს, სამინისტროებს, საელჩოებს, სასტუმროებს და კერძო დამკვეთებს.

2002 წლიდან “დიომ” საუკეთესო ხარისხის, ფირმა “ROPLASTO-ს” მეტალო-პლასტმასების ფანჯრების დამზადება დაიწყო. ქალბატონ ირმას მიაჩნია, რომ “დიოს” წარმატების საიდუმლო - საოჯახო ბიზნესია, სადაც ერთნაირი ძალისხმევით მუშაობენ მისი და-ძმა, თამარ და თამაზ დაუშვილები. კომპანიაში სულ 30 ადამიანია დასაქმებული, წარმოებაში კი - 20 კაცი. შენდება ახალი წარმოება, რომლის პირველი ეტაპის დასრულება ახალი წლისთვის იგეგმება.



“უკვე 10 წელია, რაც კომპანია “დიო” არსებობს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ. რაც ყველაზე მთავარია, მომხმარებლის ნდობა მოვიპოვეთ. ვცდილობთ, სულ სიახლეები შევთავაზოთ კლიენტებს. მიმაჩნია, რომ ჩვენთან კონკურენცია ძნელია,” - ამბობს ირმა.

ამჟამად “დიოს”, თბილისის გარდა, წარმომადგენლობა აქვს ბათუმში, თელავში, გორში და ქაუთაისში. კომპანია “დიო” ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატის ISO მფლობელია. უცხოელი ექსპერტების შეფასებით, “დიოს” დღევანდელი ხარისხი ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება.

ფირმა “დიო” ტექნიკურად აღჭურვილია უახლოესი გერმანული მანქანა-დანადგარებით კომპანია “URBAN”-ისაგან, რომელიც იმ ტიპის მანქანების წარმოებაში ლიდერია. “დიოს” თანამშრომლებმა პრაქტიკა გერმანიაში გაიარეს, ხოლო ფირმაში ტრენინგებს “ROPLASTO”-ს წარმომადგენლები ატარებდნენ.

### სახელმწიფო და ბიზნესმენი

მსოფლიოში არ არსებობს კოდექსი, რომელიც მეწარმის ინტერესებს მოერგება. გამონაკლისი არც საქართველოა. ამიტომ ბიუროკრატიულ მექანიზმებთან ურთიერთობისას ირმასაც ძალიან დიდი პრობლემა აქვს.

“დღეს ბიზნესის დაწყება რთულია. შეიძლება, ლიცენზიის აღებას 6 თვე მოანდომო და 6 თვის მერე ეს ბიზნესი სულაც არ იყოს საინტერესო. ძალიან დიდი პრობლემებია განბაჟებასთან დაკავშირებითაც. კარგია, რომ სამთავრობო სექტორი ახალგაზრდებით დაკომპლექტდა, მაგრამ მათ არ გააჩნიათ სათანადო გამოცდილება, რომ სწორი გადაწყვეტილებები მიიღონ. საბედნიეროდ, საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს ქალის პატივისცემა. ყველგან გულისხმიერ დამოკიდებულებას ვგრძნობ. უცხოელი პარტნიორები შეღავათებს მიწევდნენ, თუმცა ამ შეღავათებთან ერთად იყო ნდობის მომენტიც,” - ამბობს ირმა.

### ბიზნესმენი ქალის რჩევები

“დღეს ბევრი რამე შეიცვალა ბიზნესის სამყაროში. ინფორმაციის მიღების ბევრი წყარო არსებობს, თუ როგორ წარიმართოს მენეჯმენტი. 10 წლის წინ მსგავსი ინფორმაციის მოპოვება რთული იყო. დამწყებ ბიზნესმენ ქალბატონებს ბევრი დაკვირვება და სწორი გათვლა მართებთ. მთავარია, საქმე დაიწყო. თუ არ დაიწყე, ვერ მიხვდები, შეგიძლია თუ არა. ხარჯების კონტროლი და ზომიერების შეგრძნება ბიზნესისთვის აუცილებელია.”

- წარმატებულ მეწარმე ქალბატონს თავისუფლება დაკარგული აქვს. “ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ არამარტო იმ 30 ადამიანის წინაშე, რომლებიც ჩემს კომპანიაში მუშაობენ, არამედ დამკვეთების მიმართაც. ეს მამაკაცური საქმეა და ნახევრად მამაკაცური ცხოვრებით ვცხოვრობ, თუმცა შედეგი რომ დადებითია, ეს ძალიან კარგია,” - ამბობს ირმა.

- ირმა დაუშვილი ქალ მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტია. მისი თქმით, ასოციაციის მიზანია, მეწარმე ქალები გაერთიანდნენ და ერთად განიხილონ პრობლემები. ამასთანავე, დამწყებ ბიზნესმენ ქალბატონებს დაეხმარონ ინფორმაციულად და, თუ საჭიროება მოითხოვს, ფინანსურადაც.

## საქართველოში ლერწმისა და შაქრის იმპორტი 17 ქვეყნიდან ხორციელდება

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, შაქრისა და ნახევრად დამუშავებული შაქრის ლერწმის იმპორტიორები, ძირითადად, ბრაზილია, კოლუმბია და გაერთიანებული სამეფოა. როგორც “ჯი-ეიჩ-ენს" სამინისტროდან აცნობეს, ბრაზილიიდან ლერწმისა და შაქრის იპორტმა საქართველოში 25,3 ათასი ტონა, კოლუმბიიდან 17 000 ტონა და გაერთიანებული სამეფოდან შემოტანილი ნედლეულის იმპორტმა 29,5 ათასი ტონა შეადგინა. მათი განცხადებით, ლერწმისა და შაქრის იმპორტი 17 ქვეყნიდან ხორციელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სოფლის მეურნეობის სამინისტრო ევროკავშირიდან დაახლოებით 2,700 000 ევროს ელოდება

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფრინველის გრიპის პრევენციული ზომების გასატარებლად ევროკავშირისგან დაახლოებით 2,700 000 ევროს ელოდება. როგორც “ჯი-ეიჩ-ენს" სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველმა ლევან რამიშვილმა განუცხადა, დონორი ორგანიზაციები სწავლობენ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას და მოსალოდნელი ვირუსის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება აუცილებელი ხდება. მისი თქმით, არის მომენტები, როდესაც მსოფლიო ბანკი დაფინანსებას ვერ უზრუნველყოფს და ამიტომ გარკვეული ღონისძიებების დაფინანსება ევროკავშირს უწევს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სესბ-მა 15 ივნისამდე ელექტროენერგიის განაწილების ლიმიტები დაამტკიცა

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა (სესბ) სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს 15 ივნისამდე ელექტროენერგიის განაწილების ლიმიტები დაუმტკიცა. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს სესბ-იდან აცნობეს, 2-15 ივნისის პერიოდისათვის საპროგნოზო საშუალო დღე-ღამური გასაყიდი ელექტროენერგია, ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით 19,098 მლნ კვტსთ-ს შეადგენს. სესბ-ის ინფორმაციით, აქედან 3,12 მლნ კვტსთ “თბილსრესის” მე-4 ენერგობლოკის საშუალო დღე-ღამური გამომუშავებაა, 0,335 მლნ კვტსთ-გაზოტურბინის საშუალო დღე-ღამური გამომუშავება, 12,36 მლნ კვტსთ- ჰიდროსადგურების მიერ გამომუშავებული, 3,226 მლნ კვტსთ - მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტირებული ელექტროენერგია - რუსეთიდან 3,1 მლნ კვტსთ და თურქეთიდან 0,126 მლნ კვტსთ. როგორც სესბ-ში აცხადებენ, არსებული ენერგოსიმძლავრეების გათვალისწინებით, "თელასისათვის" დაგეგმილია 4,3 მლნ კვტსთ-ი ელექტროენერგიის მიწოდება, "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისათვის" 4,5 მლნ კვტსთ-ის, "აჭარის ენერგოკომპანიისთვის" - 0,99 მლნ კვტსთ-ის, "კახეთის ენერგოდისტრიბუციისთვის" - 0,5 მლნ კვტსთ-ის. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველო დონბასის ინვესტიციებითაა დაინტერესებული

საქართველო დონბასის ინვესტიციებით არის დაინტერესებული, - განაცხადა საქართველოს ელჩმა უკრაინაში გრიგოლ ქათამაძემ დონეცკის ოლქის გუბერნატორთან შეხვედრის შემდეგ. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს საელჩოდან უკრაინაში აცნობეს. დონეცკის ოლქის გუბერნატორის თქმით, ქართველ ბიზნესმენთა წინადადებები განხილვის პროცესშია. ქათამაძის თქმით, საქართველოსთვის მისაღები იქნება ენერგეტიკაში და ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციები დონბასიდან. მან აღნიშნა, რომ საქართველოსა და უკრაინას შორის სავაჭრო ბრუნვა გაორმაგდა. საქართველოში უკრაინული პროდუქციის იმპორტის მოცულობის 32 პროცენტი სოფლის მეურნეობაზე მოდის, 19 პროცენტი - მეტალურგიაზე, 12 პროცენტი - მანქანათმშენებლობაზე. 1,3-ჯერ გაიზარდა საქართველოსა და დონეცკის ოლქს შორის სავაჭრო ბრუნვა, რომელიც წელს 350 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს, - განაცხადა ელჩმა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ირანელებს კაპიტალი უცხოეთში გააქვთ

ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით გამართული ბოლოდროინდელი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ ირანი საერთაშორისო ფინანსური ბლოკადის წინაშე აღმოჩნდა. ამის გამო ირანელები იძულებული არიან, ფული უცხოეთში გადარიცხონ ან ოქროში კონვერტირება მოახდინონ.

დამკვირვებელთა ინფორმაციით, გასული წლის აგვისტოში ირანის პრეზიდენტად მაჰმუდ აჰმადინეჯადის არჩევის შემდეგ ქვეყნიდან 200 მილიონ დოლარზე მეტი გაედინა. გარდა ამისა, ამ პერიოდში ადგილობრივ ბაზარზე მკვეთრად გააქტიურდა ოქროს შეძენა. შედეგად, ირანის საფონდო ბირჟის ღირებულება, რეგიონში არსებული საერთო ფინანსური ზრდის ტენდენციის მიუხედავად, 20 პროცენტით დაეცა.

გასულ კვირაში ცნობილი გახდა, რომ ევროპული ბანკების უმრავლესობამ ირანიდან გადმორიცხული თანხების მიღებაზე უარი განაცხადა. ამასთან, ირანის ხელისუფლებამ თავისი სავალუტო აქტივების დიდი ნაწილი ევროპული ბანკებიდან გაიტანა, რადგან შიშობს, რომ მათ გაყინვის საფრთხე ემუქრება.

## ჩინელები ამერიკას კინგ-კონგს სთავაზობენ

ჩინური კომპანია Geely ამერიკის შეერთებულ შტატებს 2007 წლისთვის ახალ ავტომობილს შესთავაზებს. ჩინელები ამერიკელებისთვის სპეციალურ მოდელზე მუშაობენ, რომელსაც "კინგ-კონგს" დაარქმევენ. კომპანიის წარმომადგენლების აზრით, გიგანტური მაიმუნის სახელი მყიდველებს დადებით ემოციებს აღუძრავს. ფსიქოლოგიური მომენტი კი ავტომობილების რეალიზაციას შეუწყობს ხელს. Geely-ის ახალი ავტომობილი, მაიმუნისგან განსხვავებით, არცთუ ისე დიდი ზომის იქნება.

კომპანია "კინგ-კონგ" ავტომობილებს ჯერ ჩინეთში გაყიდის. აპრობირებისა და შესაძლო ხარვეზების გამოსწორების შემდეგ "კინგ-კონგი" ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე გადაინაცვლებს. "კინგ-კონგის" სავარაუდოდ 8,750-დან 11,250 დოლარამდე ეღირება.

## Motorola-მ საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის სასამართლოს მიმართა

კომპანია Motorola-მ საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა. სადაო თანხა 18 მილიონ დოლარს შეადგენს. სასარჩელო წინადადებაში, კომპანია Motorola იმ ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს, რომელიც მას კომპანია Rus GPS-მა მიაყენა. "კომპანია Motorola - ინტელექტუალური საკუთრების შექმნისა და შენახვის თვალსაზრისით, მსოფლიოში ლიდერი კომპანიაა. ჩვენს კომპანიას საპატენტო კანონმდებლობის დარღვევაში ადანაშაულებენ, თუმცა უსაფუძვლოდ. რის გამოც, ჩვენ, კომპანიის საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო სასამართლოს მივმართეთ", - აცხადებს კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი და იურიდიული მრჩეველი სკოტ ოფფერი.

Motorola კომპანია Rus GP-ისგან პანოვის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის თვალსაზრისის უარყოფას მოითხოვს, რომელიც გაზეთ "ბიზნესში" გამოქვეყნდა. კომპანიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ გაზეთმა "ბიზნესმა" Motorola-ს საქმიანი იმიჯის შელახვას დიდად შეუწყო ხელი. სკოტ ოფფერი აცხადებს, რომ "კომპანია Motorola-ს კონკრეტულად გაზეთ "ბიზნესთან არანაირი ფინანსური პრეტენზია არ აქვს.

RUS GPS-ი უშუალოდ კომპანია Motorola-ს მოდელ 31 183-შ შეეხო. დამოუკიდებელმა ექსპარტიზის შედეგების თანახმად, Motorola-ს ტელეფონებში RUS GPS 31 183-ის დამცავი პატენტები არ აღმოჩნდა.




# განთქმული ბრენდების შემგროვებელი

პირველი გვერდიდან

როგორც ხედავთ, ერთობ სოლიდური ჩამონათვალია. მაგრამ მთავარია არა ყველასათვის ცნობილი მარკების ეს ვრცელი სია, არამედ მიდგომა, რომელიც არნოს ყველასაგან გამოარჩევს. გასაჭირში ჩავარდნილი განთქმული ფირმების შეძენა და სუპერრენტაბელურად ქცევა მის სპეციალობად შეიძლება ჩაითვალოს.

მუსიე არნოს მართლაც საოცარი ალღო აქვს. მსოფლიოში მრავლადაა სქელჯიბიან მომხმარებელზე ორიენტირებული მომხმარებელი, მაგრამ ფრანგი მაგნატის წარმატება ვერავინ გაიმეორა.



### მამილო ჟანის ფირმიდან ამერიკულ სტრატეგიამდე

ბერნარ არნო დაიბადა საფრანგეთის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ რუბეში 1949 წლის 5 მარტს წარმატებული ბიზნესმენის ოჯახში. მშვენიერი განათლების მიღებისა და პრესტიჟული პოლიტექნიკური სკოლის დამთავრების შემდეგ 21 წლის ბერნარი მამილო ჟანის კვალს დაადგა, ანუ უძრავი ქონებით ვაჭრობა დაიწყო. მალე იგი მამის ნამდვილ კომპანიონად იქცა და 4 წლის შემდეგ ოჯახური ბიზნესის - სამშენებლო ფირმის თავკაცი გახდა.

პატარა ფირმა არნოს შესაძლებლობებს ნამდვილად არ შეეფერებოდა და, ცხადია, ვერც მის ამბიციებს აკმაყოფილებდა. ამიტომაც, 27 წლის ბერნარმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა, მამისაგან მალულად გარიგება გაახერხა და მოხუც ჟანს ყველაფერი მხოლოდ მაშინ აცნობა, როცა ფული ჩაითვალა.

მომდევნო ოთხი წელი არნომ ამერიკაში გაატარა, სადაც სწორედ იმ პერიოდში კომპანიათა შერწყმისა და ურთიერთშთანთქმის ბუმი იდგა. ოკეანის გაღმიდან იგი ტიპური ამერიკული მეთოდებით აღჭურვილი დაბრუნდა და მათი ფრანგულ რეალობაში წარმატებით განხორციელებასა და მამისეული ფირმის გაყიდვიდან მიღებული ფულის სარფიანად დაბანდებაზე ფიქრი დაიწყო.

1984 წელს არნოს ყურადღება გაბანკროტებულმა ტრიკოტაჟულმა კონგლომერატმა Boussac-მა მიიპყრო, რომელსაც ყველაფერ სხვასთან ერთად "კრისტიან დიორის" მოდების სახლი ეკუთვნოდა. იმ დროისათვის კომპანიას საფრანგეთის მთავრობა მართავდა და მისთვის ახალ მეპატრონეს ეძებდა. ეგზომ გემრიელმა ლუკმამ ბევრი ცნობილი კომპანია, მათ შორის Louis Vuitton დააინტერესა, მაგრამ არნომ ყველას დაასწრო. 15 მილიონი დოლარის ოდენობის საკუთარი ფულის მფლობელმა ბერნარმა ძველ მეგობარ ანტუან ბერნჰეიმთან, რომელიც ფრანგული საინვესტიციო ბანკ Lazard Freres & Co-ის პარტნიორი იყო, ერთად 80 მილიონი დოლარი მოაგროვა და მოქმედება დაიწყო.

არნოს პირველი ცოლი კომპანიის ყოფილი მეპატრონეების ნათესავი იყო, რითაც ბერნარმა მშვენივრად ისარგებლა და მათ მფლობელობაში დარჩენილი აქციების შეძენა დაიწყო. შემდეგ კი საფრანგეთის მთავრობა საკონტროლო პაკეტის მიყიდვაში დაარწმუნა და Boussac-ის აღორძინების პირობა დადო.

### იმპერიის აყვავება

თუმცა, ცივსისხლიანმა ბიზნესმენმა პირობა არ შეასრულა. იგი მეთოდურად შეუდგა Boussac-ის აქტივების ფულად ქცევას, კომპანია "კრისტიან დიორი" კი შეინარჩუნა. მალე მას ფუფუნების საგნების მწარმოებელი ფირმის შექმნის იდეა ეწვია და რადგან ამ მიზნის განხორციელება ერთბაშად შეუძლებელი იყო, 1988 წლიდან ახლად დაარსებული კომპანია Moet Hennessy Lous Vuitton (LVMH)-ის აქციების შეძენა დაიწყო. არნო დღემდე ირწმუნება, რომ LVMH-ის უცილობელი გაკოტრებისაგან გადარჩენა სურდა, რისიც ცოტას თუ სჯერა.

ასე იყო თუ ისე, არნო თავისი იმპერიის სხვადასხვა, "ლუქსის" კლასის მარკების კონცენტრირების იდეაზე შენებას შეუდგა. მას კარგად ესმოდა, რომ ეკონომიკის საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში ერთი რომელიმე, თუნდაც საყოველთაოდ განთქმული ბრენდის აღორძინება ურთულესი საქმე იყო და ძალიან ბევრი ფული სჭირდებოდა.

მისმა ტაქტიკამ გაამართლა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არნო მსოფლიოს განთქმულ ფირმებს ფლობს. თანაც, ფრანგი მაგნატის იმპერია გამუდმებით იზრდება - არნო მსოფლიოში კომპანიების ერთ-ერთ აქტიურ შემსყიდველად რჩება.

მთელი თავისი ბრწყინვალე კარიერის განმავლობაში არნომ მარცხი მხოლოდ ერთხელ, 1999 წელს იწვნია, როცა თავისი კოლექციისათვის იტალიური კომპანია Gucci-ს შემატება ისურვა. ბედის ირონია იმაში მდგომარეობდა, რომ 6 წლით ადრე მისი შეძენა ყოველგვარი პრობლემის გარეშე და იაფად შეეძლო: კომპანიის მაშინდელი მფლობელი ბანკი Investcorp 350 მილიონ დოლარს ითხოვდა.

1923 წელს ფლორენციაში დაარსებული Gucci კარგა ხნის განმავლობაში ფუფუნების საგნების მწარმოებელი მსოფლიოს წამყვანი კომპანია იყო, მაგრამ 80-იან წლებში ჩავარდნის ხანა დაუდგა, რისი მთავარი მიზეზიც მესაკუთრეთა შიდაოჯახური კონფლიქტი იყო. სანამ Gucci-ს გაყიდვას გადაწყვეტდა, Investcorp-მა ახალი ხელმძღვანელობა მოიწვია. პრეზიდენტად იტალიური წარმოშობის იტალიელი დომენიკო დე სოლე, მთავარ დიზაინერად კი იანკი ტომ ფორდი დანიშნეს. მაგრამ ფირმის საქმეები იმდენად აწეწილი იყო, რომ არნომ მის შეძენაზე უარი თქვა.

შემდეგ დე სოლემ არნოს Gucci-ის მთლიანად შესყიდვა შესთავაზა, მაგრამ ძალიან დიდი თანხა მოითხოვა. ფრანგმა მაგნატმა ჯერ მასზე ზეწოლის განხორციელება სცადა, მაგრამ, რომ არ გამოუვიდა, თანამდებობის შენარჩუნება და ხელფასის გვარიანად გაზრდა შესთავაზა, რაზეც ამაყი უარი მიიღო.

განაწყენებულმა არნომ დე სოლეს ჰოლანდიის სასამართლოში უჩივლა, რადგან Gucci იურიდიულ პირად ამსტერდამში იყო რეგისტრირებული და ბრალი კომპანიის არაკეთილსინდისიერ მართვაში დასდო. პროცესის მიმდინარეობისას დე სოლემ უოლ სტრიტელი იურისტები და ბანკირები შეკრიბა. მათთან ერთად კაპიტალის გაორების სქემა მოიფიქრა: კომპანიის ყველა თანამშრომლის უზრუნველყოფის ახალი პროგრამის მიხედვით გამოუშვეს 20 მილიონი ახალი აქცია. შედეგად, კომპანიაში დე სოლეს წილი ორჯერ შემცირდა, შემდეგ კი მან აქციების 40 პროცენტი არნოს მუდმივ კონკურენტს, ფრანგ ბიზნესმენ ფრანსუას პინოს მიჰყიდა.

სხვათა შორის, არნოს და პინოს მეტოქეობა დღემდე სხვადასხვა, მათ შორის ინტერნეტის სფეროშიც გრძელდება. ამ უკანასკნელით მუსიე ბერნარს ჯერჯერობით დიდი მოგება არ უნახავს, მაგრამ არც მასზე უარის თქმას ჩქარობს. "დარწმუნებული ვარ, რომ "დომ პერიონის" შამპანურს ადამიანები ასი წლის შემდეგ კვლავ დალევენ, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, რომელი ინტერნეტით ისარგებლებენ", - ამბობს იგი.

### გაუცინარი მაგნატი

როგორც ანროსთან დაახლოებული პირები ირწმუნებიან, ფრანგ მაგნატს არ ახასიათებს ტედ თერნერისებური მომხიბვლელობა, ბილ გეითსისებური სიმკაცრე და არც კამპარდის მსგავსი ანეკდოტური სიძუნწით გამოირჩევა. არნოს ოფისი პარიზის რესპექტაბელურ უბანში მდებარეობს, დაჯავშნული მინებით, მრავალრიცხოვანი კამერებით და კუნთმაგარი ვაჟკაცებით დაცულ რვა სართულზეა განლაგებული და მშვენიერი, ძვირფასი ავეჯითაა მორთული.

წარმატებული ბიზნესსაქმიანობის გარდა, არნო ქველმოქმედებითაც გახლავთ განთქმული. იგი აფინანსებს საგამოფენო გალერეებს, ეხმარება ხელოვნების აკადემიებში მოსწავლე ინვალიდებს, დიდძალ ფულს ხარჯავს ბიზნესისა და ხელოვნების სფეროებში ტალანტების აღმოჩენის საქმეში. თუმცა, როგორც ფრანგი ჟურნალისტები აღნიშნავენ, ყველაფერ ამას არნო დიდი ხმაურით, თვითრეკლამისათვის აკეთებს და, როგორც არ უნდა მოინდომოს, მეორე სოლომონ ჰუგენჰემი, ხელოვნების მფარველი ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენი, რომლის სახელი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მუზეუმს ჰქვია, ვერ გახდება.

შესაძლოა, ისინი მართლებიც არიან, არნო ხომ, უპირველეს ყოვლისა, ცივსისხლიანი ბიზნესმენია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მას ხელოვნება მართლაც უყვარს, რაც მამამისისაგან, რომელიც მთელი ცხოვრება ნახატებს აგროვებდა, მემკვიდრეობით დაჰყვა. ამასთან, ძალიან უყვარს კლასიკური მუსიკა და თავადაც მშვენივრად უკრავს. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს მისი მეორე ცოლი, ცნობილი კანადელი პიანისტი ელენ მერსიე-არნო. მას კი ნამდვილად დაეჯერება.

არნომ იგი 1990 წელს, პირველ ცოლთან განშორებიდან რამდენიმე თვეში გაიცნო და ახლა ორი ვაჟი ჰყავს, რომლებსაც დარჩებათ კიდეც მომავალში უმდიდრესი ფრანგის ბიზნესი. საერთოდ, მუსიე ბერნარისათვის ბიზნესში ოჯახის წევრების ჩართვა ჩვეული რამ არის: ცოლს სარეკლამო საქმის გაძღოლა ჩააბარა, დას კი საიუველირო ფირმა "ფრედის".

არნო თავის ჯანმრთელობაზე გულმოდგინედ ზრუნავს, გამაახალგაზრდავებელ მასაჟებს იკეთებს, გამუდმებით გამოკვლევებს იტარებს და ცივ ნიავს არ იკარებს. მისი პრესსამსახური გაფრთხილებულია, გაზეთებში გამოქვეყნებული უსიამოვნო ინფორმაცია ნელა შეაპაროს, ან სულაც დაუმალოს. ასე რომ, არნო ალბათ დიდ ხანს იცოცხლებს და თავის უზარმაზარ ქონებას კიდევ უფრო გაზრდის. მხოლოდ, ეგ არის, საოცრად მკაცრი, მუდამ პირქუში ბიზნესმენი იშვიათად, მხოლოდ მაშინ ილიმება, როცა კუნკურენტებზე უწმაწურ ანეკდოტს უყვებიან, სიცილი კი, მოგეხსენებათ, სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

# "ლუკოილი" ნიუ-იორკს უმიზნებს

ორი წლის შემდეგ ლუკოილი ფასიან ქარალდებს ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე განათავსებს. მისი აქციები უკვე იყიდება ლონდონის ბირჟაზე. კომპანია, ამ ეტაპზე, თავისი პროგრამების ამერიკის ბაზარზე რეალიზაციის საკითხებს განიხილავს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ლუკოილი ფასიან ქაღალდებზე დამატებით მოთხოვნილებებს ქმნის, რაც კომპანიას ახალი ინვესტორების მოზიდვაში დაეხმარება.

კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის ლეონიდ ფედუნას თქმით, ლუკოილში ახალი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც ამერიკული კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენაზე მუშაობს. ახალ საბაზრო სივრცეში კომპანია ლუკოილი უახლოესი ორი წლის შემდეგ გამოჩნდება. ვიცე-პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ




ლუკოილი აგრძელებს მუშაობას ბირჟის მოთხოვნების შესაბამისად ნახშირწყალბადის ნედლეულის მოპოვებაზე ლიცენზიის მისაღებად. ლიცენზიის მოქმედების ვადა 20 წლამდე უნდა გაიზარდოს. 2005 წელს ADR Lukoil-ის საშუალო თვიური მოგება ლონდონის საფონდო ბირჟაზე, 2004 წელთან შედარებით 1,5-ჯერ მოიმატა და ამ ეტაპზე კომპანიის მოგება 2,7 მილიარდ დოლარს შეადგენს. ანალიტიკოსები კომპანია ლუკოილის ინიციატივას ლოგიკურად მიიჩნევენ. "ლუკოილი NYSE-ზე გასვლით ძალიან მსხვილ ინვესტორებს მოიზიდავს. ნიუ-იორკში აქციებით ბევრი რუსული კომპანია ვაჭრობს. ასე, რომ ამ ერთ-ერთი უმსხვილესი რუსული კომპანიის გამოჩენა მათთვის მოულოდნელი არ იქნება."-აცხადებენ ანალიტიკოსები.

## აშშ-ს ბირჟაზე კლება გაგრძელდა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ნავთობის გაძვირების გარდა, ინვესტორთა განწყობაზე გავლენა მოახდინა გავრცელებულმა ინფორმაციამ აშშ-ში ფასების 3,4 პროცენტით ზრდის შესახებ, რაც განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ექსპერტები შიშობენ, რომ მასთან საბრძოლველად ფედერალური სარეზერვო ფონდი ძირითად

საპროცენტო განაკვეთს კვლავ გაზრდის, რაც, კარგა ხანია, ინვესტორთა კოშმარად იქცა.

საბოლოოდ, Dow Jones Index -ი 0,03 პროცენტით, 11.045,84 პუნქტამდე შემცირდა. 0,17 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.166,04 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,02 პროცენტით, 1.265,19 პუნქტამდე მოიკლო.

## ოპეკის კალათის" ფასმა სამკვირიან მაქსიმუმს მიაღწია

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასები, გუშინწინდელი მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგ, ოდნავ შემცირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 71,25 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 72,5 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

"ოპეკის ნავთობის კალათის" ფასმა 66,48 დოლარი/ბარელს მიაღწია, რაც უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ კალათის ფასმა პირველად 12 მაისის შემდეგ გადააჭარბა 66 დოლარი/ბარელის მაჩვენებელს.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend-ი, ინდონეზიური Minas-ი, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export-ი, ლიბიური Es Sider-ი, ნიგერიული Bonny Light-ი, ყატარული Qatar Marine, Arab Light-ი (საუდის არაბეთი), Murban-ი (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

"ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი - 68 დოლარი/ბარელი 2006 წლის 2 მაისს დაფიქსირდა.

## მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისაკენ გზაზე რუსეთს მხოლოდ აშშ ეღობება

აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომელთანაც რუსეთმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ვერ დაასრულა. გუშინ რუსეთმა ბოლოსწინა ბარიერი გადალახა და ავსტრალიასთან შეთანხმებას მიაღწია. რუსეთს იმედი აქვს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი მიმდინარე წლის ბოლომდე გახდება, მაგრამ მას ამერიკასთან კვლავ არსებითი უთანხმოება აქვს ინტელექტუალური საკუთრების საკითხებთან და რუსეთის ფინანსური ბაზრების თავისუფლებასთან დაკავშირებით. ვაშინგტონი მოსკოვისაგან რუსულ ბაზარზე პროგრამული უზრუნველყოფის, ვიდეო და მუსიკალური პირატული პროდუქციის დომინირების წინააღმდეგ მკაცრ ბრძოლას ითხოვს. გარდა ამისა, აშშ-ს სურს, რუს კლიენტებთან უცხოური ბანკების მუშაობის შეზღუდვის გაუქმებას მიაღწიოს. ამჟამად რუსეთში ფართოდაა წარმოდგენილი ისეთი მსხვილი საერთაშორისო ბანკების, როგორებიცაა Citibank-ი და Societe Generale, შვილობილი სტრუქტურები, მაგრამ ისინი დარეგისტრირებულია, როგორც რუსული ბანკები. ადრე პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ამ ბაზარზე უცხოელების პირდაპირ დაშვებას არ აპირებს. მართალია, ამასწინათ რუსული და ამერიკული მხარეების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შეთანხმებას შეიძლება დიდი რვიანის ივლისის სამიტამდე მიაღწიონ, მაგრამ როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ, ვაშინგტონს პუტინის პოლიტიკური კურსი არ მოსწონს.

## ბრიტანული აეროპორტებისათვის ესპანელები და ამერიკელები იბრძვიან

ბრიტანული აეროპორტების ოპერატორი კომპანია BAA (British Airports Authority) შთანთქმასთან დაკავშირებით არსებული წინადადებისაგან უკეთესს ირჩევს. მისი ხელში ჩაგდებისათვის ესპანური კონცერნი Ferrovial-ი და ამერიკული საინვესტიციო ბანკი Goldman Sachs-ი იბრძვიან.

გუშინწინ ესპანურმა კონცერნმა ბრიტანელებს ერთ აქციაში 950 პენსი შესთავაზა, რითაც BAA მთლიანობაში 10 მილიარდ ფუნტად (18,85 მილიარდი დოლარი) შეაფასა. ოპერატორის ხელმძღვანელობა მაშინ მზად იყო, ეს წინადადება მიეღო, რადგან ამერიკელთა შეთავაზება აქციაზე 940 პენსს არ აღემატებოდა. მაგრამ გუშინ Goldman Sachs-მა BAA-ს ახალი წინადადებით მიმართა და 1 აქციაში 955,25 პენსი შესთავაზა.

როგორც ჩანს, BAA-სთვის Ferrovial-ის და Goldman Sachs-ის რამდენიმე კვირის წინ დაწყებული ბრძოლა კიდევ გაგრძელდება და ბრიტანული მხარე მეტად იხეირებს.

BAA მსოფლიოში უმსხვილესი აეროპორტების ოპერატორია. კომპანია ბრიტანეთის უმთავრეს აეროპორტებს, მათ შორის - "ჰითროუს", რომელიც ყოველწლიურად დაახლოებით 67,7 მილიონ მგზავრს ემსახურება, მართავს. გარდა ამისა, კომპანიას წილები აქვს ავსტრალიის, იტალიის და უნგრეთის რამდენიმე აეროპორტში.

## რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ელექტრო მომარაგების უსაფრთხოებისათვის 265536 ლარს ხარჯავს

"რუსთავის მეტალურგიული ქარხანა" მუდმივად დიდ ყურადღებას აქცევს როგორც საწარმოს, ასევე ქალაქ რუსთავის ელექტრო ენერგიით მომარაგებას. ქარხნის ამუშავების დღიდან რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალი თავის საკუთრებაში მყოფი გადამცემი ქსელების საშუალებით ამარაგებდა რუსთავის მტკვრის მარცხენა სანაპიროს და ყველა სასიცოცხლო ობიექტს (სავადმყოფოები, წყალსადენი, პურის ქარხანა და სხვა). თბოელექტროცენტრალის გაჩერების შემდეგ მეტალურგიული ქარხანა შპს "საქართველოს ელექტრო სისტემიდან" მოწოდებულ ელექტრო ენერგიას მაღალი ძაბვის (110კვ) გადამცემი ხაზებით მეტალურგია 1-ის, მეტალურგია 2-ის და ქარხნის გამანაწილებელი ქსელის გავლით აწვდის ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ობიექტს.

მაღალი ძაბვის გადამცემი 8,2 კმ სიგრძის ხაზები მეტალურგია-1 და მეტალურგია-2, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საკუთრებაშია (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 16.01.2006 წელს გაცემული ქონების ჩამონათვალი). რომელიც **"ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა"** ს.ს. "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" გაკოტრების მმართველის მიერ 2005 წლის 12 ოქტომბერს ჩატარებულ აუქციონზე სხვა ქონებასთან ერთად შეიძინა და უზუფრუქტის წესით 2006 წლის 6 იანვარს გადასცა თავისივე დაფუძნებულ **"რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას".**

ელექტრო ენერგიის საიმედო მომარაგების და უსაფრთხოების მიზნით, ქარხნის ახალი ინვესტორების მიერ დახარჯული იქნა 265 536 ლარი. გარემონტდა ტრანსფორმატორები და სხვადასხვა ელექტრო დანადგარები, გადაიხურა ყველა ქვესადგური რომელიც მეტალურგიული ქარხნის საკუთრებაშია, შეძენილი იქნა უსაფრთხოების აღჭურვილობა და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები. ახლო მომავალში დაგეგმილია თბოელექტროცენტრალის ამუშავება.

## "თბილსრესზე" მომხდარი ავარიის გამო აღმოსავლეთ საქართველოში ენერგოდეფიციტია

"თბილსრესზე" სამშაბათს 10:30 საათისათვის მომხდარმა ავარიამ აღმოსავლეთ საქართველოში ენერგოდეფიციტი გამოიწვია. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემიდან" აცნობეს, "თბილსრესზე" მომხდარმა ავარიამ "ჟინვალჰესის" და "ხრამჰესის" გამორთვა გამოიწვია, რის გამოც აღმოსავლეთ საქართველოში და, მათ შორის, თბილისში ელექტროენერგიის მიწოდება შეიზღუდა. ელექტროსისტემის ინფორმაციით, ავარიის მომენტამდე "თბილსრესში" მე-4 ენერგობლოკი და გაზოტურბინა მუშაობდა, რომელთა საერთო გამომუშავება 130 მეგავატი იყო. როგორც ელექტროსისტემაში აცხადებენ, ამჟამად მიმდინარეობს ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოები, რაც ეტაპობრივად ენერგომომარაგების ჩვეულ რეჟიმში აღდგენას გამოიწვევს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**




### ამინდი

| | 7/06 | 8/06 | 9/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 23 | 21 | 21 |
| რიგა | 16 | 20 | 18 |
| ვილნიუსი | 15 | 18 | 17 |
| მოსკოვი | 17 | 20 | 20 |
| მინსკი | 20 | 20 | 21 |
| პარიზი | 22 | 23 | 23 |
| რომი | 23 | 24 | 25 |
| ლონდონი | 22 | 25 | 23 |
| მადრიდი | 32 | 33 | 32 |
| ბონი | 22 | 23 | 25 |
| ვარშავა | 15 | 20 | 22 |
| ათენა | 27 | 26 | 25 |
| ბერნი | 21 | 22 | 26 |
| ამსტერდამი | 18 | 21 | 20 |
| ოსლო | 21 | 21 | 20 |
| ანკარა | 28 | 28 | 23 |
| ვარნა | 24 | 22 | 26 |
| დელი | 46 | 48 | 47 |
| ტოკიო | 24 | 23 | 18 |
| კოპენჰაგენი | 16 | 18 | 18 |
| ბაქო | 32 | 31 | 32 |
| ერევანი | 36 | 37 | 36 |
| ასტანა | 25 | 26 | 27 |
| ჰელსინკი | 12 | 15 | 15 |
| დუბლინი | 21 | 22 | 20 |
| ლისაბონი | 31 | 31 | 29 |
| პრაღა | 13 | 18 | 23 |
| სოფია | 22 | 16 | 22 |
| ბუდაპეშტი | 15 | 18 | 17 |
| ბუხარესტი | 24 | 23 | 23 |

# ლარის კურსის სტაბილურობას ქართველი ემიგრანტებიც განაპირობებენ

## ფულადი გზავნილების მოცულობა სწრაფად იზრდება

მარიამ ჯაჭვაძე

*ქართული ლარი რომ სტაბილურია, გარკვეულწილად, ეს თურმე საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების დამსახურებაც ყოფილა. ფულადი გზავნილების სახით ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტის მოცულობა უკანასკნელი წლების განმავლობაში საშუალოდ 80-100 პროცენტით იზრდება.*

სხვადასხვა არაოფიციალური მონაცემებით, დღეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქართველოს დაახლოებით მილიონი მოქალაქეა გასული. მათი უმრავლესობა ეკონომიკური მიგრანტია, რომლებიც სხვადასხვა სფეროში არიან დასაქმებულნი.

არასამთავრობო ორგანიზაციების და 2002 წელს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ საზღვარგარეთ მყოფთა დაახლოებით 80 პროცენტი 20-დან 50 წლამდე ასაკის ადამიანები არიან. საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელის დევიდ ტერცის თქმით, ისინი საუკეთესო ასაკის მოქალაქეებს (შრომისუნარიანობის მიხედვით) წარმოადგენენ.

უმრავლესობა რუსეთშია გახიზნული. საქართველოს მოქალაქეების ასეთი არჩევანი, ექსპერტების შეფასებით, ორი მიზეზით არის განპირობებული: ერთი - მეზობელი ქვეყნის ფაქტორი, და მეორე - შრომის ანაზღაურება, რომელიც დღეს რუსეთის ფედერაციაში დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც დასავლეთ ევროპაში, ან თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებში. ემიგრანტები რუსეთის შემდეგ უპირატესობას აშშ-ს და საბერძნეთს ანიჭებენ.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მიღებული შეფასებით, საზღვარგარეთ მყოფთა 70 პროცენტი - სამუშაოდ, 20 პროცენტი კი საცხოვრებლად ან ახლობლებთან ვიზიტით არის წასული.

საზღვარგარეთ წასულთაგან დაახლოებით 16 პროცენტი კვალიფიციური სამუშაოთია დაკავებული, 24 პროცენტი კი არაკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებს. ეს ადამიანები საკუთარ ახლობლებს ყოველწლიურად რამდენიმე ათას ამერიკულ დოლარს უგზავნიან. ასეთი ტრანსფერების საერთო ოდენობა კი, სხვადასხვა ექსპერტული კვლევებითა და შეფასებებით, წელიწადში 1 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება. თუმცა ოფიციალური სტატისტიკა რადიკალურად განსხვავებულ ციფრებს აფიქსირებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, რომელიც, თავის მხრივ, ქვეყანაში მოქმედი 19 კომერციული ბანკის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა, წელს 1 მაისის მდგომარეობით, საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობამ 138 მილიონ 200 ათას აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს დაახლოებით 35 მილიონ 800 ათასი აშშ დოლარით აღემატება.

შარშან მთელი წლის განმავლობაში საქართველოში ფულადი გზავნილების სახით 400 მილიონ აშშ დოლარამდე ვალუტა შემოვიდა, 2004 წელს - 200 მილიონამდე, ხოლო 2003 წელს - მხოლოდ 55 მილიონი.

ოფიციალურ სტატისტიკასა და რეალურ სურათს შორის ასეთ მკვეთრ სხვაობას ექსპერტები შემდეგნაირად ხსნიან: "უცხოეთიდან ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი ქვეყანაში არაოფიციალური არხებით, საბანკო სისტემების გვერდის ავლით შემოდის. ეროვნული ბანკი მხოლოდ იმ თანხის მოცულობას აფიქსირებს, რაც ქვეყანაში საბანკო გზებით შემოდის," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს მიგრაციის საკითხების ექსპერტმა გია წულაძემ.

ექსპერტს საქართველოს ეროვნული ბანკიც ეთანხმება და ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში უცხოური ვალუტა გზავნილების სახით ბევრად მეტი შემოდის, ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკა აჩვენებს.

იმ ფაქტს, რომ წლიდან წლამდე ასე სწრაფად იზრდება ფულადი გზავნილების მოცულობა, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი დავით ამაღლობელი შემდეგნაირად ხსნის: "უკანასკნელ პერიოდში უცხოეთში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების ნდობის ხარისხი საბანკო სისტემის მიმართ კიდევ უფრო ამაღლდა, რაც, პირველ რიგში, ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემების საშუალებით გადმორიცხული ფულადი სახსრების მოცულობის ზრდაზე აისახა," - უთხრა "24 საათს" დავით ამაღლობელმა.

რაც შეეხება ფულადი გზავნილების სტრუქტურას ქვეყნების მიხედვით; მიმდინარე წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში საქართველოში უცხოური არხებით შემოსული თანხებიდან ყველაზე მეტი - დაახლოებით 89 მილიონ 200 ათასი აშშ დოლარი, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის ფედერაციიდანაა შემოსული. 15 მილიონ 900 ათასი - ამერიკის შეერთებული შტატებიდან, და დაახლოებით 5 მილიონ 100 ათასი საბერძნეთიდან გადმოირიცხა.

გარდა იმისა, რომ ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტის მოცულობა გაიზარდა, ასევე იმატა საქართველოდან განხორციელებული სწრაფი ფულადი გზავნილების მოცულობამაც. 2006 წლის იანვარ-აპრილში ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემების მეშვეობით ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთში გადარიცხულია 38 მილიონ 600 ათასი აშშ დოლარი, რაც 18 მილიონ 600 ათასით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს. საქართველოს მოქალაქეების მიერ გადარიცხული თანხებიდან, ტრადიციისამებრ, ყველაზე მეტი - 26 მილიონ 200 ათასი აშშ დოლარი რუსეთზე მოდის, რასაც უკრაინა მოსდევს - 3 მილიონ 100 ათასი აშშ დოლარი, და გერმანია - 1 მილიონზე ოდნავ მეტი.

საინტერესოა, რაში იხარჯება ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილები? დავით ამაღლობელის ინფორმაციით, "ამ თანხების დიდი ნაწილის დაბანდება სხვადასხვა აქტივებში, მათ შორის, უძრავ ქონებასა და საწარმოთა აქციებში ხორციელდება, ნაწილი სამომხმარებლო ხარჯების დასაფინანსებლად მიემართება."

უცხოური ვალუტის ამ რაოდენობით ქვეყანაში შემოსვლა, ეკონომიკური ექსპერტების შეფასებით, საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, მაშინ, როცა იმპორტის მოცულობა სამჯერ აღემატება ექსპორტის მაჩვენებელს, ექსპერტების შეფასებით, ფულად გზავნილებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ფულადი გზავნილები ეროვნული ვალუტის სტაბილურობის ერთ-ერთ მთავარ გარანტს წარმოადგენენ.

გარდა ამისა, როგორც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ამბობს, კაპიტალდაბანდებების სახით უცხოური ვალუტის შემოდინება სავალუტო ბაზარზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს. კერძოდ, შემოსული თანხების ძირითადი მასა ლარებში კონვერტირდება და ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის მატებას განაპირობებს. "შესაბამისად, ბაზარზე უცხოური ვალუტის მოცულობის მიწოდებაც ზრდის ტენდენციით ხასიათდება."

გარდა ამისა, სავალუტო ბაზარზე დიდ ზეგავლენას ახდენს კაპიტალდაბანდებების სახით უცხოური ვალუტის შემოდინება. შემოსული თანხების ძირითადი მასა ლარებში კონვერტირდება, რაც თავის მხრივ ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის მატებას განაპირობებს. შესაბამისად, ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბაზარზე უცხოური ვალუტის მიწოდებაც.

ცნობისათვის: საქართველოს კომერციულ ბანკებში ელექტრონული ანგარიშსწორება, ძირითადად, "ვესტერნ იუნიონით", "მანიგრამით", "ანელიკითა" და "კავკასუს ექსპრესი" სისტემების საშუალებით ხორციელდება.

ფულადი გადარიცხვები, უმეტესწილად, "ვესტერნ იუნიონის" სისტემით ხდება, რომელსაც საქართველოში ყველაზე ფართო ქსელი გააჩნია. ამერიკული სისტემა "ვესტერნ იუნიონი" 1871 წლიდან ფულად გადარიცხვებს კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე საშუალებების გამოყენებით ახორციელებს, მსოფლიოს 180-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს და კლიენტთა მომსახურების 100000-ზე მეტი პუნქტი გააჩნია, მათ შორის, დაახლოებით 4500 - დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

# გერმანია აქცენტს ქარის ენერგიაზე აკეთებს

მერაბ ლორთქიფანიძე



გერმანია მსოფლიოში ქარის ენერგიის უდიდესი მომხმარებელია, მაგრამ ამით დაკმაყოფილებას არ აპირებს და თავისი ქარის ელექტროსადგურების ქსელის კიდევ უფრო გაფართოებას გეგმავს.

უფრო მეტიც, ბევრი ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, გერმანელი ენერგეტიკოსები თვლიან, რომ ბირთვულ ენერგეტიკაზე აქცენტის გაკეთება არ იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი. ამას რამდენიმე მიზეზი (უსაფრთხოება, რადიოაქტიური ნარჩენების უტილიზების სირთულე და სიძვირე და ა.შ.) აქვს, რომელთა გამოც მალე ქვეყანაში არსებული ყველა ბირთვული ელექტროსადგური დაიხურება.

გერმანიის ენერგეტიკოსების მზერა "მწვანე" ენერგიაზე, კერძოდ კი ქარის ელექტროსადგურებისკენაა მიპყრობილი. სწორედ ამის გამოა, რომ ქვეყანა აფართოებს ქარის ელექტროსადგურების ქსელს როგორც ხმელეთზე, ასევე სანაპირო ზოლშიც. თუმცა, არიან სკეპტიკოსებიც, რომლებიც ეჭვით უყურებენ გერმანელი კოლეგების მონდომებას და თვლიან, რომ ქარის ენერგიის ათვისებაში უზარმაზარი თანხის დაბანდებას ნაკლებად ექნება ეკონომიკური ეფექტი.

სკეპტიკოსებს საკმაოდ გააჩნიათ ქარის ელექტროსადგურების საწინააღმდეგო არგუმენტები, მაგრამ ფაქტია, რომ გერმანიაში სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე, რასაც პასუხად ენერგიის გამომუშავების გაზრდა უნდა მოჰყვეს.

გერმანელ ენერგეტიკოსთა უახლესი პროექტი ითვალისწინებს აღმოსავლეთ გერმანიაში მდებარე პატარა ქალაქ ალშლებენის სიახლოვეს არსებულ გორაკებზე ქარის ელექტროსადგურების კომპლექსის აგებას. ამ კომპლექსში პირველ ეტაპზე უკვე დაიდგა 37 ცალი გიგანტური ქარის "წისქვილი", რისი წყალობითაც, ალშლებენი გახდა ადგილი, სადაც ქვეყანაში ქარის ელექტროსადგურების უდიდესი კომპლექსი მდებარეობს.

ალშლებენში გიგანტური ზომის ქარის ელექტროსადგურები დამონტაჟდა. თავად განსაკუთრებით, ყოველი მათგანის თითო ფრთა (ლაპოტი) უფრო გრძელია, ვიდრე სუპერლაინერ "ბოინგ 747-ის" ფრთა! რაც მთავარია, მათ აქვთ მეტად დახვეწილი აეროდინამიკური ფორმა, რისი წყალობითაც, მაქსიმალურად ითვისებენ ქარის ენერგიას. გიგანტური ზომების მიუხედავად, ასეთ ლაპოტებს თავისუფლად შეუძლიათ უმძლავრესი ქარიშხლის გაძლება - ალშლებენის ქარის ელექტროსადგურები მაშინაც კი იმუშავებს, თუ გარემოს 270 კმ/სთ სიჩქარის მქონე გრიგალი დაატყდება თავს!

სხვათა შორის, ადგილი, სადაც ქარის კოშკები დამონტაჟდა, ამერიკულ კორპორაცია "ჯენერალ ელექტრიკს" ეკუთვნის. მისივე წარმოებისაა კოშკებიც, მისი ფრთებიც და გენერატორებიც. ამერიკელი სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ალშლებენში დამონტაჟებული ქარის კოშკების კომპლექსი კონკურენტული ფასის მქონე ენერგიას გამოიმუშავებს. ამასთან, "ჯენერალ ელექტრიკის" მარკეტოლოგები დარწმუნებულები არიან იმაშიც, რომ გერმანელთა გამოცდილების გაზიარებას მალე სხვა ევროპული ქვეყნებიც მოისურვებენ.

სხვათა შორის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მსგავსად, გერმანიას ქარის ელექტროსადგურების ქსელის გაფართოებისკენ კიოტოს პროტოკოლიც უბიძგებს, რომლის მიხედვითაც, მსოფლიოს ყველაზე განვითარებულმა ქვეყნებმა მკვეთრად უნდა შეამცირონ ჰაერის ნახშირორჟანგით დაბინძურების დონე.

გერმანელი ენერგეტიკოსების პროგნოზებით, 2020 წელს ქვეყანაში გამომუშავებული ელექტროენერგიის დაახლოებით 20 პროცენტი ქარის ენერგიაზე მოვა. აქედან, დაახლოებით 28 000 მეგავატ ენერგიას ხმელეთზე განლაგებული ქარის ტურბინები გამოიმუშავებს, 20 000 მეგავატს კი - ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვებში დადგმული ტურბინები.

მაგრამ, სკეპტიკოსები აცხადებენ, რომ პრობლემას შექმნის ქარის ენერგიის სიძვირე. კერძოდ, გერმანიის ენერგიის სააგენტოს გათვლებით, დასახული გეგმის შესასრულებლად საჭირო იქნება 1.1 მილიარდი ევროს ინვესტირება, რის გამოც, საშუალო გერმანულ ოჯახს ელექტროენერგიაში წლიურად 17 ევროთი მეტის გადახდა მოუწევს.

ერთი შეხედვით, ეს არც ისე ბევრია, მაგრამ ენერგეტიკის სფეროში ერთ-ერთი წამყვანი გერმანელი სპეციალისტი, ბრემენის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი ვოლფგანგ პფაფენბერგერი აცხადებს, რომ ენერგიის გაძვირება ცუდ გავლენას იქონიებს გერმანიის მრეწველობაზე.

"გერმანიის ენერგეტიკაში ქარის ენერგიის წილის გაზრდის და აქედან გამომდინარე, ენერგიის მცირედით გაძვირების შემთხვევაში, დარტყმის ქვეშ აღმოჩნდებიან ქვეყნის მრეწველები. ეს მაშინ, როცა მათი კონკურენტებისთვის გაცილებით იაფი ელექტროენერგია (თბო და ატომური ელექტროსადგურებიდან) იქნება ხელმისაწვდომი. მოკლედ, ჩვენი მრეწველობა ნაკლებად კონკურენტუნარიანი გახდება, რაც მოახდენს წარმოების საზღვრებს გარეთ გატანის სტიმულირებას", - ამბობს პფაფენბერგერი.

ალშლებენში დადგმული 37 ცალი გიგანტური ქარის კოშკით შესაძლებელია ელექტროენერგიით დაახლოებით 30 000 ბინის მომარაგება. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ქარი ჩადგება, ეს კოშკები ელექტროენერგიის გამომუშავებას შეწყვეტს.

ეს არის სკეპტიკოსთა მთავარი არგუმენტი, როცა ისინი ამბობენ, რომ შეუძლებელია, ქვეყანა დამოკიდებული იყოს ქარის ენერგიაზე. ელექტროენერგიის სტაბილურად გამომუშავებისთვის აუცილებელია, რომ ქვეყანაში გამომუშავებული ენერგიის უმეტეს წილს მუდმივი ციკლით მომუშავე ელექტროსადგურები გამოიმუშავებდეს.

ყოველივეს მიუხედავად, ამ ეტაპზე გერმანიაში უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ჰაერში ნახშირორჟანგის და ნახშირჟანგის შემცირებას და ამისათვის მზად არიან, ბევრი მსხვერპლი გაიღონ. სწორედ "მწვანე ენერგიის" თემაა თანამედროვე გერმანელ პოლიტიკოსთა სჯა-ბაასის მთავარი საგანი.

ერთი კითხვა კი, რომელზეც ჯერ პასუხი არ არსებობს, ასე ჟღერს - რამდენი ქარის ტურბინა უნდა ამოქმედდეს იმისათვის, რომ ამან ეკონომიკური ეფექტი იქონიოს? ამ ეტაპზე გერმანელი ენერგეტიკოსები ჯიუტად აგრძელებენ ქარის კოშკების დადგმას. აქტუალურ კითხვაზე პასუხს კი დრო გასცემს...

## ამ დღეებში ენერგოსისტემაში უკვე მესამე ავარია მოხდა

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ენერგოსისტემაში უკვე მესამე ავარია მოხდა. დღეს, ავარიულად გამოირთო "თბილსრესის" საგენერატორო ამომრთველი, რამაც მე-4 ენერგობლოკი და გაზოტურბინა გამორთო. ამან იმოქმედა ჰიდროელექტროსადგურების მუშაობაზე და გამოირთო ხრამის ჰესები და ჟინვალჰესი. როგორც "ინტერპრესნიუსს" სახელმწიფო ენერგოსისტემაში განუცხადეს, ამ დროისათვის ჰესების მუშაობა განახლებულია. ელექტროენერგია, ჯერჯერობით, აღმოსავლეთ საქართველოში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებს მიეწოდება, თუმცა ცოტა ხანში დაიწყება მომხმარებლების დატვირთვა. მომხდარი ავარიის გამო იქნება თუ არა ენერგოსისტემაში შეზღუდვები, სახელმწიფო ელექტროსისტემაში ვერ აკონკრეტებენ, თუმცა შესაძლოა მე-4 ბლოკს კავკასიონის მეშვეობით რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი ჩაენაცვლოს.

შეუფერხებლად ხორციელდება დასავლეთ საქართველოს ენერგომომარაგება, რადგან დასავლეთ საქართველოში არსებული სიმძლავრეები ამისათვის საკმარისია. აღმოსავლეთ საქართველოს ენერგოსისტემაში წარმოქმნილი პრობლემები კი ენერგობლოკების გამორთვამ გამოიწვია. **ინტერპრესნიუსი**

## თელასსა და საქართველოს ენერგოსისტემას ტექნიკური პრობლემები აქვს

საქართველოს ენერგოსისტემაში მორიგი ავარიაა. როგორც საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ს განუცხადეს, ავარიულად გამოირთო "თბილსრესის" მე-4 ბლოკი და გაზოტურბინა, რამაც სისტემური ავარია გამოიწვია. შედეგად, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა აღმოსავლეთ საქართველოს.

როგორც კომპანია "თბილსრესის" ტექნიკურმა დირექტორმა ვანო სიხარულიძემ განაცხადა, მე-4 ბლოკის გამორთვა საჰაერო ამომრთველის შლეიფზე მომხდარმა დაზიანებამ გამოიწვია. მე-4 ბლოკი 130 მეგავატ ენერგიას გამოიმუშავებდა. "გამორთული ბლოკის ნაცვლად დღეს ან ხვალ მე-3 ენერგობლოკს ჩავრთავთ, რომელიც 130 მეგავატი სიმძლავრით იმუშავებს. რაც შეეხება მე-4 ენერგობლოკს, ის რეაბილიტაციის მიზნით 10 ივნისს მაინც უნდა გაგვეჩერებინა", - განაცხადა სიხარულიძემ. როგორც კომპანია "თელასში" განაცხადეს, სისტემური ავარიის შედეგად ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა დედაქალაქის მოსახლეობის 90 %-ს, მათ შორის მეტროს და სასიცოცხლო ობიექტებსაც. "ელექტროენერგიის მიწოდება სრულად აღდგება, როდესაც სისტემური ავარია აღმოიფხვრება. ამჟამად არის დაბალი სიხშირე და მაღალი ძაბვა. როგორც კი ეს მოწესრიგდება, თბილისის უბნებს ელექტრომომარაგება ეტაპობრივად აღუდგება," - განაცხადეს "თელასში". **ჯი-ეიჩ-ენი**

## ენერგოომბუდსმენი და სემეკის წარმომადგენლები დასავლეთ საქართველოში გამრიცხველიანების პროცესს დააკვირდებიან

ენერგოომბუდსმენი დავით მიქაუტაძე სემეკის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მომხმარებელთან ურთიერთობას დააკვირდება. გუშინ დავით მიქაუტაძე და სემეკის სამი წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოში გაემგზავრნენ, სადაც სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ კომუნალური გამრიცხველიანების მართებულობას შეამოწმებენ. როგორც "ინტერპრესნიუსს" მიქაუტაძემ განუცხადა, ყველაზე მეტი საჩივრები არასწორი გამრიცხველიანების თაობაზე ენერგოომბუდსმენის აპარატში დასავლეთ საქართველოდან შედის. ამიტომ გადაწყდა, ადგილზე შემოწმდეს ენერგოკომპანიის მომხმარებელთან ურთიერთობის საკითხი. "ოთხი დღის განმავლობაში დავაკვირდებით ქუთაისში, წალენჯიხასა და დაბა ჯვარში კომუნალური გამრიცხველიანების მდგომარეობას, რის შემდეგაც შესაბამის დასკვნას დავდებთ," - განაცხადა მიქაუტაძემ. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

## მარჩელო ლიპი: "ჩვენი საქმე ფეხბურთის თამაშია და არა სკანდალის გამოძიება"



C2

## ინგლისის ნაკრების უილბლო კაპიტანი



C3

## ნადალმა ჰიუიტიც ჩამოიცილა



C4



### სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:** 21 33 67

**სარეკლამო სამსახური:** 21 33 54, 33 23 11

**სპორტული რედაქცია:** 33 17 15




# კალაძე კარიერის ბოლომდე "მილანში" ითამაშებს



საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ ავსტრიასა და გერმანიაში ჩატარებული ამხანაგური თამაშების შემდეგ (ახალ ზელანდიასთან 1:3, პარაგვაისთან 0:1) ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე მილანში დაბრუნდა. კალაძემ თავისთან თანაგუნდელები ლევან კობიაშვილი, გიორგი დემეტრაძე, ლევან ცქიტიშვილი, ალექსანდრე იაშვილი და შოთა არველაძეც დაპატიჟა. ყველანი გაემგზავრნენ მილანში, სადაც კალაძის რესტორნის "ჯორჯიოს" გახსნასაც დაესწრნენ. სხვათა შორის, პრეზენტაციაზე მივიდნენ "მილანის" მოთამაშეებიც, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ რესტორანი "ჯორჯიო" მილანურ ბომონდში პოპულარობა არ მოაკლდება.

დღეს კახა თბილისში ჩამოვა და შვებულების დიდ ნაწილს სამშობლოში გაატარებს, შემდეგ კი რომელიმე კურორტზე გაემგზავრება.

მსოფლიო ჩემპიონატის სტარტის წინ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა და "მილანის" მცველმა ინტერვიუ მისცა რუსულ სპორტულ გამოცემა "სოვეტსკი სპორტს", რომელიც ქართველი მკითხველისთვისაც არ იქნება ინტერესმოკლებული.

- ჩვენ იტალიის ჩემპიონატში მეორე ადგილი დავიკავეთ, რაც სერიოზულ შედეგად მიმაჩნია. სამწუხაროდ, ჩემპიონატის ფინიშზე სამსაჯო სკანდალი აგორდა. ჯერ უცნობია, რითი დასრულდება ეს ისტორია. შეიძლება ჩემპიონობაც კი დაგვიმტკიცონ, თუ "იუვენტუსს" ქულებს ჩამოართმევენ.

**- 2005 წლის ბოლოს "მილანის" დატოვებასთან ძალზე ახლოს იყავით. საბოლოოდ თქვენ დარჩით, ხოლო ანდრეი შევჩენკო "ჩელსიში" გადავიდა. ამბობდით, რომ ინგლისში ანდრეის მიმართ ისეთი კარგი დამოკიდებულება ვერ იქნება, როგორც ეს მილანში იყო. ახლაც ასე ფიქრობთ?**

- დიახ, ვამბობდი. მეც და ბევრ მილანელსაც გული გვწყდება, რომ ასეთმა ფეხბურთელმა და ადამიანმა დატოვა "მილანი". ამასთან, ძალიან მიხარია მისი წარმატება - ბევრი იფიქრა და ისე მიიღო ეს გადაწყვეტილება. ვფიქრობ, მსოფლიო ჩემპიონატის წინ ეს მნიშვნელოვანი იყო. ახლა ის ნაკრებზე კონცენტრირებას შეძლებს.

**- ბევრი ფიქრობდა, რომ შევჩენკო და "მილანი" განუყოფელი ცნებებია. თუმცა, თქვენი წარმოდგენაც ძნელია სხვა გუნდის მაისურით.**

- იყო მომენტი, როცა "მილანის" დასატოვებლად მზად ვიყავი. თუმცა, სიტუაცია შეიცვალა - კონტრაქტი 2010 წლის ბოლომდე გავაფორმე. ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ კარიერას "მილანში" დავასრულებ.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე ვისი გულშემატკივარი იქნებით?**

გაგრძელება C2 გვერდზე

## ჩემი "ბარბაროსული" ჩანაწერებიდან

დიანა ჩაჩუა

"ბარბაროსთა" თბილისურ მატჩს ჯერ არ მოჰყოლია საყოველთაო გამოხმაურება. ეს არცაა გასაკვირი - სტუმართა გუნდი ჩამოყოლილ ჟურნალისტებიანად მხოლოდ დღეს დატოვებს ღვინის ქვეყანას. მატჩის შემდეგ სტუმრები საქართველოს ეცნობოდნენ, ხან მცხეთაში ლხინობდნენ, ხანაც კახეთში.

ბორჯღალოსნებმა დაამტკიცეს, რომ თანამედროვე ყაიდაზე ბურთაობა ეხერხებათ. ბარბაროსებმა კი პირობა შეასრულეს და ბორჯღალოსნებთან ერთად დიდ რაგბის დანატრებული ქართველი ქომაგის წინაშე ნამდვილი სპექტაკლი გამართეს;

ალიონზე ჩამოვიდნენ ნაქები "ბარბაროსები". ქართულ კონიაკს აეროპორტშივე, პირდაპირ ბოთლებიდან გაუსინჯეს გემო;

სხვათა შორის,

რაგბის ყურება და გულშემატკივრობა განსაკუთრებულად მას შემდეგ დავიწყე, რაც საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა იმედები გამიცრუა. ზოგი ჭირი მარგებელიაო;

ბარბაროსები 1890 წელს, საქველმოქმედო მიზნით შექმნილა. მას დღემდე არა აქვს საკუთარი შენობა და მოედანი. თუმცა ვერაფერს იტყვი: გემრიელად კი რაგბობენ.

ადრე "ბარბაროსები" შობასა და აღდგომაზე ტრადიციულ ტურნეებს მართავდნენ და ლელოთცვენით ახალისებდნენ ქომაგებს. თუმცა თანამედროვე რაგბიში დატვირთვა ისე გაუსაძლისი გახდა, რომ მოთამაშეები ჩემპიონატის მატჩებს ძლივს აუდიან. ასე რომ, სეზონის ბოლოს შედარებით მოცლილი "ბარბაროსები" იკრიბებიან და საქართველოს მსგავსი სარაგბო ქვეყნებისკენ იღებენ გეზს.

რაგბის მსოფლიო ვარსკვლავებმა ქართველი ბავშვებისთვის ღია გაკვეთილის ჩატარებაც მოასწრეს; უფროსობამ კი საქართველოში რაგბის განვითარებისთვის ჩვენს რაგბის კავშირს 10 ათასი გირვანქა უბოძა;

ოთხმოცს მიტანებულმა სტუმართა პრეზიდენტმა მიკ სთილ-ბოჯერმა ჩამოსვლისთანავე შეგვახსენა, საქართველო მე-18 ქვეყანაა, ვისაც "ბარბაროსებმა" თავი გაუყადრაო.

საუკუნის მატჩის დაწყებამდე იუბილარი პალიკო ჯიმშელაძე მოედანზე ეულად გამოვიდა და "ლოკომოტივის" გამორჩენილი კაპიტნის და მოქანდაკე ვახტანგ ფეტვიაშვილისგან სამახსოვრო კეპი მიიღო.

ერთწუთიანი დუმილის შემდეგ, რომელიც საქართველოს რაგბის კავშირის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ხსოვნას მიეძღვნა, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ნამდვილი ბარბაროსული ბურთაობა გაიმართა; აქამდე ამის რაგბის ენაზე გადმოცემა არ ვიცოდი, ახლა მგონი გამომივიდა:

ბარბაროსებმა ორი ლელო აბრაგანით გაგვიტანეს, ჩვენ კი ერთხელ შეგორებით დავალელოვეთ.

ისე, ივნისში რაგბის ქართველ ქომაგს კიდევ რამდენიმე მატჩი ელის: შაბათს ჩვენებურები პრაღის მახლობლად, დაბა რჟიჩანში ჩეხეთს ეთამაშებიან. წარმატება ვუსურვოთ "ნაბარბაროსარ" ბორჯღალოსნებს!!!

სხვათა შორის,

ღვინის ქვეყანაში ჩამოსვლის წინ "ბარბაროსთა" გუნდმა შოტლანდიაში შეიარა და მაგრად შერცხვა - "ბორჯღალოსანთა" მეტოქეებმა "მერფილდზე" მასპინძლებთან 19:66 წააგეს.

ვერ შევძელი ტონი მარშის ხიბლს გავქცეოდი და მის შესახებ ცალკე არ მეთქვა. როგორც თავად თქვა, ერთი შეხედვით მიხვდა, რომ საოცარ ქვეყანაში მოხვდა. საფრანგეთის ნაკრების 34 წლის ბეკი ტონი მარში არის ადამიანი, რომელიც უმძიმეს დაავადებას (კიბოს) მოერია და სპორტს მაღალ დონეზე დაუბრუნდა. საინტერესოა, რომ კარიერის დასრულებამდე ერთი სეზონით ადრე, ტონის პირველი "ბარბაროსობა" სწორედ საქართველოში შედგა.

ისე, "ბარბაროსთა" კაპიტანს ბობ სკინსტედს ყველაზე მეტად თურმე ქართული საფერავი მოენატრება.

ნაქები "ბარბაროსები" საკუთარ კლუბს რაგბის გაეროდ რომ მიიჩნევენ, თუ იცოდით? მე არა! მართლაცდა - "ბარბაროსების" რაზმში შვიდი ერის შვილები თამაშობდნენ.

ასე, მაგალითად:

ინგლისელები, უელსელები, ირლანდიელები, ფრანგები, ავსტრალიელები, ზელანდიელები, სამხრეთაფრიკელები, კანადელი და ფიჯელი.

სათამაშო ბოლო მეოთხედი რჩებოდა. "ბარბაროსთა" კაპიტანი სკინსტედი მოედნიდან გავიდა. ბორჯღალოსნებმა ძლიერად შეუტიეს. პალიკომ ლექსო გუგავას გარღვევა შეამზადა, პაპაშვილს სულ ცოტა დააკლდა ლელომდე. მერე სპრედბერმა იმათ წითელ ზოლში დაგვაჯარიმა, მელოუნმა ჩვენს ნახევარზე გადაიტანა ბურთი, იმათ მოლი ააგორეს, მარშმა კი ოფლოუდი გაახერხა და ჰალეტმა კარს უკან დაგვალელოვა. გამოგიტყდებით, ამდენის გადმოცემას მე ვერ შევძლებდი. უბრალოდ, ასე ამიხსნა მოცემული სიტუაცია მეგობარმა, რომელსაც ჩემი დაბნეული სახის დანახვისას არც კი უცდია ყოველივე ეს "ჩვენებური" ენით აეხსნა...

ქართველი ქომაგი კმაყოფილი დარჩა. როგორ არ ჰგავდა ეს საქართველოს საფეხბურთო ნაკრების წაგების შემდეგ სტადიონზე ჩვეულ სიტუაციას. . .

ვაი, რომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ფეხბურთს მაინც ვერ ვეშვები...

ერთი სიტყვით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილისთვის ღვინის პოპულარიზაციისთვის მიცემული დავალება საქართველოს რაგბის კავშირმაც სათანადოდ აიტაცა და "ბარბაროსთა" თბილისში სტუმრობას შესაფერისი სახელი მოუძებნა - "ბარბაროსები" ღვინის ქვეყანაში".

ყვავილების, ღვინისა და ლელოს ქვეყანას "ბარბაროსები" დღეს ტოვებენ...

ავქსენტი გიორგაძემ და მისებრ ვეტერანმა პალიკო ჯიმშელაძემ თავიდან ბოლომდე შეუცვლელად იომეს. აფერუმ, თქვენს კაცობას!!!

ნაკლები არც სხვა ბორჯღალოსნებს უომიათ...

"ბარბაროსული რაგბის" კიდევ ერთი ნიშანი:

არც ერთ გუნდს არ დაურტყამს საჯარიმო კარში - ქულების დაგროვება მხოლოდ ლელოებით სცადეს. ჩვენებს მეტი ოსტატობა და იღბალი რომ ჰქონოდათ, მეტოქის დამარცხებაც შეიძლებოდა...

თუმცა, მეტი მონდომების

შემთხვევაში, არც სტუმრებს გაუჭირდებოდათ მასპინძლების გაცილებით დიდი ანგარიშით დამარცხება. ნებისმიერ შემთხვევაში, მატჩმა ჩემნაირ გულშემატკივარსაც კი დიდი სიამოვნება მიანიჭა. ვინ იცის, მსგავსი დონის სარაგბო დღესასწაული კიდევ როდის ეწვევა საქართველოს. საშვილიშვილო მატჩი გვქონია თბილისში...

სექტემბერში ნაკლები დონის მატჩი არც საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს ელის. თბილისს ხომ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონი საფრანგეთი ეწვევა.

ეჰ,

ისევ ფეხბურთი...

## კალაძე კარიერის ბოლომდე "მილანში" ითამაშებს

პირველი გვერდიდან



საქართველოს ნაკრების კაპიტანი "მილანში" რჩება.

გოგიტა ბახსიძის ფოტო

- ანდრეის და მის უკრაინას წარმატებას ვუსურვებ. ასევე საინტერესო იქნება იტალიის ნაკრების ხილვა - ამ გუნდში ბევრი მეგობარი მყავს.

**- თქვენი აზრით, რომელი გუნდები არიან ფავორიტები?**

- ორიგინალური ვერ ვიქნები. ეს გუნდებია ბრაზილია, იტალია და ინგლისი. თუმცა, რომელიმე ნაკლებად ცნობილ და არაგრანდ გუნდსაც შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება. უკრაინა? ამ გუნდს ჯგუფური ბარიერის დაძლევა ნამდვილად შეუძლია. შემდეგ კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**- როდის ითამაშებს საქართველო მსოფლიო ჩემპიონატზე?**

- რა გითხრათ... ამისკენ უნდა ვისწრაფოდეთ. გვყავს მოთამაშეები, გვყავს ახალი მთავარი მწვრთნელი და გვაქვს მიზანი. გვჭირდება შედეგი.

**- წელს თბილისის "დინამოში" რუსმა ანდრეი ჩერნიშოვმა იმუშავა. როგორ მიიღეთ მისი დანიშვნა?**

- ნორმალურად, ისევე როგორც გულშემატკივრებმა. მაგრამ შედეგი - მესამე ადგილი - ნამდვილად არ არის ის, რისი იმედიც "დინამოს" ხელმძღვანელობას ჰქონდა. საქართველოს ჩემპიონატი ნამდვილი საშინელებაა, ძალიან დაბალი დონეა. ადრე, როცა "დინამოში" მეც ვთამაშობდი, ნებისმიერ მოწინააღმდეგეს 7:0, 8:0 ვუგებდით.

**- ჩერნიშოვმა ძირითადად სწორედ საქართველოს ჩემპიონატის ძალზე დაბალი დონის გამო დატოვა "დინამო". ისიც თქვა, რომ მის წასვლაზე გავლენა მოახდინა ბოლო დროს რუსეთსა და საქართველოს შორის შექმნილმა დაძაბულმა ურთიერთობამ. ამაზე რას ფიქრობთ?**

- ვფიქრობ, რომ ეს სრული სისულელეა და ნამდვილად არ შეესაბამება სიმართლეს. პოლიტიკა სპორტსმენების საქმე არ არის. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის ჩამოყალიბებული რაღაც გაუგებარი და აბსურდული ვითარება რიგითი ადამიანების ცხოვრებაზე მტკივნეულად აისახება.

**- აპირებთ საქართველოში გატაროთ შვებულება. რას გააკეთებთ?**

- გავემგზავრები მშობლიურ სამტრედიაში. იქ ჩემი ძმის საფლავია. წელს დაიწყო ეკლესიის მშენებლობა. საძირკვლის გაჭრის ცერემონია 11 მაისს, ჩემი ძმის დაბადების დღეს გაიმართა. თუ ყველაფერი კარგად იქნება, ტაძრის მშენებლობა წელსვე დასრულდება.

**- საქართველო - კალაძე, უკრაინა - შევჩენკო, ბელორუსი - გლები. ყველა ეს ფეხბურთელი ევროპის სუპერკლუბებში თამაშობს. მხოლოდ რუსი არ არის ამ სიაში. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

- იმიტომ, რომ რუსეთის ეროვნული ჩემპიონატის დონე პროგრესს განიცდის და სულ უფრო უკეთესი ხდება. შესაბამისად, საუკეთესო რუს ფეხბურთელებს სულაც არ სჭირდებათ სამშობლოს გარეთ ბედის ძიება. უკრაინაში და, მით უმეტეს, საქართველოში, ფეხბურთელების ზრდა სპორტული ოსტატობის თვალსაზრისით ძნელად წარმოსადგენია. ამიტომაც მიემგზავრებიან საზღვარგარეთ. რუს ფეხბურთელებს კი საკუთარ ჩემპიონატშიც თავისუფლად შეუძლიათ კვალიფიკაციის ამაღლება.

**- რა დამოკიდებულება გაქვთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ერთიანი ჩემპიონატის ჩატარების იდეის მიმართ?**

- გულწრფელად გითხრათ, ეს ნაკლებად მაინტერესებს. აბსურდული და უტოპიური იდეაა - მისი განხორციელება შეუძლებელია. თუ ფანტაზიის სფეროს მივმართავთ, საბჭოთა კავშირის ნაკრები არ სჯობია? წარმოიდგინეთ, რომ გავაერთიანოთ საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის ნაკრებები, როგორ გუნდს მივიღებდით.

## გორში ტატამი დააგეს

გიგა გურასაშვილი

*საპატიო სტუმრების მოლოდინში კიმონოში გამოწყობილმა ძიუდოისტებმა დანიშნულების ადგილამდე 80-მეტრიანი ცოცხალი დერეფანი გააკეთეს. მცხუნვარე მზის ქვეშ მომლოდინეებს თითქმის ერთი საათი მოუხდათ ასე დგომა. მერე სტუმარიც გამოჩნდა - საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც გუშინ მთელი დღის განმავლობაში შიდა ქართლსა და მის რაიონულ ცენტრს გორს სტუმრობდა. პრემიერ-მინისტრს მეგზურობას უწევდა და მასპინძლობდა შიდა ქართლში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული მიხეილ ქარელი.*

სტუმრები კი მრავლად იყვნენ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გოკა გაბაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, ძველი თუ ახალი თაობის სახელოვანი ძიუდოისტები...

გორში სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თაოსნობით გაიხსნა გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზი (250 ადგილითა და ორი ტატამით. მომავალში ადგილები 400-მდე გაიზრდება).

მრავალჟამიერის ფონზე დარბაზი გახსნა ზურაბ ნოღაიდელმა. ადგილობრივმა ანსამბლმა ქართული ცეკვები შეასრულა. მერე სახელმწიფო დროშა აღმართეს და საქართველოს ჰიმნი აჟღერეს. ამას მოყვა ძიუდოისტთა საჩვენებელი ორთაბრძოლები. მანამდე მასპინძლებს მიესალმა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი: "გორის ძიუდოს სკოლა ერთ-ერთი სამაგალითოა და გვჯერა, ტრადიციები კვლავაც გაგრძელდება".

ზურაბ ნოღაიდელმა მასპინძლებს მიმართა: დარბაზი ხომ გაქვთ, ახლა ჩემპიონებიც გაზარდეთო და რეგიონში შემოვლა გააგრძელა.

## მარჩელო ლიპი: "ჩვენი საქმე ფეხბურთის თამაშია და არა სკანდალის გამოძიება"

შვეიცარიაში ჩასულმა "სკუადრა აძურამ" ორი საწვრთნელი შეხვედრა გამართა. მიუხედავად იმისა, რომ იტალიელები ორიდან ვერც ერთში ვერ ბრწყინავდნენ და ორივე მატჩი ფრედ ითამაშეს, იტალიელთა თავკაცს მარჩელო ლიპის უკრაინელებთან თამაშის შემდეგ უკმაყოფილებას ვერ შეატყობდით.

შვეიცარიიდან აპენინელები ორი დღით სამშობლოში დაბრუნდნენ, სადაც გუშინ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება განაახლეს, ხვალ კი ისევ გერმანიის გზას გაუდგებიან. მანამდე მარჩელო ლიპი "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტებს შეხვდა:

**- როგორ შეაფასებთ შვეიცარიაში ჩატარებულ თქვენს ორ საწვრთნელ მატჩს?**

- დამაკმაყოფილებლად. არავითარი საბაბი არ გვაქვს, ფრედ დასრულებული ორი მატჩის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონობაზე აღარ ვიფიქროთ. გერმანიასთან მოგების შემდეგ ყველა ჩვენზე საუბრობდა, ახლა კი აუტსაიდერებად გვთვლიან? - არ მიყვარს უკიდურესობები, საღი შეფასება მირჩევნია. ობიექტური რეალობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩემს ბიჭებს კარგა ხანია ოფიციალური მატჩები არ ჰქონიათ და უკრაინასთან და შვეიცარიასთან ჩატარებული შეხვედრები მნიშვნელოვანი იყო სავარჯიშო პრაქტიკის თვალსაზრისით.

**- რა მოგეწონათ და რა - არა უკრაინასთან თქვენი ფეხბურთელების თამაშში?**

- ნაკლოვანებებს შინაური გარჩევებისთვის შემოვინახავ. მოსაწონიდან კი, პირველ რიგში, გამოვყოფ ჩემი ბიჭების სათამაშო ჟინს, რომელიც მათ მატჩის რთულ მომენტებში გამოავლინეს. ჯერ კიდევ არ ვართ ოპტიმალურ ფორმაში და ამ დროს მტკიცე ხასიათის გამოვლენა დიდ როლს ასრულებს. ჩემმა შეგირდება



ლიპი ოლიმპიური ჩირაღდნით ხელში.

ეს თვისება გამოამჟღავნეს, რითაც ძალიან გამახარეს.

**- ამბობთ, რომ ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ხართ, როდის მიაღწევს თქვენი გუნდი ფორმის პიკს?**

- მსოფლიო ჩემპიონატი იტალიისთვის 12 ივნისს იწყება, ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ ფორმის პიკს ამ თარიღისთვის მივაღწევთ. გვინდა, მსოფლიო ჩემპიონატზე, რაც შეიძლება, დიდხანს ვითამაშოთ. ამისთვის კი საჭიროა ფეხბურთელები ფიზიკურად კარგად იყვნენ მომზადებულნი, რაზეც ახლა ვმუშაობთ.

**- საბოლოო სასტარტო შემადგენლობა თუ შეარჩიეთ?**

- გუნდის ძირითადი ხერხემალი უკვე ცნობილია, თუმცა ვფიქრობ, ტურნირის მიმდინარეობისას ჩემს განკარგულებაში მყოფ ყველა ფეხბურთელს მიეცემა თამაშის საშუალება. ასე რომ, ძირითადის ფეხბურთელად ყველამ უნდა იგრძნოს თავი.

**- ჰო, მაგრამ ძირიტადის ორი ფეხბურთელის თამაში ეჭვქვეშაა - ძამბროტამ ტრავმირებულია, ტოტი კი ჯერაც არ არის ბოლომდე გამოჯანმრთელებული...**

- ფრანჩესკო ძალიან ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე. სამწუხაროდ, მას კარგა ხანია, სათამაშო პრაქტიკა აღარ ჰქონია და ამიტომ მისგან რაიმე სასწაულებს ვერ დაველოდებით. რაც შეეხება ძამბროტას, მისი ამბავი საბოლოოდ დღეს გაირკვევა. სავარაუდოდ, გერმანიაში მას ბონერა შეცვლის. თუმცა, 11 ივნისამდე კიდევ არის დრო, რათა საბოლოო გადაწყვეტილება მივიღო.

**- არ გეჩვენებათ, რომ ალესანდრო ნესტას ცოტა გადაღლილობა ემჩნევა...**

- უკრაინასთან მატჩში ნესტამ მცირე ტრავმა მიიღო. მაგრამ მას კიდევ ერთი კვირა აქვს წინ, რათა ოპტიმალურ ფორმას დაუბრუნდეს.

**- თქვენი აზრით, რამდენად იქონია უარყოფითი გავლენა ფეხბურთელებზე კალჩოში მომხდარმა სკანდალმა?**

- სამწუხაროდ, მუნდიალის დაწყების წინ, ბევრი ფიქრი და უსიამო საუბრები მოგვიხდა გარე თემებზე. მაგრამ მინდა ვირწმუნო, რომ დღეიდან თითოეული ჩვენთაგანი უშუალოდ ტურნირზე გადაერთვება. დაე, ამ სკანდალის მოგვარებაზე მათ იზრუნონ, ვისაც ეს პირდაპირ ეხება. ჩვენი საქმე კი მომავალ მეტოქეებზე ფიქრია.

**- რამდენად კარგად შეისწავლეთ თქვენი მოწინააღმდეგენი?**

- ჩემი აზრით, განა, ჩეხეთი და ამერიკა მეცა და ჩემმა თანაშემწეებმაც იმდენად შევისწავლეთ, რომ შეგვიძლია თითოეულ მათგანს სათანადო გასაღები მოვარგოთ.

**- რამდენიმე თვის უკან ამბობდით, რომ იტალიას იოლად შეუძლია ბრაზილიას კონკურენცია გაუწიოს. დღემდე ასე ფიქრობთ?**

- ვფიქრობ, ვენ თავისუფლად შეგვიძლია უმაღლეს დონეზე ასპარეზობა მსოფლიო ჩემპიონატზე. აც შეეხება კონკრეტულად ბრაზილიასტან თამაშს, ამას იმ შემთხვევაში ვნახავთ, რომ გერმანიაში მათ წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში.

## მხოლოდ ფაქტები

ფიფა ითვლის დიდი ბრიტანეთის სამეფოს ოთხ ქვეყანას: ინგლისს, შოტლანდიას, ჩრდილოეთ ირლანდიას და უელსს. ოთხივე ერთად მსოფლიო ჩემპიონატზე ერთადერთხელ მონაწილეობდა - 1958 წელს შვედეთში.

■ ■ ■

... 1974 წელს დასავლეთ გერმანიაში გამართული უდიდესი საფეხბურთო ტურნირი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. მას შემდეგ მხოლოდ ორმა მასპინძელმა მოახერხა მსოფლიო ჩემპიონატის მოგება: 1978 წელს არგენტინამ და 1998 წელს საფრანგეთმა. მათ გარდა უდიდესი საფეხბურთო ტურნირი სამშობლოში მოუგიათ ურუგვაის (1930 წელს), იტალიის (1934 წელს) და ინგლისის ნაკრებებს (1966 წელს).

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში მხოლოდ სამჯერ მოხდა, რომ მასპინძელი ქვეყნის გუნდი მეოთხედფინალში ვერ გავიდა: 1982 წელს ესპანეთში, 1994 წელს ამერიკაში და 2002 წელს კორეა-იაპონიაში. კორეელებმა ნახევარფინალს უწიეს, იაპონია კი მერვედფინალიდან გამოეთიშა შეჯიბრებას.

■ ■ ■

... ყველაზე მეტჯერ მსოფლიო ჩემპიონატებზე ბრაზილიელებს უთამაშიათ - ამ ქვეყნის ნაკრებს არც ერთი ტურნირი არ გამოუტოვებია. შემდეგ მოდიან გერმანელები და იტალიელები - ისინი მსოფლიოს 15 ჩემპიონატზე მონაწილეობდნენ.

■ ■ ■

... ბრაზილიამ (2,23 %), გერმანიამ (1,98 %) და იტალიამ (1,91 %) არა მარტო ყველაზე მეტი თამაში ჩაატარეს მსოფლიო ჩემპიონატებზე, ამ გუნდებს ქულათა საუკეთესო საშუალო მაჩვენებელიც აქვთ. შემდეგ მოდიან ხორვატია (1,80 %) და დანია (1,77 %), თუმცა ამ გუნდებმა, შესაბამისად, მსოფლიოს ორ და სამ ჩემპიონატზე ითამაშეს.

■ ■ ■

... პირველი ქვეყანა, რომელიც აზიის კონტინენტს წარადგენდა მსოფლიო ჩემპიონატებზე, ჰოლანდიის ინდოეთი იყო. ამ ქვეყნის ნაკრებმა ტურნირზე მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა - 1938 წელს უნგრეთთან 0:6 განადგურების შემდეგ გამოეთიშა შეჯიბრებას.

■ ■ ■

... 1950 წელს ჯგუფურ ტურნირში იტალია შვედეთთან დამარცხდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე მატჩი წააგო.

■ ■ ■

... 1938 წლის შემდეგ 1994 წელს პირველად ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლების გარეშე - უდიდესი საფეხბურთო ტურნირის საგზურის მოპოვება ინგლისმა, შოტლანდიამ, ჩრდილოეთ ირლანდიამ და უელსმა ვერ შეძლეს.

■ ■ ■

... საფრანგეთის ნაკრებზე უარესად მსოფლიო ჩემპიონის რანგში არც ერთ გუნდს არ უასპარეზია: 2002 წელს კორეა-იაპონიაში ფრანგებმა არათუ შემდეგ ეტაპზე ვერ გააღწიეს, ერთი მატჩიც ვერ მოიგეს და გოლიც ვერ გაიტანეს!

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი გუნდები ბრაზილია და გერმანია მხოლოდ ერთხელ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს - 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. სამხრეთამერიკელებმა 2:0 მოიგეს. ამ თამაშს საფეხბურთო სამყარო 17 მსოფლიო ჩემპიონატის მანძილზე უცდიდა.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში 1970 წელს უნიკალური შემთხვევა დაფიქსირდა - ნახევარფინალში გასული გუნდებიდან სხვადასხვა დროს ყველას მოეგო ტურნირი: ბრაზილიას 1958 და 1962 წლებში, ურუგვაის 1930 და 1950 წლებში, იტალიას 1934 და 1938 წლებში, ხოლო გერმანიას 1954 წელს.

■ ■ ■

... ყველაზე დიდხანს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს იტალიის ნაკრები ინარჩუნებდა. "სკუადრა აძურამ" ტურნირი 1934 წელს მოიგო, 1938 წელს მიღწევა გაიმეორა, ახალი მსოფლიო ჩემპიონი კი მხოლოდ 1950 წელს გამოვლინდა. აქედან გამომდინარე, იტალია მთელი 16 წლის განმავლობაში იყო მსოფლიო ჩემპიონი!

■ ■ ■

... 1994 წელს რუსეთთან 1:6 წაგებულ შეხვედრაში კამერუნელმა როჟე მილამ თავისი გუნდის ერთადერთი გოლი შეაგდო. მაშინ ის 42 წლის და 39 დღის იყო. ამ შედეგით აფრიკელი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში უხუცესი მეგოლეა.

■ ■ ■

... ჩრდილოირლანდიელი ნორმან უაითსაიდი, რომელმაც 1982 წელს იუგოსლავიელთა წინააღმდეგ 17 წლისამ და 41 დღისამ ითამაშა, მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია. ყველაზე ასაკოვანი კი კამერუნელი როჟე მილაა - 1994 წელს, ამერიკაში ნათამაშევ უკანასკნელ მატჩში (რუსეთთან) ის 42 წლის და 39 დღის იყო.

## მხოლოდ ფაქტები

... ყველაზე მეტ მსოფლიო ჩემპიონატზე მექსიკელ მეკარე ანტონიო კარბახალს და გერმანელ ნახევარმცველ ლოთარ მათეუსს უთამაშიათ. პირველი 1950-66 წლებში გამართულ უდიდეს საფეხბურთო ტურნირებზე ასპარეზობდა, მეორე - 1982-98 წლებში. მათეუსს ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული ფინალურ ეტაპზე - 25. წუთების მიხედვით პირველი პაოლო მალდინია, იტალიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი - 23 მატჩში მან 2220 წუთი დაჰყო მინდორზე.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატებზე ერთ შეხვედრაში ყველაზე მეტი გოლის გატანა რუსმა ოლეგ სალენკომ მოახერხა: 1994 წელს, ამერიკაში, კამერუნთან 6:1 მოგებულ თამაშში მან ხუთჯერ გამოიჩინა თავი!

■ ■ ■

... ბრაზილიელი ვავა და პელე, ასევე გერმანელი პაულ ბრაიტნერი გამორჩეულნი არიან: ამ ფეხბურთელებმა მსოფლიოს ორი სხვადასხვა ჩემპიონატის ფინალში მოახერხეს თავის გამოჩენა. პირველმა 1958 და 1962, მეორემ 1958 და 1970, ხოლო მესამემ 1974 და 1982 წლებში.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატები მოთამაშისა და მწვრთნელის რანგში მხოლოდ ორ ადამიანს მოუგია: ბრაზილიელ მარიო ზაგალოს (1958 და 1962 წლებში - მოთამაშე, 1970 წელს - მწვრთნელი) და გერმანელ ფრანც ბეკენბაუერს (1974 წელს - მოთამაშე, 1990 წელს - მწვრთნელი). მარიო ზაგალოს მწვრთნელის რანგში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი აქვს წაგებული, ფრანც ბეკენბაუერი კი ფეხბურთელობისას 1966 წელს, ხოლო მწვრთნელობისას 1986 წელს დამარცხდა ფინალში.

■ ■ ■

... გერმანელი მეკარე ოლივერ კანი ერთადერთია, რომელმაც ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა. ეს 2002 წელს მოხდა.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილი პრიზი ლევ იაშინის სახელს ატარებს. ლეგენდარულ ფეხბურთელს 1958, 1962 და 1966 წლების უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე უთამაშია. 1970 წელს ის ნაკრებს მექსიკაშიც ახლდა, თუმცა 41 წლისა მოედანზე არ გასულა. იაშინი ერთადერთი მეკარეა, რომელმაც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი "ოქროს ბურთი" მოიგო (1963 წელს).

■ ■ ■

... საუკეთესო მე-12 ფეხბურთელის ტიტულს ბრაზილიელი დენილსონი "იმსახურებს": 1998 და 2002 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე ის 11-ჯერ შევიდა შეცვლაზე, ორჯერვე ფინალში.

■ ■ ■

... მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებში ხუთჯერ უთამაშიათ ძმებს, თუმცა ოქროს თასი მხოლოდ გერმანელ ვალტერებს (1954 წელს) და ინგლისელ ჩარლტონებს (1966) მოუგიათ. ფინალში დამარცხდნენ არგენტინელი ევარისტოები (1930), ჰოლანდიელი ვან დერ კერკჰოფები (1974) და გერმანელი ფიორსტერები (1982).

## ინფოთეკა

### ნახევარი მილიონი მოგებისთვის

სამხრეთ კორეის ნაკრების თითოეული ფეხბურთელი მიიღებს 526 000 ამერიკულ დოლარს იმ შემთხვევაში, თუ ეს გუნდი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მოიგებს.

32 მონაწილე გუნდს შორის სამხრეთკორეელები პრემიალურების მხრივ მესამე ადგილზე არიან. უფრო მეტ ფულს მხოლოდ ესპანელებს (731 000) და ინგლისელებს (558 000) შეჰპირდნენ.

ის, რომ სამხრეთკორეელები ჩემპიონები ვერ გახდებიან, ალბათ ძნელი მისახვედრი არ არის. პრემიალურებს ფეხბურთელები მერვედფინალში გასვლისთვისაც მიიღებენ. კერძოდ, თუ სამხრეთკორეელებმა ჯგუფური ეტაპის ბარიერი გადალახეს, თითოეული 105 ათას დოლარს მიიღებს. მეოთხედფინალში გასვლაზე პრემიალური 210 ათასი დოლარი იქნება, ნახევარფინალში თამაში კი 315 ათას დოლარად ფასობს.

### რაული უკრაინას უფრთხის

მადრიდის "რეალისა" და ესპანეთის ნაკრების კაპიტანი რაული აცხადებს, რომ მის ნაკრებს მუნდიალზე საკმაოდ გაუჭირდება, პრობლემებს კი, პირველ რიგში, უკრაინის ნაკრები შეუქმნის.

"მეოთხედფინალში გასასვლელად ზედიზედ რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩის მოგება იქნება საჭირო. რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანია რაც შეიძლება დიდხანს დავრჩენთ მუნდიალზე, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება. მაგალითად, უკრაინის ნაკრები უამრავ პრობლემას შეგვიქმნის. ნუ იფიქრებთ, რომ უკრაინის ნაკრები მხოლოდ ანდრეი შევჩენკოა. მერწმუნეთ, უკრაინელებს შესაძლოა მეტად უსიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზონ", - აცხადებს რაული.

# ყველაზე ძვირფასები

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ თითქმის ყველაფერს აქცევენ ყურადღებას. მუნდიალის მთავარ ფავორიტად ბრაზილიის ნაკრებს მოიხსენიებენ. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. კარლოს ალბერტო პარეირას გუნდში ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ, რომ, წესით, პენტაკამპეონებს ჩემპიონობა არ უნდა გაუჭირდეთ.

გერმანელმა ჟურნალისტებმა ბრაზილიის ნაკრების საბაზრო ფასიც კი დათვალეს. როგორც ირკვევა, ნაკრების 23 ფეხბურთელი ერთობლიობაში 410 მილიონი ევრო ღირს. ამ მხრივ ამჟამინდელი ფორმაციის ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებულია.

თავად ბრაზილიის ნაკრებში სატრანსფერო ფასის თვალსაზრისით რონალდინიო ლიდერობს. "ბარსელონას" სუპერვარსკვლავი 125 მილიონ ევროდ არის შეფასებული. მას მოსდევენ ადრიანო და რონალდო. თითოეული მათგანი 30 მილიონ ევროს ფასობს. შემდეგ მოდის ფრანგული "ლიონის" ჟუნინიო, რომლის სატრანსფერო ფასია 20 მილიონი ევრო. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ჟუნინიო ბრაზილიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც კი ვერ ხვდება.

ყველაზე იაფი ფეხბურთელი კი "სან პაულუს" მეკარე როჟერიო სენია, რომლის სატრანსფერო ფასი სულ რაღაც 1,5 მილიონი ევროა.

საინტერესოა, რომ ერთ-ერთმა გერმანულმა კვლევითმა ინსტიტუტმა სწორედ გუნდების სატრანსფერო ფასს დაუკავშირა მათი წარმატება მომავალ მუნდიალზე. მეცნიერთა აზრით, ვინაიდან ბრაზილია ყველაზე ძვირად ღირებული ნაკრებია, ამიტომ სწორედ კარლოს ალბერტო პარეირას გუნდი იზეიმებს მსოფლიო ჩემპიონობას.



ყველაზე ძვირფასი გუნდის ფეხბურთელები

რაც შეეხება სხვა ნაკრებ გუნდებს, მათი სატრანსფერო ფასი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ბრაზილიელების. ისიც უნდა ითქვას, რომ პენტაკამპეონების მთლიანი ღირებულება მხოლოდ რონალდინიოს ხარჯზეა სხვებზე მეტი, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ ბრაზილიელთა მთავარი იმედი "ბარსელონას" გენიალური ფეხბურთელია და თუ რონალდინომ ჩემპიონატი ჩააგდო, პენტაკამპეონები, სულ ცოტა, ოთხ წელიწადს ვერ გახდებიან სექსტაკამპეონები.

# მხოლოდ სტატისტიკა

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი უდიდეს ინტერესს იწვევს. ზოგიერთი ფეხბურთელისთვის ტურნირი ორმაგად მნიშვნელოვანია. მაგალითად, რონალდოს გერდ მიულერის რეკორდის დამხობა შეუძლია, კაფუსთვის კი ეს მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატია.

### მსოფლიო ჩემპიონატზე გამართული მატჩები

| | |
|---|---|
| კაფუ (ბრაზილია) | 16 (1994 - 3), (1998 - 6), (2002 - 7) |
| რონალდო (ბრაზილია) | 14 (1998 - 7), (2002 - 7) |
| რობერტო კარლოსი (ბრაზილია) | 13 (1998 - 7), (2002 6) |
| ფაბიენ ბარტეზი (საფრანგეთი) | 10 (1998 - 7), (2002 - 3) |
| ალი დეია (საუდის არაბეთი) | 10 (1994 - 4), (1998 - 3), (2002 - 3) |
| სოლ კემპბელი (ინგლისი) | 9 (1998 - 4), (2002 - 5) |
| მაიკლ ოუენი (ინგლისი) | 9 (1998 - 4), (2002 - 5) |
| ჰენრიკ ლარსონი (შვედეთი) | 9 (1994 - 5), (2002 - 4) |
| ლილიან ტურამი (საფრანგეთი) | 9 (1998 - 6), (2002 - 3) |
| ტიერი ანრი (საფრანგეთი) | 9 (1998 - 6), (2002 - 3) |

### საუკეთესო ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდო (ბრაზილია) | 12 (1998 - 4), (2002 - 8) |
| მიროსლავ კლოზე (გერმანია) | 5 (2002 - 5) |
| მაიკლ ოუენი (ინგლისი) | 4 (1998 - 2), (2002 - 2) |
| ჰენრიკ ლარსონი (შვედეთი) | 4 (1994 - 1), (2002 - 3) |
| რაული (ესპანეთი) | 4 (1998 - 1), (2002 - 3) |

### ყველაზე გამოცდილი ნაკრები

აქ იგულისხმება, თუ რამდენი მატჩი აქვთ გამართული ამა თუ იმ ნაკრების ფეხბურთელებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე და რამდენი გოლი გაიტანეს

| | |
|---|---|
| ბრაზილია | 69 მატჩი 15 გოლი |
| კორეა | 63 6 |
| საფრანგეთი | 54 8 |
| გერმანია | 51 10 |
| პარაგვაი | 50 4 |
| აშშ | 46 6 |
| ინგლისი | 44 8 |
| იტალია | 40 1 |
| შვედეთი | 39 6 |
| იაპონია | 38 6 |
| საუდის არაბეთი | 38 2 |
| მექსიკა | 35 3 |
| ხორვატია | 27 1 |
| ესპანეთი | 24 4 |
| ტუნისი | 23 - |
| ეკვადორი | 22 - |
| კოსტა რიკა | 21 3 |
| არგენტინა | 15 1 |
| ჰოლანდია | 14 2 |
| პორტუგალია | 11 3 |
| პოლონეთი | 9 - |
| ირანი | 6 1 |
| სერბეთი | 5 - |

### ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელები

| | |
|---|---|
| მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია) | 31.10.1964 |
| იურგენ კლინსმანი (გერმანია) | 30.07.1964 |
| ლუიშ ოლივეირა გონშალვეში (ანგოლა) | 22.06.1960 |
| ლუის ფერნანდო სუარესი (ეკვადორი) | 23.12.1959 |
| ალეშანდრე გიმარაეში (კოსტა რიკა) | 07.11.1959 |

### ყველაზე ხანდაზმული მწვრთნელები

| | |
|---|---|
| ოტო პფისტერი (გერმანია) | 24.11.1937 |
| ლუის არაგონესი (ესპანეთი) | 28.07.1938 |
| კარელ ბრუკნერი (ჩეხეთი) | 13.11.1939 |
| როჟე ლემერი (ტუნისი) | 18.06.1941 |
| ლეო ბენჰაკერი (ტრინიდადი) | 02.08.1942 |

### ყველაზე მეტ ნაკრებთან მომუშავე მწვრთნელები

| | |
|---|---|
| ოტო პიფტცერი | 8 |
| ანრი მიშელი | 6 |
| კარლოს ალბერტო პარეირა | 5 |
| რატომირ დუიკოვიჩი | 4 |
| ლუიშ ფელიპე სკოლარი | 3 |
| ლეო ბენჰაკერი | 3 |
| გუუს ჰიდინკი | 3 |
| დიკ ადვოკაატი | 3 |
| ანიბალ რუისი | 2 |
| როჟე ლემერი | 2 |

### ყველაზე გამოცდილი მწვრთნელი

| | |
|---|---|
| კარლოს ალბერტო პარეირა - სულ მსოფლიო ჩემპიონატებზე გამართული აქვს | 15 მატჩი |
| გუუს ჰიდინკი | 14 |
| ანრი მიშელი | 13 |
| ლუიშ ფელიპე სკოლარი | 7 |

### მწვრთნელთა შორის საუკეთესო საფეხბურთო კარიერა მუნდიალებზე

| | |
|---|---|
| იურგენ კლინსმანი | 17 მატჩი 11 გოლი |
| ზიკო | 14 5 |
| პაველ იანასი | 7 - |
| ოლეგ ბლოხინი | 6 2 |
| ილია პეტკოვიჩი | 5 1 |
| მარკო ვან ბასტენი | 4 - |
| ალეშანდრე გიმარაეში | 3 - |
| ანრი მიშელი | 2 - |
| იაკობ კუნი | 2 - |

# ინგლისის ნაკრების უიღბლო კაპიტანი

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისი - არგენტინის შეხვედრაში მინდვრიდან გაძევებული დევიდ ბექჰემი ოთხი წლის შემდეგ იაპონია-კორეის მუნდიალს საუკეთესო ფორმაში ვერ შეხვდა. ბრაზილია - ინგლისის მატჩში ბრიტანელთა მთავარი იმედი გადაღლილი ჩანდა და თავის გუნდს ვერაფრით დაეხმარა. ამ წელს დევიდი დაკარგულის ანაზღაურებას აპირებს. მომავალი მუნდიალი მადრიდის "რეალის" ნახევარმცველისთვის უკვე მესამე იქნება. დევიდს სჯერა, რომ ტრავმირებული უეინ რუნი თამაშს შეძლებს და ინგლისის ნაკრები ჩემპიონატს ტრიუმფალურად დაასრულებს.

"ოთხი წლის წინ მსოფლიო ჩემპიონატს მოტეხილი ფეხით შევხვდი და აღდგენითი პროცესი საკმაოდ ნელა მიდიოდა. რუნი კი საოცრად მალე მომჯობინდა. ასე რომ, მას აქვს ყველა შანსი ითამაშოს მუნდიალზე და დაგვეხმაროს მიზნის მიღწევაში", - აცხადებს დევიდი.

წინა ორ მუნდიალზე მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ ფეხბურთელს აშკარად არ უმართლებდა. ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა დევიდი საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე დიეგო სიმეონის პროვოკაციას წამოეგო და ბრიტანეთში მარცხის მთავარ მიზეზად ის დაასახელეს. იაპონია-კორეაში კი ცუდ ფორმაში მყოფი ბექჰემი საკუთარი თავის აჩრდილს ჰგავდა. რაც შეეხება წლევანდელ მუნდიალს, დევიდი მას საუკეთესო ფორმაში ხვდება და ცდილობს დაამტკიცოს, რომ პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

"ყოველთვის ვცდილობ ვაჩვენო მთელი ჩემი ოსტატობა. ამ დღეებში ერთ-ერთ გამოცემაში დაიბეჭდა სტა- [illegible]




ბექჰემი სანაკრებო წარმატებაზე ოცნებობს

კეთებია. სამწუხაროდ, ჟურნალისტებმა კიდევ ერთხელ მომაწერეს ის, რაც არასდროს მითქვამს, მაგრამ არა უშავს. თავადაც იცით, რომ არ მწყინს. ერთ რამეს კი ვიტყვი: დარწმუნებული ვარ, ყოველ მატჩში შესაძლებლობის მაქსიმუმს და ცოტა უფრო მეტსაც გა- [illegible]

ბექჰემი დარწმუნებულია, რომ ინგლისის ნაკრებს გერმანიაში გამარჯვების მოპოვება შეუძლია: "ჩვენს გუნდში საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელები არიან თავმოყრილი, რომლებსაც უმაღლეს დონეზე უთამაშიათ, - ამტკიცებს ინგლისელთა კაპიტანი, - ჩვენს გუნდში [illegible]

ლიან მნიშვნელოვანია. ძალიან ვამაყობ იმ ტიტულებით, რომლებიც საკლუბო დონეზე მაქვს მოგებული. ახლა მინდა რაიმე ნაკრებთან ერთადაც მოვიგო. ყოველთვის ვოცნებობდი, რომ დიდ კლუბში მეთამაშა, ისეთში, როგორიც მადრიდის "რეალია". ამას მივაღწიე და ახლა ჩემი მთავარი მოტივაცია ნაკრებთან ერთად ტიტულის მოგებაა".

დევიდი კმაყოფილია, რომ მადრიდის "რეალში" თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ მადრიდულ კლუბს ბოლო ხანს მძიმე პერიოდი უდგას. პრაქტიკულად მას შემდეგ, რაც "რეალმა" ბექჰემი იყიდა, არც არაფერი მოუგია. ინგლისის ნაკრების მწვრთნელს სვენ გორან ერიქსონს კი თავისი გუნდის კაპიტანი მსოფლიოს საუკეთესო განაპირა ნახევარმცველად მიაჩნია.

"ყველაზე კარგად ფლანგიდან ბურთის საჯარიმოში ჩაწოდება მეხერხება. თუ გერმანიის მინდვრებზე ამის შანსი მომეცა, პირობას ვდებ, ისე ჩავაწოდებ, რომ ფორვარდებს გოლის გატანის მეტი არაფერი დარჩებათ გასაკეთებელი. როდესაც ბურთს საჯარიმოში ვაწვდი, დარწმუნებული ვარ, სწორედ იქ ვგზავნი, სადაც ვგეგმავ. თუ ჩვენი ფორვარდები კარგ ფორმაში იქნებიან, ჩემგან პასები არ მოაკლდებათ", - აცხადებს დევიდი.

ამავდროულად ბექჰემი ამბობს, რომ საჭიროების შემთხვევაში აუღელვებლად შეასრულებს პენალტსაც. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანს არაერთხელ გაუფუჭებია თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

"მე ვარ ფეხბურთელი, რომელმაც პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღოს. ჯერ ერთი, კაპიტანი ვარ და [illegible] - ამბობს დევიდ ბექჰემი.

## ერთი მსოფლიოს ჩემპიონი

ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი დარწმუნებულია, რომ 13 ოქტომბრის შემდეგ საჭადრაკო სამყაროს ერთიანი მსოფილოს ჩემპიონი ეყოლება. "ფიდეს კონგრესმა დაამტკიცა გაერთიანებული მატჩის ჩატარება კრამნიკსა და ტოპალოვს შორის. ეს შეხვედრა ელისტაში გაიმართება და 21 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე გაგრძელდება. კონტრაქტი, რომელზეც ხელი მოაწერეს კრამნიკმა და კასპაროვმა, იძლევა იმის საშუალებას, რომ საჭადრაკო სამყაროს 13 ოქტომბრის შემდეგ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავდეს", - ამბობს ილუმჟინოვი.

## რევოლუცია მსოფლიო ფეხბურთში?

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის ჩატარება ორ წელიწადში ერთხელ. ჩემპიონთა ლიგის ფორმატის გაზრდა, წამყვანი ნაკრები გუნდების გათავისუფლება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებიდან - ესაა მცირე ჩამონათვალი იმ წინადადებებისა, რომელიც შეიმუშავა ჰოლანდიურმა საკონსულტაციო კომპანია Hypercube-მ ორგანიზაცია G14-ის დაკვეთით.

ჰოლანდიელთა ვარიანტის თანახმად, ევროპული ნაკრები გუნდები სამ ჯგუფად დაიყოფა. პირველი 16, ასევ ვთქვათ, ელიტური დივიზიონის გუნდები ყოველგვარი შესარჩევი ციკლის გარეშე გავლენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ გაიმართება. პირველ 12 ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად მოიპოვებენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურებს. 4 ყველაზე სუსტი გუნდი კი მომავლ ევროპის ჩემპიონატზე თავის ადგილს მეორე დივიზიონის ოთხ საუკეეთესო გუნდს დაუთმობს. ამით თავისთავად შემცირდება საერთაშორისო მატჩების რაოდენობა და სათამაშო კალენდარი განიტვირთება, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდების რაოდენობა 32-დან 48-მდე გაიზარდოს. ევროპული საკლუბო ფეხბურთის მთავარ ტურნირზე გასამართი მატჩების რაოდენობა კი 125-დან 269-დე გაიზრდება. ამავდროულად კლუბები ოთხ წელიწადში ერთხელ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზეც ითამაშებენ. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ორწლიან ციკლზე გადაყვანას კი უკვე 2012 წლიდან გვთავაზობენ.

G14 ხელმძღვანელთა განცხადებით, Hypercube-ის ვერსია G14-ის ოფიციალურ პოზიციას არ წარმოადგენს. თუმცა ის ფაქტი, რომ ჰოლანდიური საკონსულტაციო კომპანიის მოხსენება სწორედ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ გამოქვეყნდა, ნათლად მეტყველებს G14-ის განწყობაზე.

## გერმანული სამი მილიარდი

მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებით გერმანელები საკმაოდ სოლიდურ ეკონომიკურ მოგებას ნახავენ. ყველაზე მოკრძალებული გამოთვლებით მოგებამ დაახლოებით 3 მილიარდი ევრო უნდა შეადგინოს. ეს ციფრი დაასახელა ერთ-ერთი გერმანული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში გერმანიის ეკონომიკის მინისტრმა მიხაელ გლოსმა.

## პრემიალურებზე შეთანხმდნენ

ტოგოს ფეხბურთის მესვეურები შეთანხმდნენ ფეხბურთელებთან პრემიალურების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი შეთანხმებით თითოეულ ფეხბურთელს მუნდიალზე მოხვედრისთვის 155 ათასი ევრო უნდა მიეღო, ყოველ მოგებულ მატჩში ფეხბურთელები 30 000 მიიღებდნენ, ფრედ დასრულებულ შეხვედრაში კი - 15 ათასს. ახალი მოლაპარაკების დეტალები ცნობილი არ არის, თუმცა ტოგოს ფეხბურთის მესვეურებმა განაცხადეს, რომ თავიდან შეპირებულ 155 000 ევროზე აღარავინ საუბრობს.

## კლაუდია შიფერის მხარდაჭერა

ცნობილმა მოდელმა კლაუდია შიფერმა თანამემამულეებს მოუწოდა, რომ აქტიურად დაუჭირონ მხარი გერმანიის ნაკრებს.

"ახლა ინგლისში ყველა თავისი ქვეყნის დროშით დადის, სახლებზე სულ ინგლისის დროშებია გამოფენილი, გერმანელები კი ამის გაკეთებას რატომღაც ერიდებიან. ძალიან კოსმოპოლიტურები გავხდით. ნაკრებს აქტიური მხარდაჭერა სჭირდება," - ამბობს კლაუდია შიფერი.

მოდელი მხოლოდ სიტყვებით არ შემოიფარგლა. კლაუდიამ სპეციალურად გადაიღო ფოტოსესია გერმანიის ნაკრების მხარდასაჭერად. ფოტოებზე შიშველ შიფერს გერმანიის დროშა აქვს შემოხვეული.

## საუკეთესო ჩეხი ჩეხია

"ჩელსის" მეკარე პეტრ ჩეხი 2005-06 წლების სეზონის ჩეხეთის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ჩეხი სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად პირველ ადგილზე "ჩელსის" მეკარე გავიდა, მეორეზე - პაველ ნედვედი, მესამეზე კი - ახლახან ლონდონის "არსენალში" გადასული ტომაშ როსიცკი.

## დაკარგული ბილეთები

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაკარგა 552 ბილეთი, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მატჩებისთვის იყო განკუთვნილი. ბილეთების ამანათი, რომელიც ელზასის რეგიონულ ფედერაციაში უნდა ჩასულიყო, პარიზიდან სტრასბურისკენ მიმავალ გზაზე დაიკარგა. ამ ბილეთების ელექტრონული ნიშნულები დეზაქტივირებულია და მათი გამოყენება უკვე შეუძლებელია.

## კლინსმანი შესაძლოა, ნაკრებში დარჩეს

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა განაცხადა, რომ შესაძლოა დარჩეს თანამდებობაზე მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ ბუნდესნაკრებმა მუნდიალზე წარმატებით იასპარეზა.

"მწვრთნელზე შედეგებით მსჯელობენ. ბოლო ორი წლის განმავლობაში ნაკრებს საკუთარი სათამაშო სტილი ჩამოუყალიბდა და თუ მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებას მივაღწევთ, შესაძლოა ნაკრებში მუშაობაც გავაგრძელო", - აცხადებს კლინსმანი.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები უკვე თითქმის ერთი წელია მოითხოვენ კლინსმანისგან კონტრაქტის გაგრძელებას, თუმცა მწვრთნელი უარს ამბობს და მიზეზიც საკმაოდ ლოგიკურია. კლინსმანის თქმით, მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებამდე ახალ კონტრაქტზე საუბარი ნაადრევია, რადგან მაინც ბუნდესნაკრების წარუმატებლობის შემთხვევაში ნაკრებში დარჩენაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

## 25 000 გულშემატკივარი

ხუთშაბათს ბრაზილიის ნაკრები ღია ვარჯიშს გამართავს. უკვე ცნობილია, რომ გერმანიაში ჩასული პენტაკამპეონების პირველ ვარჯიშს 25 ათასი გულშემატკივარი დაესწრება. ბილეთების გაყიდვა უკვე დაიწყო, თუმცა ერთ ადამიანზე ოთხ ბილეთზე მეტს არ გასცემენ.

## ამბიციური რობენი

"ჩელსისა" და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი არიენ რობენი აცხადებს, რომ შეუძლია მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს.

"ნარინჯისფერთა" მწვრთნელი ოდნავ მოკრძალებულია. ვან ბასტენის თქმით, არიენი მომავალ მუნდიალზე ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

## ვერონი მშობლიურ კლუბში დაბრუნდა

არგენტინის ნაკრების ექსფეხბურთელმა ხუან სებასტიან ვერონმა დატოვა მილანის "ინტერი" და ბრუნდება არგენტინულ "ესტუდიანტესში", სადაც იწყებოდა მისი პროფესიული კარიერა. "ესტუდიანტესში" ვერონი შეუერთდება თავის ყოფილ თანაგუნდელს დიეგო სიმეონეს, რომელიც ამჟამად კლუბის მთავარი მწვრთნელია.

"ყოველთვის მინდოდა იმ გუნდში დაბრუნება, რომელშიც დაიწყო ჩემი პროფესიული კარიერა. სიმბოლური იქნება, თუ კარიერას იქ დავასრულებ, სადაც დავიწყე", - ამბობს ვერონი.

## "პარმას" მთავარი მწვრთნელი დაინიშნა

იტალიური "პარმას" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა 40 წლის იტალიელი სპეციალისტი სტეფანო პოლი. ის ამ თანამდებობაზე შეცვლის მარიო ბერეტას, რომელმაც გასულ სეზონში "პარმას" ელიტურ დივიზიონში შეუნარჩუნა ადგილი, მაგრამ სეზონის დასრულების შემდეგ გუნდიდან წავიდა.

## როსიცკის დასჭერდნენ

"არსენალის" მთავარი მწვრთნელის არსენ ვენგერის განცხადებით, შესაძლოა "მეთოფეებმა" ამ ზაფხულს აღარავინ იყიდონ. "აქამდეც მითქვამს, რომ ზაფხულში მაღალი დონის ერთ ან ორ ფეხბურთელს ვიყიდდით. როსიცკი უკვე შევიძინეთ და არ გამოვრიცხავ, რომ მეტი აღარავინ ვიყიდოთ", - აცხადებს ვენგერი.

## იბრაჰიმოვიჩი ლიდერობს

შვედურ ჰიტ-ალლუმებში პირველ ადგილზეა სიმღერა, რომელიც შვედეთის ნაკრების ფორვარდს ზლატან იბრაჰიმოვიჩს ეძღვნება. რეგის სტილში დაწერილ კომპოზიციას "Who's Da' man" ასრულებს შვიდი წლის ბიჭუნა ფრანსი ჯგუფ "ელიასთან" ერთად.

შვედური მედიის ინფორმაციით, ამ სიმღერამ უკან ჩამოიტოვა შვედეთის ნაკრების ოფიციალური ჰიმნიც კი.

## ადრიანო "ინტერში" უნდა დარჩეს

ფეხბურთის მეფე პელე "ინტერის" ბრაზილიელ ფორვარდ ადრიანოს მომავალზე ალაპარაკდა. მოგეხსენებათ, ადრიანოს იტალიური კლუბის დატოვება სწადია, რაც პელეს არასწორად მიაჩნია.

"ადრიანო ბედნიერი უნდა იყოს ისეთ გუნდში თამაშით, როგორიც "ინტერია". ჩემი აზრით, მან მილანური კლუბი არ უნდა დატოვოს, რადგან სწორედ "ინტერში" იქცა ნამდვილ ვარსკვლავად, - აცხადებს პელე და შემდეგ ადრიანოს ერთ უარყოფით ჩვევაზე აგრძელებს საუბარს, რომელიც სხვა ფეხბურთელებსაც ახასიათებათ, - არ მიყვარს, როცა ფეხბურთელები გატანილი გოლის შემდეგ კლუბის მაისურს კოცნიან. რისი დამტკიცება სურთ ამით? ეს ხომ თვალთმაქცობაა. ისე კოცნიან კლუბის ემბლემას, თითქოს ამ გუნდის ერთგულები იყვნენ. არადა, მეორე დღეს შესაძლოა კლუბი გამოიცვალონ. კარგი იქნება, თუ ფეხბურთელები ასეთი მავნე ჩვევისგან გათავისუფლდებიან".

## ბალაკის გარეშე

გერმანიის ნაკრების კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა შესაძლოა ვერ ითამაშოს მუნდიალის პირველ მატჩში გერმანიისა და კოსტა რიკის ნაკრებ გუნდებს შორის. მართალია, თავად ფეხბურთელი აცხადებს, რომ თამაშისთვის მზადაა, მაგრამ გერმანიის ნარების ექიმები შიშობენ, რომ ბალაკი ამას ვერ შეძლებს.

მიხაელმა გამოტოვა ნაკრების ორშაბათის ვარჯიში, დღეს კი მხოლოდ უბურთოდ ივარჯიშებს.

## ძამბროტას ბონერა შეცვლის

იტალიის ნაკრების მცველებმა ჯანლუკა ძამბროტამ და ალესანდრო ნესტამ გუშინ სამედიცინო შემოწმება გაიარეს.

ნესტას ტრავმა არც ისე სერიოზულია, ძამბროტას კი კუნთი აქვს დაჭიმული. სავარაუდოდ, "იუვენტუსის" 30 წლის მცველი ვერ შეძლებს თამაშს იტალიელთა პირველ მატჩში. მის ადგილს ძირითად შემადგენლობაში პარმელი დანიელე ბონერა დაიკავებს.

## ერიქსონი "რეალში"

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი მომავალ სეზონში მადრიდის "რეალს" ჩაიბარებს, იმ შემთხვევაში თუ 2 ივლისს "რეალის" საპრეზიდენტო არჩევნებში არტურო ბალდასანო გაიმარჯვებს.

"ჩემი საარჩევნო შტაბის წარმომადგენლები უკვე ესაუბრნენ სვენ გორან ერიქსონს და იგი დათანხმდა "რეალის" მწვრთნელობას. თუ საპრეზიდენტო არჩევნები მოვიგე, შემიძლია ასპროცენტიანი გარანტიით ვთქვა, რომ ერიქსონი "რეალის" მწვრთნელი გახდება", - აცხადებს ბალდასანო.

## პრემიერს ნაკრები მოეწონა

ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ხოსე ლუის როდრიგეს ასპატერომ ესპანეთის ნაკრებს წარმატებები უსურვა მომავალ მუნდიალზე. "მინდა ეროვნულ ნაკრებს წარმატებები ვუსურვო. ფეხბურთელებმა უნდა იცოდნენ, რომ ესპანეთი მათთან იქნება მთელი ტურნირის განმავლობაში. დარწმუნებული ვარ, მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენი ნაკრებისთვის წარმატებული იქნება. "ბარსელონამ" და "სევილიამ" ევროტურნირები მოიგეს. ნაკრებმაც ამ ორ გუნდს უნდა მიბაძოს", - აცხადებს ესპანეთის პრემიერ-მინისტრი, რომელიც "ბარსელონას" გულშემატკივარი ყოფილა.

# რუსებს ქართული ღვინო და "ბორჯომი" საჩუქრად

*საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსთან და მათთან გათანაბრებულ ორგანიზაციებთან მუშაობის სამსახურმა - ს.ს.ი.პ "დიპლომატმა" ტრადიციას არ უღალატა და უმასპინძლა მინიფეხბურთის ტურნირს "თბილისური ზაფხული-2006". მოვლენებს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ ფინალში ასპარეზობის პატივი მოიპოვეს ისრაელისა და რუსეთის საელჩოთა გუნდებმა, გამარჯვება კი ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა იზეიმეს.*

ტურნირში "თბილისური ზაფხული-2006" მონაწილეობდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და მათთან გათანაბრებული საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დაკომპლექტებული გუნდები. ასპარეზობამ, რომელიც 1997 წლიდან იმართება, წლეულს ერთმანეთთან გაჯიბრების საშუალება მისცა დიდი ბრიტანეთის, იტალიის, საფრანგეთის, რუსეთის, ისრაელის, თურქეთისა და უკრაინის საელჩოებს. პლუს ს.ს.ი.პ. "დიპლომატი". "თბილისური ზაფხული-2006" 1 ივნისს დაიწყო და გუშინ დასრულდა. ასპარეზობა, რომელსაც უკრაინისა და რუსეთის საელჩოების მატჩით დაიწყო, რუს დიპლომატთა ფინალში გასვლითა და გამარჯვებით დაგვირგვინდა. რუსეთისა და ისრაელის ფინალური მატჩი რომ დაძაბული იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ძირითადი დროის (4:4) დასრულების შემდეგ საქმე პენალტებამდე მივიდა. აქ რუსეთის საელჩომ 6:5 იმარჯვა.

ეტყობა, ტურნირის სპონსორებმა იფიქრეს, ამაზე ხელსაყრელი რაღა უნდა იყოს ჩვენი პროდუქციის რეკლამისთვისო და, რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებს ღვინო "თელიანი ველი" და "ბორჯომი" გადასცეს საჩუქრად. ქართულ პროდუქციაზე დაწესებული ემბარგოს მიუხედავად, ჩვენმა მეზობლებმა ქართული ღვინო და "ბორჯომი" დიდი სიამოვნებით მიიღეს. თუმცა, ტურნირის განმავლობაშიც ხშირად მიმართავდნენ "ბორჯომს", როგორც გამაგრილებელ საშუალებას.

მონაწილეები სხვა სპონსორებმაც დაასაჩუქრეს. "იამაჰამ" გამარჯვებულ გუნდს ელექტროტექნიკა გადასცა, "კასტელი-საქართველომ" კი საკუთარი პროდუქციით ფინალისტები დაასაჩუქრა. პრიზები მიიღეს ცალკეულმა მოთამაშეებმაც. საუკეთესო დიპლომატ ფეხბურთელად სცნეს დიდი ბრიტანეთის ელჩი დონალდ მაკლარენი, ხოლო ტურნირის საუკეთესო მეკარედ - აზერბაიჯანის საელჩოს წარმომადგენელი სეიმურ აგაევი.

# ნადალმა ჰიუიტიც ჩამოიცილა

გრძელდება საფრანგეთის ღია პირველობა ჩოგბურთში. ორშაბათს რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართა, თუმცა მათ შორის აშკარად გამოირჩეოდა რაფაელ ნადალისა და ლეიტონ ჰიუიტის დაპირისპირება. მართალია, ავსტრალიელი არასდროს არ ითვლებოდა თიხის კორტების სპეციალისტად, მაგრამ ბევრს ეგონა, რომ ის მაინც შეძლებდა თინეიჯერი ესპანელის შეჩერებას.

ბევრისთვის სამწუხაროდ, ეს მოლოდინი არ გამართლდა. რაფაელმა კვლავ დამაჯერებლად ითამაშა და მეტოქეს მხოლოდ ერთი სეტი დაუთმო. აშკარაა, რომ ესპანელ ჩოგბურთელს თიხის კორტებზე უბრალოდ ბადალი არ ჰყავს და გასაკვირი არ იქნება, თუ წლევანდელი როლან გარო ნადალის ტრიუმფით დასრულდება.

რაც შეეხება ჰიუიტისა და ნადალის შეხვედრას. ავსტრალიელმა პირველი სეტი პირწმინდად წააგო, მეორეში შეძლო ინიციატივას დაუფლებოდა და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ მომდევნო ორი პარტია ნადალმა ბრწყინვალედ ითამაშა და მეტოქე უშანსოდ დატოვა.

ორშაბათს მარტინა ჰინგისმა მოახერხა შემდეგ ეტაპზე გასვლა, სადაც რთული მატჩი ელის ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ კიმ კლაისტრსთან.

ჰიუიტისა და ნადალის მატჩის შემდეგ ესპანელ ჩოგბურთელს ჟურნალისტები გაესაუბრნენ.



*ნადალი გამარჯვებას ზეიმობს.*

**- მძიმე მატჩი იყო. ელოდით თუ არა, რომ ჰიუიტი ასეთ დიდ წინააღმდეგობას გაგიწევდათ?**

- რა თქმა უნდა. მშვენივრად ვიცი, რომ ნებისმიერი მატჩი რთულია. მით უმეტეს, როდესაც კორტის მოპირდაპირე მხარეს ისეთი ჩოგბურთელი დგას, როგორიც ლეიტონ ჰიუიტია.

**- ეს თქვენი მეოთხე მატჩი იყო ტურნირზე. შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ყოველ შეხვედრაში უმატებთ?**

- ყოველ შეხვედრაში?

**- დიახ.**

- არ ვიცი. ფაქტია, რომ ოთხი მატჩი გავმართე. ვფიქრობ, დღეს ვაჩვენე საუკეთესო ჩოგბურთი.

**- როგორ გგონიათ, დღეს თქვენ აიძულეთ ჰიუიტი, რომ უკეთესად ეთამაშა? მან მშვენივრად იცის, რომ თიხაზე თქვენზე სუსტია და ცდილობდა უფრო მეტი გაეკეთებინა, რაც ხშირად შეცდომის ტოლფასი იყო.**

- მერე მე რა შუაში ვარ? ვერ გავიგე, რას მეკითხებით.

**- უბრალოდ, ჰიუიტმა იცოდა, რომ თავისი ჩვეულებრივი ჩოგბურთით თიხაზე ვერ დაგამარცხებდათ და იძულებული იყო რაღაც უფრო მეტი გაეკეთებინა, რათა თქვენთვის სიურპრიზი შემოეთავაზებინა, რაც არ გამოსდიოდა და მისმა შეცდომებმაც იმატა.**

- არ ვიცი. შეიძლება ასეც იყო.

**- ესე იგი, თქვენ აიძულეთ შეცდომები დაეშვა?**

- ამას არ ვგულისხმობ. საერთოდ არ ვიცი, ამ კითხვას როგორ უნდა ვუპასუხო. უმჯობესია ეს თავად ჰიუიტს ჰკითხოთ. მე რა ვიცი, რისი გაკეთება უნდოდა.

**- ჰიუიტმა ბოლო სეტში 5 ორმაგი შეცდომა დაუშვა. ეს გადაღლილობის ბრალი ხომ არ იყო?**

- არ ვიცი. ბოლო მატჩი ჰრბატს საკმაოდ იოლად მოუგო. დღესაც მხოლოდ ოთხი სეტი ვითამაშეთ. რატომ უნდა ყოფილიყო გადაღლილი?

**- ბევრს ჰგონია, რომ თიხის კორტებზე თქვენ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ხართ.**

- სასიამოვნოა, თუ ასეა.

**- თუ არ ვცდებით, ჰიუიტი პირველად დაამარცხეთ. მატჩის შემდეგ რა გითხრათ?**

- დიახ, პირველად მოვუგე. განსაკუთრებული არაფერი უთქვამს. ლეიტონი კარგი ადამიანია. მატჩის შემდეგ უბრალოდ მომილოცა და წარმატებები მისურვა.

# ფეხბურთის სპილოები და არწივები შეესივნენ

ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომ ნაკრები გუნდების უმეტესობას გარკვეული მეტსახელები აქვთ. ეს ტრადიცია განსაკუთრებით გავარცელებულია აფრიკულ ქვეყნებში. შავი კონტინენტის ნაკრები გუნდების მეტსახელებით იქაური ბიოლოგიის შესწავლაც კი შეიძლება. "სპილოები", "არწივები", "სუპერარწივები", "მოუთვინიერებელი ლომები", უბრალოდ, "ლომები" და ასე შემდეგ. არსებობს აბსოლუტურად ადამიანური მეტსახელებიც. მაგალითად, ეგვიპტის ნაკრებს "ფარაონებად" მოიხსენებენ. არის კიდევ ერთი ნაკრები, რომლის მეტსახელის თარგმნა თითქმის შეუძლებელია. სამხრეთ აფრიკის ნაკრებს "ბაფანა ბაფანა" ჰქვია და ალბათ იქაურების გარდა არავინ იცის, თუ რას ნიშნავს სიტყვათა ეს წყობა.

გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე შედგება სამი მეზობელი აფრიკული ქვეყნის დებიუტი. სპილოს ძვლის სანაპირო, ოქროს სანაპირო და მონათა სანაპირო. ალბათ გადახედეთ მუნდიალის მონაწილე 32 გუნდს და ეს ქვეყნები ვერ აღმოაჩინეთ. ამაში გასაკვირი არაფერია. მას შემდეგ, რაც ამ სამმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, სახელებიც შეიცვალა. სპილოს ძვლის სანაპირო კოტ დ'ივუარად იქცა, ოქროს სანაპირო - განად, მონათა სანაპირო კი - ტოგოდ.

თუ განაში კვლავაც აქტიურად მოიპოვებენ ოქროს, კოტ დ'ივუარაში სპილოს ძვლის ექსპორტი უკვე კარგა ხანია აიკრძალა, ტოგოში კი მონებზე აღარავინ საუბრობს.

ივუარელებმა საკუთარი ქვეყნის ნაკრები "სპილოებად" მონათლეს. თუმცა, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ამ გუნდის ფეხბურთელების ტექნიკა რამით მაინც წააგავს სპილოსას. ივუარელებს აფრიკელ ჰოლანდიელებსაც უწოდებენ ერთი უბრალო მიზეზის გამო: "სპილოები" ნარინჯისფერი ფორმებით თამაშობენ. ტოგოს ნაკრების ტოტემი მომცრო ზომის მტაცებელი ფრინველია - ბეღურისებრი ქორი. თუმცა, მას შემდეგ, რაც გუნდი მუნდიალის ფინალურ ეტაპზე გავიდა, მეტსახელიც შეიცვალა. ბოლოს და ბოლოს, რატომ ბეღურა, პირდაპირ ქორი არ სჯობია? და ტოგოელებიც "ქორებად" მოინათლნენ.



*მუნდიალის მთავარი სპილო - დიდიე დროგბა.*

განის ნაკრებმა საკუთარ მეტსახელად მოკრძალებული ფრაზა აირჩია - "შავი ვარსკვლავები". რაც შეეხება სიშავეს, განის ნაკრებში ყველა ფეხბურთელი მართლაც შავკანიანია. აი, ვარსკვლავობაზე კი, დიდი ბოდიში. ერთი-ორი ფეხბურთელის გარდა, ვარსკვლავი არც ერთი არ არის და ამ სტატუსს დამტკიცება სჭირდება.

მუნდიალის კიდევ ერთი აფრიკული ნაკრები ანგოლის გუნდი "პალაპაშ ნეგრაშად" იწოდება, რაც "შავ ანტილოპებს" ნიშნავს. მართალია, ანგოლის ნაკრების ფეხბურთელები ანტილოპებივით სწრაფები არიან. რაც შეეხება სიშავეს... ფეხბურთელთა უმეტესობა ნეგროიდულ რასას არ განეკუთვნება.

კართაგენი დიდი ხანია დაეცა, მაგრამ "კართაგენის არწივები" მუნდიალზე თავის სიტყვას ნამდვილად იტყვიან. საუბარია ტუნისის ნაკრებზე, რომელიც უკრაინასთან და ესპანეთთან ერთად მოხვდა ჯგუფში.

მეტსახელები მხოლოდ აფრიკულ გუნდებს არა აქვთ. მაგალითად, კორეის ნაკრები საკუთარ თავს "აზიელ ვეფხვებს" ან "ტეგუკას მებრძოლებს" უწოდებს. ცხადია, იბადება კითხვა: რას ნიშნავს ტეგუკა? თურმე ეს საკმაოდ ცნობილი ინისა და იანის კორეული ვარიანტი ყოფილა.

ფეხბურთის ამერიკული დასახელება "სოკერი" ორ ნაკრებს მოერგო. ავსტრალიელებს "სოკერრუზს" უწოდებენ. ქართულად ამ სიტყვის თარგმნა უბრალოდ შეუძლებელია. ტრინიდადისა და ტობაგოს გუნდს კი "სოკა უორიორზს" ეძახიან, რაც პირდაპირ თარგმანში ფეხბურთის მებრძოლებს ნიშნავს.

"ტიკოს" - ასე მოიხსენიებენ კოსტა რიკის ნაკრებს. ჩვენებურად ეს უბრალოდ საძმოს ნიშნავს. აშშ-ს ნაკრებს "იანკებს" ან ვარსკვლავ-ზოლიანებს უწოდებენ. ინგლისის ნაკრების სიმბოლო ლომია, თანაც, ერთი კი არა, სამი. თუ ინგლისელებს ცხოველთა მეფე მფარველობს, პოლონელთა სიმბოლო ფრინველთა მეფე არწივია, თანაც, ჩვეულებრივი კი არა, თეთრი. ასე რომ, როცა თეთრ არწივებზეა საუბარი, ეკვადორის ნაკრები არ უნდა ვიგულისხმოთ, რომელშიც საკმაოდ ბევრი ინდიელი თამაშობს. თუმცა, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამ ქვეყნის ნაკრებს მეტსახელი საერთოდ არა აქვს.

საფრანგეთის ნაკრების მაისურაზე მამალია გამოხატული და ფრანგებს ხშირად მამლებადაც მოიხსენიებენ. თუმცა, ცნობილია ამ გუნდის მეორე მეტსახელი: სამფეროვნები - საფრანგეთის დროშის ფერებიდან გამომდინარე.

თავად ფრანგები კი საკუთარ ნაკრებს les blues-ს უწოდებენ მაისურის ფერიდან გამომდინარე.

დანარჩენი ნაკრები გუნდები მეტსახელის არჩევის დროს ორიგინალობით არ გამოირჩევიან. ჰოლანდიელებს "ნარინჯისფერებად" მოიხსენიებიან. იტალიელებს კი სულაც არ ადარდებთ მათი მეტსახელი "სკუადრა აძურა" - ცისფერი გუნდი.

აი, ბრაზილიელებს კი საკუთარი მეტსახელი უკვე მობეზრდათ. მთელი ოთხი წელია მათ პენტაკამპეონებად მოიხსენიებენ. მართლაც მოსაბეზრებელია. ალბათ დადგა დრო, რომ პენტა სექსტად შეიცვალოს და მომავალი ოთხი წლის განმავლობაში რონალდინიოსა და მის თანაგუნდელებს სექსტაკამპეონები ვუწოდოთ, თუმცა ამისთვის ერთი "პატარა" რამ არის გასაკეთებელი: ბრაზილიის ნაკრებმა უნდა გაამართლოს ფავორიტის სტატუსი და გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნოს.

## ინფოთეკა

### მიდო ხიზანიშვილთან ერთად ითამაშებს

ინგლისური "ბლექბერნი" ცდილობს შეიძინოს ეგვიპტელი ფორვარდი მიდო. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელი იტალიურ "რომას" ეკუთვნის, თუმცა გასული სეზონი იჯარით გაატარა "ტოტენჰემში". ახლა "რომასთან" საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება უკვე "ბლექბერნს" სურს.

### სექსუალური მუნდიალი

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი ყველა წინამორბედთან შედარებით თურმე ყველაზე სექსუალური იქნება. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ იტალიელი ჟურნალისტები მას შემდეგ, რაც გამოითვალეს, ფეხბურთელთა ცოლებიდან და მეგობარი გოგონებიდან ვინ გაემგზავრებიან გერმანიაში თავიანთი პარტნიორების გასამხნევებლად.

უდავოა, რომ იტალიელთა მთავარი ვარსკვლავი ცნობილი მოდელი ილარი ბლაზი იქნება (ფრანჩესკო ტოტის მეუღლე). გარდა ამისა, "სკუადრა აძურას" მხარს დაუჭერენ ლუკა ტონის მეგობარი მარტა ჩეჩეტო და ჯანლუიჯი ბუფონის ულამაზესი ჩეხი მეგობარი გოგონა ალენა სერედოვა.

სუსტი სქესის ნაკლებობა არც ბრაზილიელთა ბანაკში იქნება. მუნდიალზე მიემგზავრება რონალდოს მეგობარი გოგონა ბრაზილიელი მოდელი რაისა ოლივეირა. არანაკლებ ლამაზი გულშემატკივარი ეყოლება პორტუგალიის ნაკრებსაც. ევრო 2004-ის სიმბოლო ლუიშ ფიგუს ულამაზესი შვედი მეუღლე ჰელენ სვედენი ქმარს არც გერმანიაში მოაკლებს ყურადღებას.

ინგლისის ნაკრების მთავარი ლამაზმანები დევიდ ბექჰემის მეუღლე ვიქტორია ადამსი და ეშლი კოულის მეგობარი გოგონა შერილ ტვიდი იქნებიან. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა მეუღლეები და მეგობარი გოგონები ბადენ ბადენში დაბინავდებიან.

იტალიელმა ჟურნალისტებმა არც უკრაინის ნაკრები დაივიწყეს. ანდრეი შევჩენკოს გერმანიაში მისი მეუღლე ამერიკელი მოდელი კრისტენ პაზიკი გაყვება.

ერთ-ერთმა გერმანულმა გაზეთმა ფეხბურთელთა მეუღლეების სილამაზის კონკურსიც კი მოაწყო. ყველაზე ლამაზად ესპანეთის მეკარის იკერ კასილიასის მეგობარი გოგონა ევა გონსალესი მიიჩნიეს. მეორე ადგილზე რაულის ცოლი მამენ სანსი გავიდა. მესამე-მეხუთე ადგილები გაიყვეს სილვენ ვან დერ ვაარტმა, მისის კაკა კაროლინ სელისომ და რონალდოს მეგობარმა გოგონამ რაისა ოლივეირამ.

ამავე გაზეთის აზრით, პარაგვაის ნაკრების ფორვარდი როკე სანტა კრუზი მომავალი მუნდიალის ყველაზე სიმპათიური ფეხბურთელი იქნება.

მიუნხენის "ბაიერნის" ფორვარდმა უკან ჩამოიტოვა ესპანელთა მთავარი ვარსკვლავი რაული, მესამე ადგილზე გავიდა ლუიშ ფიგუ, მოთხეზე - მისი თანაგუნდელი კრიშტიანუ რონალდუ. ხუთეულს კი ტიერი ანრი აგვირგვინებს.

### "იების" ახალი მეკარე

იტალიურმა "ფიორენტინამ" ახალი მეკარე შეიძინა. "იებმა" კლუბ "ვიჩენცასგან" იყიდა 27 წლის სერბი მეკარე ვლადა ავრამოვი. გასულ სეზონში სერია B-ში მოასპარეზე კიპერმა არაერთი სოლიდური გუნდის ყურადღება მიიპყრო. ავრამოვის შეძენის სურვილი "პალერმოსა" და "უდინეზესაც" ჰქონდათ.

### კიეზამ კონტრაქტი გააგრძელა

ვეტერანმა იტალიელმა ფორვარდმა ენრიკო კიეზამ გააგრძელა კონტრაქტი "სიენასთან" და ამ გუნდში 2008 წლის ივნისამდე დარჩება. 36 წლის ფორვარდი ერთხანს კარიერის დასრულებასაც კი აპირებდა, თუმცა "სიენას" ხელმძღვანელებმა მისი დაყოლიება შეძლეს და გუნდში დატოვეს.

### ნედვედი გადაწყვეტილებას ცვლის

ამას წინათ პაველ ნედვედმა განაცხადა, რომ თუ "იუვენტუსი" დაიშლება, ის საფეხბურთო კარიერას დაასრულებს. ამ განცხადების შემდეგ ორი დღეც არ გასულა და ჩეხმა ფეხბურთელმა გადაწყვეტილება შეცვალა. გუშინ იტალიურმა მედიამ საკმაოდ მოულოდნელი ცნობა გაავრცელა: თუ ტურინული კლუბი დაისჯება და ელიტური დივიზიონიდან გავარდება, პაველ ნედვედი ფრანგულ "მონაკოში" გააგრძელებს კარიერას. "მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ყველაფერია მოსალოდნელი. არ ვიცი, შესაძლოა ფეხბურთის თამაშის სურვილი საერთოდ დავკარგო, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ "მონაკოში" გადავიდე", - აცხადებს ნედვედი.

### რუნის ჯერარდიც დაემატა

ინგლისის ნაკრების მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება. ტრავმირებულ უეინ რუნის სტივენ ჯერარდიც დაემატა. გუშინ "ლივერპულის" კაპიტანმა ზურგის ტკივილის გამო ვარჯიში გამოტოვა. ინგლისის ნაკრების შვედი სპეციალისტი ამბობს, რომ სტივენის ტრავმა სერიოზული არ არის და ის მალე შეძლებს ვარჯიშის განახლებას, თუმცა ზუსტად იგივეს ამბობს ერიქსონი რუნის შესახებ. არადა, თითქმის გადაწყვეტილია, რომ უეინი მუნდიალის პირველ ეტაპს გამოტოვებს.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს **იმერეთის რეგიონის ტყიბულისა და ხონის რაიონების 8 სოფლის** (იხ. ცხრილი) **პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პჯდ) სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები**

| რაიონი | ობიექტი | ფართი (მ2) |
|---|---|---|
| ტყიბული | სოფ. კურსების პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| ტყიბული | სოფ. გელათის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| ტყიბული | სოფ. ორპირის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| ხონი | სოფ. მათხოჯის პჯდ რეაბილიტაცია | 102.0 |
| ხონი | სოფ. ივანდიდის პჯდ რეაბილიტაცია | 135.0 |
| ხონი | სოფ. ქუთირის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| ხონი | სოფ. გუბის პჯდ მშენებლობა | 108.0 |
| ხონი | სოფ. დედალაურის პჯდ მშენებლობა | 108.0 |

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციას ცხრილში მოცემული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:
- საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობანაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აწარმოონ სამშენებლო სამუშაოები ერთდროულად ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტზე.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ **2006** წლის **7 ივნისიდან**, ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10**-დან **18** საათამდე შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**
**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.**
**საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი**
**ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39**

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს **150** (ასორმოცდაათი) ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:
ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის ნომერი: 23408000189
ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 12 000 (თორმეტი ათასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად **(წინადადების საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს საკონკურსო წინადადების ვადას - 60 დღეს დამატებული 28 დღე, ე.ი. სულ 88 დღეს).**

საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს **2006** წლის **5 ივლისის**, **15** საათამდე შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**
**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.**
**საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი**
**ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ***შიდა ქართლის რეგიონის გორის რაიონის 8 სოფლის*** (იხ. ცხრილი) ***პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პჯდ) სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები***

| რაიონი | ობიექტი | ფართი (მ2) |
|---|---|---|
| გორი | სოფ. სკრას პჯდ რეაბილიტაცია | 86.0 |
| გორი | სოფ. პატარა ატენის პჯდ რეაბილიტაცია | 135.0 |
| გორი | სოფ. ხელთუბანის პჯდ რეაბილიტაცია | 159.0 |
| გორი | სოფ. ბერშუეთის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| გორი | სოფ. ზეღდულეთის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| გორი | სოფ. შავშვების პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| გორი | სოფ. ქვახვრელის პჯდ მშენებლობა | 108.0 |
| გორი | სოფ. ტირძნისის პჯდ რეაბილიტაცია | 165.0 |

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციას ცხრილში მოცემული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:
- საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობანაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აწარმოონ სამშენებლო სამუშაოები ერთდროულად ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტზე.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ *2006* წლის ***7 ივნისიდან***, ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) *10*-დან *18* საათამდე შემდეგ მისამართზე:

***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს *150 (ასორმოცდაათი)* ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:
ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის ნომერი: 23408000189
ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად ***(წინადადების საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს საკონკურსო წინადადების ვადას - 60 დღეს დამატებული 28 დღე, ე.ი. სულ 88 დღეს).***

საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს ***2006*** წლის ***5 ივლისის***, *12* საათამდე შემდეგ მისამართზე:

***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***12:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ სენაკის გამგეობა (ქ. სენაკი რუსთაველის N243), აცხადებს ტენდერს სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის, მთავარი და გვერდითი ფასადების კედლის სიბრტყეებისა და თეატრის მიმდებარე ტერიტორიების გარე განათების ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე, მაღალი ხარისხის უცხოური წარმოების, საშუქი არმატურებისაგან, და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.
2. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
3. სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სავარაუდოდ 2006 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის აგვისტოს ბოლომდე.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. დაინტერესებულმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირებმა, სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ ქალაქ სენაკის გამგეობის საბანკო ანგარიშზე: სახალხო ბანკის სენაკის ფილიალში ბანკის კოდი 220101450, ანგანიშის N33030029 საინდიფიკაციო N239862957 მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ თანხის გადახდის ქვითარი შემდეგ მისამართზე ქ. სენაკის რუსთაველის ქ. N243. ქ. სენაკის გამგეობის სატენდერო კომისია tel: 7-52-11, რის შემდგომაც დაინტერესებულ პირს გადაეცემა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტების სახით, 2006 წლის 28 ივნისის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე. ორ ეგზემპლიარად.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. ცნობები,

6.1-1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა შ.პ.ს. სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობლივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

დ) მონაწერი სამეწარმო რეესტრიდან ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

ე) ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი.

6.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

გ) ცნობა შ. ს. სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.1.3. როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირისათვის.

ცნობა სამუშაოების შესასრულებლოად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილის ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 1 | ელექტროსამონტაჟო სამუშაოებისატვის განკუთვნილი კოშკურიანი სპეცავტომანქანა | 1 ცალი |

ა) ცნობა უნდა იქნას წარმოდგენილი ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის სხვა ფორმა. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | | | | | |

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმი იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.

6.1.4. ცნობა ტენდერში მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, რასაც უნდა დაერთოს მისი ბიოგრაფიული მონაცემები.

**შენიშვნა**: ტენდერში მონაწილე იურიდიულ ან ფიზიკურ პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოების შესრულების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება. ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | თანამდებობა სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| 3 | | | | | |

ა) ინფორმაცია, იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელება) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | | | | |
| 2 | | | | |

ბ) ცნობა 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ, მსხვილი დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების წარმოშობის თარიღის ჩვენებით.

6.2. ინფორმაციები.
- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა) ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელმწიფოს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს.

ბ) წესდება და სასამართლოს დადგენილება.

აღნიშნული ინფორმაციები მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას წერილობითი

7. იურიდიული ან ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაციები, სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება იქნეს გადამოწმებული ინდივიდუალურად.
8. იურიდიული ან ფიზიკური პირი მის, მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით.
9. სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას ახდენს, საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური ან იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.
10. ტენდერში გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, უნდა წარმოედგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის რაოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5%-ის ოდენობით.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ქალაქ სენაკის გამგეობაში.
საკონტაქტო ტელეფონი 7-55-22; 899-53-93-89 (გია წულეისკირი)

**სატენდერო კომისია**

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს

**ელქტრო საქონლისა და მასალების შესყიდვის შესახებ**

***შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"***, ქ. თბილისი თამარ მეფის გამზ. №15, აცხადებს ტენდერს ელექტრო საქონლისა და მასალების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულმა პირებმა უნდა გადაიხადოთ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით (ს/ს ბანკი ***"რესპუბლიკა"*** ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205) და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვასთან ერთად შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტო (შენობის მე-3 სართული), რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**2. შესყიდვის ობიექტი :**

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | მოცულობითი ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | დიოდები | 12-14 კლასის, მარკით დლ-133-500, განმეორებითი ძაბვა 400-1600 ვ. ზღვრული დენი - 500 ა.; უკუდენი - 25 მა. დარტყმის დენი - 12 კა; კლასი-13; | ც | 50 |
| | გამაგრილებლები | მარკით 0143 დიოდებისათვის დლ - 133-500 | ც | 20 |
| | დიოდები | 12-14 კლასის, მარკით დლ-161-200, განმეორებითი ძაბვა 400-1800 ვ. ზღვრული დენი - 200 ა.; უკუდენი - 25 მა. დარტყმის დენი - 7,5 კა. | ც | 520 |
| | დამმუხტველი აგრეგატი | მარკით - ვაზპ-380/260-80/40 უხლ-4-1; ნომინალური ძაბვა - 220/380 ვ ნომინალური დენი - 40-80 ა, | ც | 2 |
| 2 | მოტორული ამძრავი | მარკით უმპ-II; მართვის მინიმალური ძაბვა-220 ვ. სიმძლავრე - 0,27 კვტ. ელექტროძრავის ტიპი ულ-0,62; ბრუნვის სიხშირე -8000 ბრ/წთ | ც | 10 |
| | საკონტაქტო ქსელის გამთიში | მარკით რს-4000, ნომინალური ძბვა - 3,3 კვ; ნომინალური დენი - 4000 ა; | ც | 13 |
| | რქოვანი განმუხტველი | მარკით რრ-3,3 (რმ-3,3 ჰ) | ც | 66 |
| | მცველი | 10 კვ, მარკით პკნ-10; ნომინალური ძაბვა - 10 კვ; | ც | 86 |
| 3 | საკონტაქტო სადენი | მარკით მფ-100; ნომინალური კვეთი 100 მმ; სიმაღლე 11,8 + 0,11 მმ; სიგანე 12,81 +0,25 მმ; რადიუსი 6,5 მმ; ხაზური სიმკვრივე 0,890 კგ/მ; | ტნ | 14.4 |
| | სპილენძის მზიდი გვარლი | მარკით მ-120; ნომინალური კვეთი - 120 მმ; კვეთის ფართი - 117 მმ; მავთულის რაოდენობა - 19; | ტნ | 1.8 |
| | სპილენძის მოქნილი გვარლი | მარკით მგ-95; ნომინალური კვეთის ფართი-95მმ; კვეთის ფართი-94,01მმ; მავთულის დიამეტრი-0,68მმ; გამტარის დიამეტრი-14,28; მავთულის რაოდენობა - 259; | ტნ | 1.6 |
| | ბიმეტალური გვარლი | მარკით პბსმ-70; ნომინალური კვეთი - 70 მმ; კვეთის ფართი - 72,2 მმ; ძარღვთა რიცხვი - 19; | ტნ | 1 |
| | ბიმეტალური გვარლი | მარკით პბსმ-95; ნომინალური კვეთი - 95 მმ; კვეთის ფართი - 93,3 მმ; ძარღვთა რიცხვი - 19; | ტნ | 1 |
| | ბიმეტალური მავთული | მარკით ბმ-4; ნომინალური კვეთი-4 მმ; სპილენძის გარსაცმის მინიმალური სისქე 0,20 მმ; | ტნ | 1.31 |
| | ბიმეტალური მავთული | მარკით ბმ-6; ნომინალური კვეთი-6 მმ; სპილენძის გარსაცმის მინიმალური სისქე 0,20 მმ; | ტნ | 1.75 |
| | ფოლად-ალუმინის გამტარი | მარკით ას-35; ნომინალური კვეთი ალუმინი-ფოლადი-35/6,2 მმ; ალუმინის ძარღვის რაოდენობა-6; ფოლადის ძარღვის რაოდენობა-1; გამტარის დიამეტრი-8,4 მმ; | ტნ | 2 |
| | ალუმინის სადენი | მარკით ა-185; ნომინალური კვეთის ფართი-185 მმ; კვეთის ფართი-183 მმ; მავთულის რაოდენობა-19; გამტარის დიამეტრი-17,5 მმ; | ტნ | 1 |
| | ფოლადის მოთუთიებული გვარლი | მარკით ს-70; კვეთი-72,56 სმ; მავთულის რაოდენობა-19; გამტარის დიამეტრი-11,0 მმ; | ტნ | 2.4 |

**მიწოდების პირიბა: - DDP** ქ. თბილისი

**3. მიწოდების სასურველი ვადა**: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30-40 კალენდარულ დღეში;

**4. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოთ ორ ეგზემპლარად (ორიგინალი და მისი ასლი) ქართულ და/ან რუსულ ენაზე.**

**5.** სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში.

- დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადაა 2006 წლის **28 ივნისს** 900-1800 სთ-მდე.

- დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტო (შენობის მე-3 სართული).

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები** უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ. მეწარმეთ რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად მითითებული უნდა იქნას წინადადების მოქმედების ვადა; პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები; საქონლის მიწოდების ვადები;
2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ფასების ცხრილი (ნიმუში მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში), საქონლის მახასიათებლების მითითებით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს 'საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51; 56-46-24

*სატენდერო კომისია*

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

## ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 1 ივნისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ბავშვთა ქალაქ მზიურის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 1 ივნისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ბავშვთა ქალაქ მზიურის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და შესყიდვის ობიექტი დაიყოს 2 ლოტად (პოზიცია) :

1. ლოტი (პოზიცია) - მისასვლელი გზისა და შიდა ტერიტორიაზე ასფალტის საფარის მოწყობა ღორღოვან საფუძველზე (2000 კვ. მ.);
2. ლოტი (პოზიცია) - ტერიტორიაზე გზებისა და ბილიკების მოშანდაკება ბალასტით, ღორღით და გადამუშავებული ასფალტის ფენით, ცენტრალურ შესასვლელში და შიდა ტერიტორიაზე ბაზალტის ფილების დაგება (50 კვ.მ.), ტერიტორიაზე ბაზალტის და ბეტონის ბორდიურების მონტაჟი (250 გრძ.მ),

კიბის საფეხურების აღდგენა (250 გრძ.მ) მდ. ვერაზე არსებული ხიდის მისასვლელზე მოაჯირის მონტაჟი. (10 გრძ.მ)

